# ლელო

№014
(12 391)

19 იანვარი შაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი



ყაზბეგი
ელექტრონული
ბიბლიოთეკა


ხვალ, 18:00. საზოგადოებრივ არხზე. საქართველო-ლუქსემბურგი. ხელბურთი. ჩელენჯ ტროფის ფინალი

# საქართველო პირველი ტიტულისთვის იბრძოლებს





13

# კონტრაქტი თებერვალში გაფორმდება



გასული წლის მიწურულს გაცხადდა, რომ ფეხბურთის ფედერაციასა და კლაუს ტოპმიოლერს შორის კონტრაქტის გაგრძელებაზე შეთანხმება შედგა. ისიც ითქვა იურისტები შეთანხმებას ფურცელზე გადაიტანდნენ და კონტრაქტსაც ხელი იანვრის დასაწყისში მოეწერებოდა.

როგორც გავიგეთ კლაუს ტოპმიოლერი თბილისში სავარაუდოდ 1 თებერვლისთვის დაბრუნდება. მასთან კონტრაქტიც თებერვლის დასაწყისში გაფორმდება. ლატვიასთან მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობას კი მწვრთნელი იანვრის ბოლოსთვის დაასახელებს.

დავით ცაბაძე

# ბობი ფიშერის ბოლო სვლა

## მსოფლიოს მე-11 ჩემპიონი, 64 წლის ასაკში ისლანდიაში გარდაიცვალა



15

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge


ლევან კობიაშვილი (მარცხნივ)

# ზესტაფონმა არასტანდარტულად იმარჯვა

2008 წლის პირველი მატჩი „ზესტაფონმა“ გუშინ ჩაატარა. **თემურ მახარაძის** გუნდი დღესდღეობით, თბილისში ვარჯიშობს და საკონტროლო შეხვედრაც აქვე გამართა, 35-ე სკოლის საფეხბურთო სკოლის მოედანზე, ცხინვალის „სპარტაკის“ წინააღმდეგ. აღნიშნული მოედანი მომცროა და ამიტომაც მეტოქეები შეთანხმდნენ, რომ 10-10-ზე ეთამაშათ.

„ზესტაფონის“ შემადგენლობა ასეთი იყო: **რ. კვასხვაძე (46. გაბუნია), ბახტურიძე (72. გავაშელაშვილი), თოდუა (65. ხუმარაშვილი), საჯაია (77. კამლაძე), რ. ონიანი, დაუშვილი (46. ნ. კვასხვაძე), ხიდეშელი (46. ბენაშვილი), გ. ნუგ. ჭელიძე (46. ბიტოო), ვიეირა (46. კესანი), ბ. გოცირიძე (46. იონანიძე).**

ფეროელებმა 2:1 გაიმარჯვეს, პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში **გიორგი ჭელიძემ** გახსნა ბრაზილიელი **ვიეირას** გადაცემით. მეორე გოლიც შესვენებამდე გავიდა, 44-ე წუთზე თავი **ბექა გოცირიძემ** გამოიჩინა.

ერთადერთი, რაც „სპარტაკმა“ მეორე ტაიმში შეძლო, პრესტიჟის გოლის გატანა იყო. უმაღლესი ლიგის ბინადართა სამზადისი დასკვნით ფაზაში შედის, „ზესტაფონი“ მალე ანთალიაში გაემგზავრება და მახარაძე სავარაუდო ახალწვეულებს იქ დააკვირდება. **ერიკ რომეო ჩასემის** ტრანსფერის ჩაშლის შემდეგ, „ზესტაფონის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანი მაღალი კლასის ფორვარდის დამატება იქნება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ საქართველოში ჯერ არ ჩამოსულა იმერელთა ბრაზილიელი ლეგიონერი **სანტოსი**, რომელსაც ჯერ კიდევ საშობაოდ ელოდნენ...

ანთალიური შეკრების ვარიანტი „სპარტაკსაც“ აქვს, მაგრამ ჯერ არაა გადაწყვეტილი, ამ გუნდის თავკაცი **კობა ჟორჟიკაშვილი** თურქულ შეკრებას აირჩევს თუ საამისო სახსრებით შემადგენლობის გაძლიერებაზე იზრუნებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# კობის ნაკრებში გამოძახება სათუოა

## ლევან კობიაშვილი: მთავარია ბუნდესლიგა

**„შალკე 04“ ახლა გერმანიაშია და სეზონისწინა მზადებას გელზენკირხენში აგრძელებს. შალკელ ლევან კობიაშვილს გუშინ შევეხმიანეთ დიუსელდორფში და აქეთურ-იქეთურზე ვესაუბრეთ.**

- თურქეთიდან 13 იანვარს დავბრუნდით გერმანიაში და გელზენკირხენიდან სეზონის განახლებამდე არსად წასვლას არ ვაპირებთ. ხვალ საკონტროლო შეხვედრაში „მაგდებურგს“ გავეჯიბრებით.

**- რა ცვლილებებით ეგებება „შალკე“ სეზონის განახლებას?**

- სამი ახალი ფეხბურთელი გვყავს და სამივე შემტევია: მექსიკაში მოთამაშე ურუგვაელი ვისენტე სანჩესი, ბრაზილიელი ზე რობერტო II და გერმანელი ალბერტ შტრაიტი „აინტრახტიდან“.

**- თურქეთში პატარა ტურნირი, „ვიქტორიას თასი“ მოიგეთ და ფინალში „ვერდერთან“ გამარჯვების (2:1) შემდეგ თქვენმა მწვრთნელმა მირკო სკლომკამ განაცხადა, მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება იქნებაო. „შალკე“ ბუნდესლიგის გარდა სხვა ფრონტზე არაფერს გეგმავს?**

- რა თქმა უნდა, ძალიან გვინდა, ჩემპიონთა ლიგაში თუ გერმანიის თასზე რაც შეიძლება შორს წავიდეთ, მაგრამ ამ სეზონში „შალკესთვის“ მთავარი მაინც ბუნდესლიგაა - ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის სამეულში უნდა მოვხვდეთ.

**- ტრავმის გამო ფაქტობრივად მთელი პირველი წრე გაგიცდა - ამ დროისთვის ახლოს ხარ ოპტიმალურ ფორმასთან?**

- არა, ოპტიმალურ ფორმაში რომ შევიდე, რამდენიმე კვირა კიდევ დამჭირდება. საშუასეზონო შეკრებამდე, ფაქტობრივად, ოთხი თვე არც კი მივარჯიშია. „ვიქტორიას თასის“ ფინალში „ვერდერთან“ სრულად კი ვითამაშე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასი პროცენტით მზად ვარ.

**- „შალკეს“ ახალგაზრდულ გუნდში ლევან ყენიას თამაში ხომ არ გინახავს?**

- პირველ გუნდს დილით გვიწევს ვარჯიში, როცა ორჯერადი წვრთნა გვაქვს, მაშინ დილით და შუადღით ვვარჯიშობთ, ახალგაზრდული გუნდი კი - საღამოს, რადგან იქ მოთამაშეთაგან ზოგი სკოლაში დადის, ზოგიც კოლეჯში და საღამომდე სავარჯიშოდ არ ცალიათ.

**- ნაკრებზეც გკითხავ. ითქვა, გუნდის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი კლაუს ტოპმიოლერთან აპირებს დალაპარაკებას ზურაბ ხიზანიშვილზეო...**

- არ ვიცი, 6 თებერვალს ლატვიასთან მატჩში ვიქნები თუ არა გამოძახებული - ამ დროისთვის ხომ ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვარ. ჩემი პოზიცია ასეთია: ამ კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარე ერთად უნდა დაჯდეს და გაუგებრობა უნდა დამთავრდეს. პირველ ადგილზე გუნდის ინტერესი უნდა დადგეს.

**დავით თავართქილაძე**


თემურ მახარაძე



გაზეთი „ლელო“ მწუხარებას გამოთქვამს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ ჟურნალისტის ზურაბ ჯამასპიშვილისა და ოპერატორ მიხეილ ოქრომჭედლიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს განსვენებულთა ოჯახებს.

---

საფეხბურთო კლუბი „გაგრა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, გიორგი სიჭინავას შვილის

გოგა სიჭინავას

ტრაგიკული გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, აფხაზეთის მკვიდრის, ღირსეული მამულიშვილის

არველოდ ქითანავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

დინამო. უცხოური შეკრება. ამხანაგური მატჩი

# მარცხი მოგების შემდეგ

## გუნდმა კაპიტნის დაბადების დღე აღნიშნა


მერებაშვილი მეტალურგთან ვერ ითამაშებს

ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" ადგილობრივ ქვედალიგოსან "დემირსპორთან" ორი ტესტმატჩი გამართა.

პირველ მატჩში **დუშან უპრინის** გუნდმა თურქები **გრიგალაშვილის** დუბლით 2:0 დაამარცხა. მეორე მატჩში კი უკვე თურქებმა იმარჯვეს 1:0. კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, "დემირსფორთან" როგორც პირველ, ასევე მეორე მატჩში ტაიმების ხანგრძლივობა 35 წუთი იყო. გამარჯვების გოლი კი 41-ე წუთზე **ჯიანიმ** გაგვიტანა.

"დინამომ" მეორე შეხვედრა შემდეგი შემადგენლობით ჩაატარა: **ოვონო, თომაშვილი, კრშკო, გ. კაშია, გველესიანი, სპასოევიჩი, ქავთარაძე, დილმელაშვილი, გრიგალაშვილი (36. ხმალაძე), ხუციშვილი, ვაწაძე.**

გუშინ "დინამომ" ანთალიაში ორჯერ ივარჯიშა. გუშინვე გუნდმა კაპიტან **დავით დილმელაშვილის** დაბადების დღე ვახშამზე აღნიშნა.

დღეს დინამოელები **დავით კვირკველიას** ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. როგორც შევიტყვეთ ამ შეხვედრაში ტრავმების გამო **მერებაშვილი, აკირემი** და **ფირცხალავა** არ ითამაშებენ, დილმელაშვილისა და **სპასოევიჩის** თამაში კი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

**დავით ცაგაძე**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge



გია მესხელი

მესხეთი

# მზადება და ტრანსფერი

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი "მესხეთი" სეზონის მეორე ნახევრისთვის ემზადება. გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა და მათზე უკვე გაცნობეთ. წასულ ფეხბურთელთა სანაცვლოდ "მესხეთი" ახალ მოთამაშებს იმატებს. ჭიათურის "მალაროელიდან" ახალციხელებმა ფორვარდი **მუშკუდიანი** უკვე დაიბრუნეს. შესაძლოა იმავე "მალაროელიდან" "მესხეთში" დაბრუნდეს ნახევარმცველი **პაატა გამცემლიძეც**. კლუბის პრეზიდენტ **გია მესხელის** ინფორმაციით ახალციხელთა გუნდში ვარჯიშობს 20 წლის მარცხენაფლანგელი **ქოჩორაშვილი**. აღსანიშნავია ისიც, რომ ქოჩორაშვილი ადრე კიევის ერთ-ერთ საფეხბურთო სკოლაში ემზადებოდა და ფეხბურთის სპეციალისტები მასში დიდ ტალანტს ხედავენ.

დავით ცაბაძე

# ლატვიას 18 საათზე ვეთამაშებით

ნლეულს პირველ შეხვედრას საქართველოს ეროვნული ნაკრები 6 თებერვალს გამართავს ლატვიელთა წინააღმდეგ. შეხვედრა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საღამოს 6 საათზე დაიწყება.

ლეგიონერები

# ყურბან ბერდიევი: ნუკრი რევიშვილს არსადაც არ ვუშვებ

## მეკარეს ავარიამ თავი გაახსენა

რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ყაზანის „რუბინი" მოსამზადებელ ეტაპზე მეკარეთა შემადგენლობას მთლიანად შეცვლის, რადგან სეზონი არადამაჯერებლად ჩაატარეს. სწორედ ამიტომ მიიწვიეს „მოსკვადან" **კეზკო** და მოსკოვის „ლოკომოტივიდან" **სერგეი რიჟიკოვი**. გუნდი კი ლატვიელმა **ალექსანდრ კოლინკომ** და თურქმენმა **პაველ ხარჩიკმა** დატოვეს. კიდევ ერთი გამოცდილი მეკარეც თუ მოვძებნეთ, მაშინ გუნდს **ნუკრი რევიშვილიც** დატოვებსო.

მართლაც, ყაზანელები თურქეთის საკურორტო ქალაქ ბელექში ემზადებიან, უკვე ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს და ნუკრის ერთი წუთიც არ უთამაშია. ერთი შეხედვით, ინფორმაციის სიმართლეში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

ჩვენი ინფორმაციით, ნუკრი რევიშვილის ბოლოდროინდელი უთამაშებლობა და თუნდაც, მესამე მეკარის ძებნის სურვილი სულ სხვა მიზეზების ბრალია. 19 წლის ქართველ კიპერს „რუბინის" შემადგენლობაში პირველი საკონტროლო შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა. ყაზანელები **დავით სირაძის** ყოფილ კლუბს, „აუეს" ხვდებოდნენ და 0:1 წააგეს. სამწუხაროდ, მან თამაშის წინა დღეს თავის ტკივილი იგრძნო და ვარჯიშიდან გასაყვანი გახდა.

გემახსოვრებათ, რევიშვილი ნოემბერში ყაზანში ავარიაში მოყვა, ტვინის შერყევა მიიღო და ისე მძიმედ დაშავდა, ორი კვირა წოლითი რეჟიმი დაუდგინეს. ნუკრიმ პირველი შეკრება გამოტოვა და „რუბინში" ვარჯიში მხოლოდ გუნდის მეორე შეკრებაზე დაიწყო. ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა, მაგრამ ტვინის შერყევა, ეტყობა, საფუძვლიანად არ იმკურნალა და ახლა ძნელი სათქმელია, ვარჯიშებს როდის განაახლებს.

კოლინკოსა და ხარჩკის საკითხი კი მანამდე იყო გადაწყვეტილი: ყაზანელთა მთავარ მწვრთნელ **ყურბან ბერდიევს** მათი გაშვება და რევიშვილისთვს ძირითადში გზის გახსნა სურდა. რუსეთში ყველა ნორმალურ კლუბს სეზონისთვის სამი მეკარე სჭირდება და როდესაც ბერდიევი საფრთხის წინაშე დადგა, ბუნებრივია, რევიშვილის შემცვლელის მოძებნა დასჭირდა. სამწუხაროა, რომ წლეულსაც რევიშვილი ჯანმთელობამ დაალალატა. შარშან ხომ მას ტრავმების გამო ნახევარ სეზონზე მეტი გაუცდა.

გუშინ ყაზანელთა მთავარ მწვრთნელთან, ყურბან ბერდიევთან დაკავშირება შევძელით. მან დროის სიმცირე მოიმიზეზა და მხოლოდ ორი წუთი გვესაუბრა. ბუნებრივია, რევიშვილის შესაძლო გაშვებაზე ვესაუბრეთ.

*„ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. საიდან მოიტანეს, წარმოდგენა არ გამაჩნია. მთავარი მწვრთნელი მე ვარ და რევიშვილისადმი საპრეტენზიო არ გამაჩნია. კოლინკო მართლა დავაყენე ტრანსფერზე, ხარჩიკის პროგრესიც არ იგრძნობოდა, მაგრამ რევიშვილთან საპრეტენზიო არც მე გამაჩნია და არც სხვას. ის მზარდი მეკარეა და მეორეც, წესიერი და შრომისმოყვარე ბიჭია და ჩვენთან ჩამოსვლის შემდეგ, აშკარად გაიზარდა. მე ჯერ კიდევ შარშან მსურდა რევიშვილი ძირითადში ხშირად მესინჯა, მაგრამ ტრავმებმა და ბოლოს ავარიამ ცუდ დღეში ჩააგდო. ახლაც ავარიის გამო დარჩენილი თავის ტკივილი რომ გაუმეორდა, მესამე მეკარის აყვანას ამიტომ ვფიქრობდით. თუმცა, ნუკრი მალე მომჯობნდება და არაა გამორიცხული, დამატება არც დაგვჭირდეს."* - გვითხრა ბერდიევმა.

როგორც შევიტყვეთ, რევიშვილი თავს ახლა კარგად გრძნობს და „რუბინს" მამავალ შეკრებაზე გაჰყვება.

მერაბ მამულაშვილი



ნუკრი რევიშვილი

ფუტზალი

# ბოლოდან პირველზე

აზერბაიჯანულ ოთხთა ტურნირში საქართველოს ფუტზალის ეროვნულმა ნაკრებმა მესამე თამაშიც წააგო და ნული ქულით ბოლო ადგილი დაიკავა. მასპინძელთა და ყაზახეთის ნაკრებებთან ერთნაირი ანგარიშით 1:3 განცდილი მარცხების შემდეგ, ჩვენი გუნდიGგუშინ მესამე ტურში ბაქოს ნაკრებთან 1:2 დამარცხდა. ცნობისათვის, ტურნირის ჩემპიონი აზერბაიჯანი გახდა, რომელმაც ბოლო ტურში ყაზახეთის 4:3 სძლია. მოკლედ, ბაქოური ვოიაჟი ჩვენი ფუტზალელებისთვის მეტისმეტად წარუმატებელი გამოდგა, ასეთი თამაშით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში შედეგიანი გამოსვლა წარმოუდგენელია.

ლევან ჯანეზაშვილი



# აბრამიძე მოედანს დაუბრუნდა

რვათვიანი პაუზის შემდეგ, **ვალერი აბრამიძე** მოედანს დაუბრუნდა. მან მახაჩყალის „ანჟის" ფორმა ანთალიაში მოირგო. დაღესტანელებმა სამხრეთკორეულ „იუნსეისთან" 2:3 წააგეს. შესვენების შემდეგ კორეელებს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდათ, როდესაც აბრამიძის ნაცვლად, მოედანზე მეტოქის მთავარი მწვრთნელი **ომარ თეთრაძე** იხილეს.

შეგახსენებთ, რომ აბრამიძე გასულ წელს ლენქორანის „ხაზარში" თამაშობდა, ზაფხულში კონტრაქტი დაუმთავრდა და „ანჟიში" გადავიდა, თუმცა აზერბაიჯანელებმა ყალბი კონტრაქტით მისი დაბრუნება მოინდომეს. მართალია, ჩანაფიქრიდან არაფერი გამოუვიდათ, მაგრამ ვალერის მთელი რვა თვე გაუცდა და ფორმიდან ამოვარდა. ამის მიუხედავად ის ერთი დღითაც არ გაჩერებულა და იმედოვნებს, რომ შეკრების შემდეგ, ჩვეულად ათამაშდება.

მერაბ მამულაშვილი

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge


# არველაძე დიდ ხუთეულში



შოთა არველაძე

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს უმაღლესი ლიგების ბომბარდირების მონაცემები დააჯამა და აღმოჩნდა, რომ აქტიურ ფეხბურთელებს შორის **შოთა არველაძე** ამ საპატიო ჩამონათვალში მეხუთე ადგილზეა. ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში შოთამ საქართველოს, თურქეთის, ჰოლანდიისა და შოტლანდიის ჩემპიონატებში 426 მატჩი ჩაატარა და 263 გოლი გაიტანა. სამწუხარო ისაა, რომ ტრავმის გამო, მას ამ სეზონში ტრავმის გამო, ერთი შეხვედრაც არ უთამაშია, არადა კიდევ 7 ბურთი რომ გაეტანა, ამ რეიტინგის მეორე საფეხურზე აღმოჩნდებოდა. არველაძე რეიტინგში ისეთ სახელგანთქმულ თავდამსხმელებს უსწრებს, როგორებიც **რონალდო, რივალდო, ანრი, ვან ნისტერლოი, ჟარდელი და მაკაი** არიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ბომბარდირთა საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება**

| | მატჩი | გოლი |
|---|---|---|
| 1. ხუან კარლოს პლატა (გვატემალა, მუნისიპალი) | 496 | 281 |
| 2. მარკ ლოიდ უილიამსი (უელსი, ნიუთაუნი) | 383 | 269 |
| 3. გლენ ფერგიუსონი (ჩრდ. ირლანდია, ლინფილდი) | 520 | 268 |
| 4. მაქსიმ გრუზნოვი (ესტონეთი, ნარვა) | 351 | 266 |
| **5. შოთა არველაძე (საქართველო, ლევანტე)** | **426** | **263** |
| 6. ჰაქან შუქური (თურქეთი, გალათასარაი) | 517 | 261 |
| 7. დემიენ მორი (ავსტრალია, გოსფორდი) | 493 | 259 |
| 8. ვიქტორ არისტისაბალი (კოლუმბია, მედელინი) | 487 | 248 |
| 9. ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი, ჰელსინგბორგი) | 431 | 247 |
| 10. ხუან გარსია რივასი (ვენესუელა, მინეროსი) | 533 | 243 |

# ადამიას დუბლი, ხარშილაძე საეჭვოა

ანთალიურ შეკრებაზე ბაქოს "ნეფთჩიმ" მორიგი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. უკრაინელი **ანატოლი დემიანენკოს** შეგირდები გუშინ ალმა ათის "ქაირათს" დაუპირისპირდნენ და ფრედ 2:2 ეთამაშნენ. პირველი ტაიმი მთლიანად ყაზახური კლუბის უპირატესობით წარიმართა. "ქაირათმა" შესვენებამდე ორბურთიანი უპირატესობის მოპოვება მოასწრო. მერე კი "ნეფთჩის", უფრო სწორად კი **გიორგი ადამიას** დრო დადგა. ქართველმა ფორვარდმა ჯერ თანაგუნდელის ფლანგური ჩაწოდება დააგვირგვინა, ცოტა ხანში კი თავად შექმნა საგოლე ეპიზოდი და გაათანაბრა. საინტერესოა, რომ ადამია დემიანენკომ მოედანზე სწორედ მეორე ნახევარში შეუშვა და მიმომხილველებმა იგი თამაშის გმირად დაასახელეს. მატჩში მონაწილეობა არ მიუღია **თემურ ხარშილაძეს**, რომელიც ბაქოურ კლუბში გასასინჯადაა ჩასული. მისი ტრანსფერი ალბათ არ შედგება. აზერბაიჯანული სააგენტოების ცნობით, მწვრთნელი ხარშილაძის გარჯით უკმაყოფილოა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ექსტრიმი ავტოგრაფის მოყვარულებში

# რევაზ ძოძუაშვილს გერმანელმა ფანმა ყარაღანდაში ჩააკითხა

წარსულში ცნობილ ქართველი ფეხბურთელი, ამჟამად კი ყარაგანდის „შახტიორის" მთავარი მწვრთნელი **რევაზ ძოძუაშვილი** გერმანელმა ფანმა ყაზახეთში მოძებნა. ყარაღანდაში მოულოდნელად გავრცელდა ამბავი იმის შესახებ, რომ **ბერნდ ზომერმა** ძოძუაშვილს წერილი გაუგზავნა, სადაც თავი წარუდგინა.

თურმე ზომერი წლებია ცნობილი სპორტსმენების ავტოგრაფებს აგროვებს და დღემდე კოლექცია 38 600 ცნობილი ადამიანის ხელმოწერით შეავსო.

ახლა კი ბატონო რეზო, თქვენი ხელმოწერა მაკლიაო, წერილში საკუთარი მისამართიც დააფიქსირა და სთხოვა, ეგებ, არ დაიზაროთ და ავტოგრაფიანი სურათები ფოსტით გამომიგზავნოთო.

„მიხიჩას" გერმანელის წერილი, რა თქმა უნდა, ძალიან გახარებია და ავტოგრაფზე უარს ეტყოდა? კაცმა ცხრა მთის იქიდან ყაზახეთის სტეპებში მიაგნო. ბუნებრივია, სურათიანი ავტოგრაფი უკვე გზაშია და ზომერის კოლექციასაც გაამდიდრებს.

ყარაღანდის „შახტორის" ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილ მცველს, ყაზახეთშიც გვარიანდ აწუხებენ ავტოგრაფების მოყვარულები, მაგრამ ასეთი მსურველი მარადონასაც შოკში ჩააგდებდა. გამონაკლისი არც ქართველი სპეციალისტი აღმოჩნდა.

ძოძუაშვილმა გაიხსენა, რომ სანამ დიდი ფეხბურთში შეაბიჯებდა, თავადაც ჰქონდა ასეთი ტრადიცია და ცნობილ ქართველ და საბჭოთა ფეხბურთელებს ავტოგრაფებს სიხარულით ართმევდა. ასე შეუგროვებია მესხის, მეტრეველის, იაშინის, სტრელცოვის ხელმოწერებით ფურცლები და მათ, თურმე, დღემდე სათუთად ინახავს.

**მერაბ მამულაშვილი**


რევაზ ძოძუაშვილი

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე [illegible] საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1 თებერვლიდან.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**



## შაშიაშვილის ერთი ტაიმი

გერმანიის მსგავსად, შესვენება ავსტრიულ ბუნდესლიგაშიცაა გამოცხადებული. სეზონის მეორე ნაწილისთვის „შტურმი" აქტიურად ემზადება. გრაცელებმა საკონტროლო მატჩში ქვედალიგელი „ჰარტბერგი" 7:2 გაანადგურეს. **გიორგი შაშიაშვილი** ძირითადში იყო, შესვენების შემდეგ თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალეს. ავსტრიის ჩემპიონატი გერმანიისაზე ბევრად გვიან, 16 თებერვალს განახლდება. დღეისათვის, „შტურმი" ბუნდესლიგაში პირველ პოზიციაზეა 37 ქულით, მაგრამ სატურნირო ცხრილში ძალიან დიდი სიმჭიდროვეა. „შტურმის" მსგავსად, 37-37 ქულა აქვთ „ზალცბურგსა" და „აუსტრიას", „რაპიდის" აქტივში 36 ქულაა, „ლინცმა" კი 35 ქულა მოაგროვა.

## აკობია სომხეთშია

როგორ შევიტყვეთ, თბილისის "დინამოს" მცველი **ლევან აკობია** სომხეთშია და იქ გააგრძელებს კარიერას. შეგახსენებთ, რომ აკობია მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში "ბორჯომში" იყო განათხოვრებული. ის ამჟამად სომხურ "ულისში" ვარჯიშობს.

"ულისში" ვარ. ჩემთან ერთად კიდევ ერთი ქართველია - უგრეხელიძე. ახლა "არარატის' ბაზაზე ვემზადებით. მწვრთნელებს ჩვენი დიდი იმედი აქვთ და გვემადლიერებიან. როგორც გავიგე ჩვენი გუნდი ჩემპიონობისტვის იბრძოლებს", - "ლელოსთან' საუბარში აღნიშნა ლევან აკობიამ.

დავით ცაბაძე

## იაშვილი ნახევარი საათით

გუშინ „თუნმა" მორიგი ტესტ-მატჩი ქვედალიგელი „კონკორდიას" წინააღმდეგ ჩაატარა. **სანდრო იაშვილის** გუნდი თავიდან 2:0 დანინაურდა, პირველი ტაიმი 2:1 მოიგო, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ შეინარჩუნა, შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. თავად იაშვილი მოედანზე 59-ე წუთზე გამოჩნდა, ამ დროისთვის ანგარიში უკვე 2:2 იყო. ხვალ „თუნი" მარბელაზე სამხრეთ კორეის ოლიმპიურ ნაკრებს ესპარინგება.

## სალუქვაძე და ორი მეკარე



ყაზანის „რუბინი" ახალი სეზონისთვის თურქულ კურორტ ბელექში ემზადება. გუშინ ყურბან ბერდიევის გუნდი შვეიცარიულ „სენტ გალენს" გაეჯიბრა და ფრედ, 2:2 ეთამაშა. „რუბინის" ორი ქართველიდან მოედანზე ამჯერადაც მხოლოდ ერთი, **ლაშა სალუქვაძე** იყო. მან მატჩი სრულად ჩაატარა. „სენტ გალენთან" კარი პირველ ტაიმში **რიჟიკოვმა** დაიცვა, მეორეში კი **კოზკომ**. ორივე მათგანი „რუბინმა" ამ სატრანსფერო პერიოდში გადაიბირა.

ლევან ჯანეზაშვილი

## ჭელიძე ჩერნომორეცში ვარჯიშობს

ქართველი ნახევარმცველი **ზაზა ჭელიძე**, "ჩერნომორეცის" მიწვევით ოდესაში ცოტა ხნის წინათ გაემგზავრა. შეგახსენებთ, რომ ჭელიძემ მიმდინარე სეზონის პირველი წრე "ბათუმში" ჩაამთავრა და წრეებსშორისი პაუზისას "სიონში" დაბრუნდა. ზაზა ჭელიძე უკვე რამდენიმე დღეა "ჩერნომორეცთან" ერთად ვარჯიშობს. ოდესაში ის ტესტირებაზეა და მისი საკითხი წესით რამდენიმე დღეში უნდა გადაწყდეს.

"რამდენიმე დღეა რაც 'ჩერნომორეცის" მთავარ გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. ურთიერთობაში აშკარად ვგრძნობ, რომ მწვრთნელები ჩემს მიმართ სიმპატიით არიან განწყობილნი. ისინი მაკვირდებიან. ჩემი საკითხი წესით იანვრის ბოლომდე უნდა გადაწყდეს", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ზაზა ჭელიძემ.



## ბურდულს მასტერკლასი ჩაუტარეს

თურქეთში შეკრებაზე მყოფი ლუგანსკის „ზარია" ბუნდესლიგის ერთ-ერთ მაჩანჩალას, კოტბუსის „ენერგის" შეხვდა და 0:8 განადგურდა. **ლადო ბურდულმა** სრულად ითამაშა უკრაინული კლუბის შემადგენლობაში, გერმანელებმა მეტოქეს ტაიმებში ოთხ-ოთხი გოლი გაუტანეს. „ზარია" უკრაინის ჩემპიონატში 20 ქულით მეცხრე ადგილზეა, **გიორგი ციმაკურიძის** წასვლის მერე კლუბში მხოლოდ ერთი ქართველია - ლადო ბურდული.



ოთარ მარცვალაძე



კახა ალადაშვილი

# ბესონოვმა, ქართველებს კიდევ დავაკვირდებიო

„ხარკოვმა" თურქეთში ორკვირიანი შეკრება ჩაატარა, რასა ორდღიან დასვენებას და იმავე თურქეთში მეორე შეკრებას მიაყოლებს. მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ბესონოვმა** „ხარკოვსკი ვესტისთან" ახალწვეულ ფეხბურთელებზე ისაუბრა. მან რამდენიმე ფეხბურთელი დატოვა და ქართველებსაც შეეხო.

„ჯერჯერობით, კიევის „დინამოს" ორ ქართველზე, კახა ალადაშვილსა და ოთარ მარცვალაძეზე საუბარი გამიჭირდება. მიზეზი ისაა, რომ ჩვენ ისინი საქმეში საკმარისად ვერ ვნახეთ. ალადაშვილმა პირველი შეხვედრა გამოტოვა, მარცვალაძემ კი მეორე. ჩვენ ორივე მათგანის მეორე შეკრებაზე წაყვანა და მათი უკეთ შესწავლა გვსურს. ასე უფრო მკაფიო აზრი ჩამოგვიყალიბდება."

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

## ელიავამ უკვე ითამაშა
### სკონტომ დინაბურგი დაამარცხა

ახალი სეზონისთვის სამზადისს განაგრძობს რიგირს "სკონტო". **დავით გამეზარდაშვილისა** და **ზაალ ელიავას** გუნდმა "დინაბურგს" უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით 1:0 მოიგო. მატჩი ერთგვარი ქართული დერბი გახლდათ. "სკონტომ" ორი შემადგენლობით ისპარეზა. სასტარტო შემადგენლობაში გამეზარდაშვილი იყო. მეორე ტაიმი კი სრულად ითამაშა ელიავამ, რომელიც ტრავმის შემდეგ ჩანს უკვე გამოჯანმრთელდა. "დინაბურგის" რიგებში კი **შოთა ბაბუნაშვილმა** ითამაშა.

დღეს ეს გუნდები მორიგ ამხანაგურ შეხვედრებს ჩაატარებენ. "სკონტო" ლიტვურ "ეკრანასს" ეთამაშება", ხოლო "დინაბურგი" "დაუგავას".

დავით ცაბაძე



ზაალ ელიავა

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

იტალია. სერია A. XIX ტურის წინ

# შემოაბრუნებს ლუკარელი პარმას?

**დღეს**

**ჯენოა-ატალანტა**
**ფიორენტინა-ტორინო**

**ხვალ**

**იუვენტუსი-სამპდორია**
**ლივორნო-ემპოლი**
**ნაპოლი-ლაციო**
**პალერმო-სიენა**
**რეჯინა-კალიარი**
**რომა-კატანია**
**უდინეზე-მილანი**
**ინტერი-პარმა**

სერია A-ს მორიგი ტური "ჯენოა"-"ატალანტას" მატჩით იწყება. ბერგამოელები გენუაში პრობლემებით ჩავიდნენ. მცველი **მორის კაროციერი** და ფორვარდი **ანტონიო ლანჯელა** დისკვალიფიცირებულნი არიან, პორტუგალიელი ნახევარმცველი **კოშტინია** კი ჯერაც ტრავმას იშუშებს. მასპინძლებს საბრძოლო შემადგენლობა ჰყავთ. ამას გარდა, **ჯან პიერო გასპერინის** გუნდს განწობაც კარგი აქვს: წინა ტურში "ოლიმპიკოზე" ხომ "ლაციო" დაამარცხა (2:1).

"ტორინოს" მწვრთნელ **ვალტერ ნოველინოს** უკვე აქვს განცდა იმისი, რომ ყოველი შემდგომი წარუმატებლობა მას დროებით უმუშევრად დატოვებს. ამ მხრივ, "ფიორენტინასთან" გასვლა "ტოროსთვის" ლამის საკვანძო დაპირისპირებაა, თუნდაც ამ გუნდების ოდინდელი მეტოქეობის ფონზე. წინა ტურში **ჩეზარე პრანდელის** შეგირდებმა აჩვენეს, რომ კარგ ფორმაში არიან. "ვიოლას" ცენტრალური მცველი **დარიო დაინელი** დააკლდება. გაცილებით მძიმეა ნოველინოს დანაკლისი: მაგალითად, **ნიკოლა ვენტოლა, ალესანდრო როზინა, ჯანლუკა კომოტო, ალვარო რეკობა**... ალბათ, საკმარისია. ასე რომ, მასპინძელი უპირობო ფავორიტი გახლავთ.

კვირის მატჩებიდან რამდენიმე მათგანის გამოყოფა შეიძლება. ჩემპიონთა ლიგისთვის მებრძოლი "უდინეზე" მასპინძლობს "მილანს", რომელმაც გასულ კვირას მიმდინარე გათამაშებაში პირველი საშინაო გამარჯვება მოიპოვა. ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორია უდინელებისთვის, რომლებმაც იციან, რომ "როსონერი" სტუმრად ისედაც კარგად თამაშობს. თანაც, ახლა "მილანს" ჰყავს **ალეშანდრე პატო**, რის ხარჯზეც **კარლო ანჩელოტიმ** თავდასხმა სამ კაცზე ააგო: **კაკა-პატო-რონალდო**. სწორედ ამ მოდელით ითამაშებენ "შავ-წითლები" "ფრიულიზეც". მართალია, ნახევარდაცვაში სასჯელმოხდილი **ჯენარო გატუზო** მწყობრში ბრუნდება, მაგრამ მეორე მხრივ, არ იქნება **ანდრეა პირლო**, რომელმაც "ნაპოლისთან" მატჩში ზედმეტი გაფრთხილება მიიღო. ამას ემატება **მარეკ იანკულოვსკისა** და **ფილიპო ინძაგის** ტრავმაც. რაც შეეხება "უდინეზეს", **პასკუალე მარინოს** უფრო მეტი თავსატეხი აქვს, რადგან ნახევარდაცვას ერთბაშად ორი წამყვანი ფიგურა, **ჯანპიერო პინცი** (ტრავმა) და **გოხან ინლერი** (დისკვალიფიკაცია) დააკლდებიან. ასევე დასჯილია ბრაზილიელი მარჯვენა მცველი **ფელიპე**, თავდასხმაში კი არ იქნება განელი **გიან ასამოა**.

ჩემპიონობის მაძიებელი "რომა" მასპინძლობს "კატანიას", რომელსაც შარშან 7:0 მოუგო. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ანალოგიური ან მსგავსი ანგარიში ხვალაც განმეორდეს. უცნობია, რა გავლენას მოახდენს "ჯალოროსიზე" **ფრანჩესკო ტოტის** კრიტიკა მწვრთნელ **ლუჩანო სპალეტის** მიერ, რასაც ამ კვირაში ჰქონდა ადგილი. კაპიტანი, თუ სასწაული არ მოხდა, ძველებურად ძირითადში იქნება. სამაგიეროდ, ვერ ითამაშებენ განაპირა მცველები - **კრისტიან პანუჩი** და **მაქს ტონეტო**, რომლებიც დისკვალიფიცირებულნი არიან. დაცვაში გაუჭირდება "კატანიასაც", რომელსაც ცენტრალური მცველი **ლორენცო სტოვინი** არ ეყოლება.

საინტერესო თამაში უნდა იყოს "იუვენტუსი"-"სამპდორიაც". ერთი კვირის წინ, "ბებერი ქალბატონი" ძლივს გადაურჩა მარცხს კატანიაში, სადაც ანგარიში ბოლო წუთზე, **ალესანდრო დელ პიეროს** პენალტით გაათანაბრა. "სამპმა" კი იოლად მოუგო "პალერმოს" (3:0). ხვალ ტურინელებს უფრო მეტი მოტივაცია ექნებათ, თუმცა პრობლემებიც არ აკლიათ. **ჯონათან ზებინა, ჟორჟე ანდრადე, მაურო კამორანეზი** და **ჯორჯო კიელინი** ტრავმირებულები არიან, მარჯვენა ნახევარმცველ **ანტონიო ნოჩერინოს** კი ერთმატჩიანი სასჯელის მოხდა მოუწევს. "დორიასთვის" სერიოზული მინუსია ფორვარდ **ვინჩენცო მონტელას** ტრავმა. ამის გამო, **ვალტერ მაძარიმ** ჯერჯერობით ვერ აამუშავა მონტელასა და **ანტონიო კასანოს** ტანდემი, რომელსაც თავის დროზე "რომაში" წარმატებით იყენებდა **ფაბიო კაპელო**. ასე რომ, "სამპდორიას" ეს იარაღი ჯერ კიდევ რეზერვში აქვს.

"ნაპოლი" და "ლაციო" ხუთშაბათს თასზე შეხვდნენ ერთმანეთს. ორრაუნდიან დაპირისპირებაში რომაელებმა გაიმარჯვეს, თუმცა მწვრთნელ **დელიო როსისთვის** ბევრი არაფერი შეცვლილა. მისი მუშაობის შეფასებისას, მთავარი კრიტერიუმი ჩემპიონატია და ამ ფრონტზე ექსგრანდს საქმე მეტად არასახარბიელოდ აქვს. ახლა საკადრო დანაკლისს გადავხედოთ: **სტეფან მაკინვა, მურად მეგნი, ლუჩანო ძაური, ფაბიო ფირმანი, გაბი მუდინგაი, ტომაზო როკი** - თითქმის ყველა ძირითადი შემადგენლობის ხალხია. როსი იძულებულია, **გორან პანდევს** თავდასხმაში შეუწყვილოს **იგლი ტარე**, რომელსაც ამ სეზონში სასტარტო შემადგენლობა ჯერ არ მოუსინჯავს. რაც შეეხება "ნაპოლის", აქ სირთულეებია ნახევარდაცვაში, სადაც ურუგვაელი **ვალტერ გარგანო** (დისკვალიფიკაცია) ვერ ითამაშებს, პლუს ამას, ანალოგიური მიზეზით არ იქნება მისი თანამემამულე **მარსელო სალაიეტაც**.

"სიენასთან" საშინაო მატჩი "პალერმოსთვის" რეაბილიტაციის შანსია. საეჭვოა, შეძლებს თუ არა ტოსკანელი სტუმარი ახლახან გადაბირებული ფორვარდის **კრისტიან რიგანოს** ძირითადში დაყენებას. საქმე ისაა, რომ "ლევანტედან" წამოსულ ვეტერან თავდამსხმელს ტრავმა აღმოაჩნდა. რიგანოს გარდა, ვერ ითამაშებს მარცხენა მცველი და გუნდის კაპიტანი **ვალერიო ბერტოტოც**. **ფრანჩესკო გვიდოლინს** საბრძოლო შემადგენლობის დაყენება შეუძლია.

"რეჯინა"-"კალიარი" აუტსაიდერთა მატჩია. "სიენასგან" განსხვავებით, რეჯოკალაბრიელთა მწვრთნელ **რენცო ულივიერის** საშუალება ექნება, "პალერმოდან" მისულ **ფრანკო ბრიენცას** პირდაპირ სასტარტოში უკრას თავი. ამავე დროს, დიდი დანაკლისია ნახევარდაცვის "მოტორის" **ჯანლუკა ვიჯანის** ტრავმა. შუა ხაზში ბზარი აქვს "კალიარისაც" - **დანიელე კონტი** დისკვალიფიცირებულია.

"ლივორნო" და "ემპოლი" სერია A-ში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან, შესაბამისად, "არმანდო პიკიზე" უკომპრომისო ბრძოლაა მოსალოდნელი. მასპინძელთა მწვრთნელი **ჯანკარლო კამოლეზე** ძალზე სწუხს იმის გამო, რომ ვეტერანი ნახევარმცველი **ჯულიანო ჯანიკედა** კარგა ხნით გამოვიდა მწყობრიდან. არ იქნება ასევე გამოცდილი შუახაზელი **ემანუელე ფილიპინი** (დისკვალიფიკაცია). ნახევარდაცვაში დანაკლისი აქვს "ემპოლისაც", რაკი **გილერმო ჯაკომაცის** ერთმატჩიანი სასჯელი აქვს მოსახდელი.

დაბოლოს, "ინტერი"-"პარმა" "ჯუზეპე მეაცაზე", ტურის ბოლო აკორდი. "ნერაძურისთვის" ახლა ყოველი გამარჯვება სკუდეტოსკენ გადადგმული ნაბიჯია, "პარმისთვის" კი პირიქით - თითოეული მარცხი მას სერია B-სთან აახლოვებს. მნიშვნელოვანია, რომ პარმეზანებს სერიოზული მატება აქვთ წინა ხაზზე, ფორვარდ **კრისტიანო ლუკარელის** სახით. ვფიქრობთ, **ბერნარდო კორადისთან** ერთად მას მძლავრი ტანდემის შექმნა შეუძლია. ტრავმირებულებიდან აღსანიშნავია მცველ **ჯულიო ფალკონეს** არყოფნა. სიახლეა "ინტერშიც". დიდია შანსი, რომ **რობერტო მანჩინიმ** ხვალ ძირითადში ათამაშოს **ნუნუ მანიშე**, რომელიც ტრავმირებულ ნახევარმცველთა საკომპენსაციოდ გადაიბირეს. არაფერი შეიცვლება თავდასხმაში, სადაც **ხულიო კრუსისა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** დუეტს ვიხილავთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 18 | 14 | 4 | 0 | 40-11 | 46 |
| 2. რომა | 18 | 11 | 6 | 1 | 35-19 | 39 |
| 3. იუვენტუსი | 18 | 10 | 6 | 2 | 36-16 | 36 |
| 4. უდინეზე | 18 | 9 | 5 | 4 | 23-21 | 32 |
| 5. ფიორენტინა | 18 | 8 | 7 | 3 | 28-17 | 31 |
| 6. პალერმო | 18 | 6 | 7 | 5 | 25-30 | 25 |
| 7. სამპდორია | 18 | 7 | 3 | 8 | 25-24 | 24 |
| 8. ნაპოლი | 18 | 6 | 5 | 7 | 27-27 | 23 |
| 9. ატალანტა | 17 | 5 | 7 | 5 | 24-23 | 22 |
| 10. კატანია | 18 | 5 | 7 | 6 | 18-20 | 22 |
| 11. ჯენოა | 18 | 5 | 7 | 6 | 18-24 | 22 |
| 12. მილანი | 15 | 5 | 6 | 4 | 26-14 | 21 |
| 13. პარმა | 18 | 4 | 6 | 8 | 20-26 | 18 |
| 14. ლივორნო | 17 | 4 | 6 | 7 | 21-28 | 18 |
| 15. ლაციო | 18 | 4 | 6 | 8 | 20-27 | 18 |
| 16. ტორინო | 18 | 2 | 11 | 5 | 16-22 | 17 |
| 17. ემპოლი | 18 | 3 | 7 | 8 | 15-25 | 16 |
| 18. სიენა | 18 | 2 | 8 | 8 | 19-28 | 14 |
| 19. რეჯინა | 17 | 2 | 8 | 7 | 13-26 | 14 |
| 20. კალიარი | 18 | 2 | 4 | 12 | 13-34 | 10 |



კრისტიანი ლუკარელი და პარმის პრეზიდენტი ტომაზო გირარდი


იოაჰიმ ლიოვმა და იურგენ კლინსმანმა ბუნდესგუნდში ბრწყინვალედ იმუშავეს

ინტერვიუ იოაჰიმ ლიოვთან

# კლინსმანი ძალიან რისკავს...

## ლიოვი იურგენის არჩევანმა გააკვირვა, მაგრამ თანამოაზრის წარმატებებისა სჯერა

**გერმანიის ნაკრების მწვრთნელი იოაჰიმ ლიოვი "ბაიერნში" იურგენ კლინსმანის დანიშვნას გამოეხმაურა. თავის დროზე, ამ ტანდემმა საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა ბუნდესგუნდში და ერთგვარი ჩავარდნის შემდეგ მიაღწია იმას, რომ დღესდღეობით, გერმანიას ძველებურად ანგარიშგასაწევი და ამბიციური ნაკრები ჰყავს. კლინსმანის წასვლის შემდეგ ლიოვის დანიშვნა სწორედ იმის გარანტია უნდა ყოფილიყო, რომ მუნდიალით დაწყებულ კურსს გაგრძელება ჰქონოდა. ის, თუ ვინ არის, ან ვინ იქნება "ბაიერნის", როგორც ბუნდესლიგის წამყვანი კლუბის მწვრთნელი, ლიოვისთვის პირველხარისხოვანი საკითხია, ხოლო თუ ეს მწვრთნელი მისი თანამოაზრეა, სწორედაც რომ გერმანიის ნაკრების წისქვილზე ასხამს წყალს. ლიოვთან ინტერვიუ "ველტმა" მოამზადა...**

**- გჯეროდათ, რომ "ბაიერნის" მომავალი მწვრთნელი იურგენ კლინსმანი გახდებოდა?**

- ნამდვილად არაფერი ვიცოდი. როცა მან დამირეკა და მითხრა, რომ "ბაიერნის" წინადადება მიიღო, გაკვირვებული დავრჩი. ბოლო ხანებში მას რამდენჯერმე ვესაუბრე და დავრწმუნდი, რომ კვლავაც მოტივირებულია და მზადაა, სერიოზულ სამუშაოს მოჰკიდოს ხელი.

**- და რას იტყვით იმაზე, რომ მან ეს წინადადება მიიღო, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა "ბაიერნის" ხელმძღვანელობა მას ხშირად აკრიტიკებდა?**

- იურგენი არ არის ის ადამიანი, რომელიც კონტრაქტზე ხელს გუნება-განწყობილების მიხედვით აწერს. როცა ის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო, თითოეულ ნაბიჯს საგულდაგულოდ თვლიდა, წონიდა, აანალიზებდა... პედანტურად ემზადებოდა მატჩებისთვის და სავარჯიშო სქემებს ამუშავებდა. ვიცი, რომ მას ჰქონდა კონტაქტები ძლიერი კლუბების ხელმძღვანელებთან და მზად იყო ახალი თავგადასავლისთვის.

**- მისი სიჯიუტე და დამოუკიდებლობა ხომ არ გამოიწვევს კონფლიქტს "ბაიერნის" მესვეურებთან?**

- წინასწარ ამის თქმა ძნელია. მთავარია, იურგენმა არ გადაუხვიოს იმ გზას, რომელიც აირჩია. ვიცნობ კარგად მის ხასიათს და ვიცი, რომ თუ რაღაც მიზანი დაისახა, მას ბოლომდე მიჰყვება. "ბაიერნის" ბოსები უნდა შეეგუონ იმ აზრს, რომ კლინსმანი გუნდში ახალ ხალხს მიიყვანს. სხვათა შორის, ასეთივე პირობები სჭირდებოდა ჰიტცფელდსაც. დარწმუნებული ვარ, იურგენი უკვე დააყენებდა თავის მოთხოვნებს.

**- აქამდე მას მხოლოდ სანაკრებო მწვრთნელის გამოცდილება ჰქონდა. შეძლებს ის, გახდეს საკლუბო მასშტაბის მწვრთნელი?**

- მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ნაკრებში აბსოლუტურად გამოუცდელი მოვიდა და ამის მიუხედავად, თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ის მზად არის იმისთვისაც, რომ კლუბშიც იმუშაოს, სხვა შემთხვევაში, "ბაიერნის" წინადადებას არ მიიღებდა. მას ხშირად უწევდა კალიფორნიაში გამგზავრება, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა. ახლა კი, როცა ოჯახს გერმანიაში ჩამოიყვანს, ძლიერ ზურგს იგრძნობს და უფრო დამაჯერებლადაც იმუშავებს. დარწმუნებული ვარ, კლინსი გააძლიერებს "ბაიერნს".

**- შეიძლება, ნაკრებში მზადების სისტემის კლუბში დანერგვა?**

- რა თქმა უნდა. კლინსმანის მომზადების მეთოდიკა დაფუძნებულია ახალგაზრდა მოთამაშეთა უნარების სრულყოფაზე. თანაც, "ბაიერნი" მას ფეხბურთელებთან ყოველდღიური კონტაქტი ექნება, ეს კი განუხრელი პროგრესის წინაპირობა და დიდი პლუსია. მას ნახევარი წელი აქვს იმისთვის, რათა ყველაფერი გააანალიზოს. მერე კი, შეუძლია, თავით გადაეშვას სამუშაოში და გააკეთოს ის, რაც ნაკრებისთვის გააკეთა. ვგულისხმობ, კომპაქტური ჯგუფებით ვარჯიშსა და მზადების მუდმივ კონტროლს, ინდივიდუალური წვრთნა თანაშემწეებთან ერთად. მნიშვნელოვანია, რომ 25 ფეხბურთელს მხოლოდ 2 მწვრთნელი არ ეყოლება.

**- ის "ბაიერნშიც" დიდ შტაბს ჩამოაყალიბებს?**

- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ იურგენი თავს მოუყრის ხალხს, რომელიც უმაღლეს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ყველა ასპექტი იქნება გათვლილი, დაწყებული ფიზმომზადებით და დამთავრებული ფსიქოლოგიით. მხოლოდ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი არ ეყოლება...

**- მაგრამ ასისტენტის როლი ხომ ძალიან მნიშვნელოვანია? ეროვნულ ნაკრებში თქვენ კლინსმანს აძლევდით რჩევებს ტაქტიკის მხრივ. ახლა ვინ გააკეთებს ამას? ასახელებენ ფოლკერ ფინკეს, გვიდო ბუხვალდს...**

- მარტო იურგენისთვის არა, კარგი თანაშემწე ნებისმიერ მწვრთნელის წარმატებული მუშაობისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. შეუძლებელია, რომ კაცმა ყველაფერი იცოდე.

**- და მაინც, როგორი უნდა იყოს კარგი ასისტენტი?**

- მას დამოუკიდებლად მუშაობაც უნდა შეეძლოს, იყოს კომპეტენტური და ფეხბურთელებისადმი ყურადღებიანიც. კლინსმანი მას რაღაც სფეროს გამოუყოფს, მისცემს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას, მაგრამ ყველას ეცოდინება, რომ გუნდში უპირველესი ავტორიტეტი მთავარი მწვრთნელია.

**- მაგრამ ამ ავტორიტეტს, შეიძლება, ჩრდილი მიადგეს, თუ "ბაიერნში" მისი მოღვაწეობა წარუმატებელი იქნება...**

- ცხადია, იურგენი ძალიან რისკავს, მაგრამ ყველა, ვისაც უნდა, რომ რამეს მიაღწიოს, რისკის გარეშე ეს არ გამოვა. კლინსმანი ყოველთვის ცდილობს, რომ წინ იაროს...

**- გიხარიათ, რომ გერმანიის საუკეთესო კლუბის მთავარი მწვრთნელი თქვენი კარგი ნაცნობია?**

- მიხარია გერმანული ფეხბურთის, "ბაიერნის", იურგენისა და, რა თქმა უნდა, ნაციონალური გუნდის გამო. მე და კლინსმანს ფეხბურთზე იდენტური შეხედულებები გვაქვს. ჩვენეული ფილოსოფია ძალიან ჰგავს ერთმანეთს. კარგია, როცა ნაკრებისა და კლუბის მწვრთნელი მჭიდრო კონტაქტში არიან.

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIII ტური

# მთელი ყურადღება ნიუკასლისკენ

## მესიის მეორედ მოსვლა სენტ ჯეიმსზე...

**დღეს**

ბირმინგემი-ჩელსი
ბლექბერნი-მიდლსბრო
ფულემი-არსენალი
პორტსმუთი-დერბი
რედინგი-მანჩესტერ იუნ.
ტოტენემი-სანდერლენდი
ნიუკასლი-ბოლტონი

**ხვალ**

ვიგანი-ევერტონი
მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი

**ზეგ**

ლივერპული-ასტონ ვილა

ამ ტურში მიმომხილველთა ყურადღება ნიუკასლისკენ იქნება მიპყრობილი. "სენტ ჯეიმს პარკზე" **კევინ კიგანის** ხელახალი დებიუტი შედგება. მისი შეგირდები ფავორიტები არიან: "ბოლტონმა" სტუმრად ერთი მატჩიც კი ვერ მოიგო. მეტოქის მოედანზე ჩატარებული ბოლო ოთხი შეხვედრა კი წაგებული აქვს. ჯორდებს ხასიათი გამოუკეთა ასოციაციის თასის მესამე რაუნდში მოპოვებულმა გამარჯვებამ: ოთხშაბათს "ნიუკასლმა" "სტოკ სიტის" 4:1 გადაუარა. კიგანი იმ თამაშს სტუმრის რანგში დაესწრო. დღეს ის სათადარიგოთა სკამზე იქნება. ახალ მწვრთნელს უმწვავესი საკადრო პრობლემები დახვდა. სადებიუტო შეხვედრაში მას ფაქტობრივად მთელი ძირითადი შემადგენლობაში გამოაკლდება - **ემრე, ალან სმიტი** და **ნიკი ბატი** დასჯილები არიან. ოთხი აფრიკელი ლეგიონერი კონტინენტის პირველობაზე იმყოფება. კიგნის განკარგულებაში მხოლოდ 12 ფეხბურთელია. ასე რომ არჩევანი დიდი არ არის. "სენტ ჯეიმსზე" კიდევ ორ დებიუტს ელოდებიან. "ბოლტონის" შემადგენლობაში პირველად ითამაშებენ მარჯვენა მცველი **გრეტან სტეინსონი** და ნახევარმცველი **მეტ ტეილორი**.

გასულ ტურში ნიუკასლი მინასთან გაასწორეს. მას "მანჩესტერ იუნაიტედმა" ექვსი უპასუხო გოლი გაუტანა. **კრისტიანო რონალდომ** მანჩესტერულ კარიერაში პირველი ჰეთ თრიკი შეასრულა. დღეს "იუნაიტედი" "რედინგის" მზაყოფნას შეამოწმებს. სამშაბათს რედინგელები ასოციაციის თასს გამოეთიშნენ. ისინი "ტოტენჰემთან" დამარცხდნენ. "იუნაიტედისა" და "რედინგის" შეხვედრა პრემიერლიგის უსუსტესი დაცვისა და ყველაზე მრისხანე თავდასხმის დაპირისპირება იქნება. "რედინგმა" 22 მატჩში 47 გოლის გაშვება მოასწრო. "მანჩესტერმა" - 44 გოლი გაიტანა. "იუნაიტედს" ერთ მატჩში საშუალოდ ორი გოლი გააქვს და ორ მატჩში საშუალოდ ერთ გოლს უშვებს. "ეშმაკები" ბოლო ათ წუთში ყველაზე სახიფათონი არიან. მათ ამ სეზონში მე-80-დან 90-ე წუთამდე ყველაზე მეტი, 11 გოლი გაიტანეს. "რედინგმა" კი თამაშის დასკვნით ნაწილში 11 გოლი მიიღო. რედინგელებს გამოცდილი ცენტრალური მცველი **მაიკლ დაბერი** ვერ დაეხმარება. სამი ფეხბურთელი აფრიკის ერთა თასზეა. კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს კი ტრავმა აქვს. "იუნაიტედს" **ოუენ ჰარგრივსი** გამოუჯანმრთელდა. სასჯელი მოიხადა **ვესლი ბრაუნმა. ლუის საას** დაყენებას კი, ალბათ, არც დღეს გარისკავენ.

გასულ უქმეებზე "არსენალმა" "ბირმინგემთან" ორი ქულა დაკარგა და მაშინვე გამოეთხოვა პირველ ადგილს. დღეს "მეთოფეები" მორიგ დერბის ჩაატარებენ. ამჯერად მათი მეტოქე ის "ფულჰემია", რომელიც "ემირატსიდან" ყველა სხვა ლონდონურ კლუბზე ახლოს ცხოვრობს. "არსენალმა" "ფულჰემის" სტადიონზე 1966 წლის შემდეგ ჩატარებული რვა შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წააგო, ისიც გასულ სეზონში. წელს "მეთოფეებმა" ექვსი ლონდონური დერბი გამართეს და ექვსივეში გაიმარჯვეს. შედარებისათვის, "ფულჰემს" ლონდონურ დერბებში 13-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს. ბოლო წარმატება 2006 წლის 29 ნოემბრით თარიღდება - როგორც აღვნიშნეთ, ფულჰემელებმა "არსენალს" სძლიეს. **როი ჰოჯსონს** ცენტრალური მცველი **პოლ კონჩესკი** ვერ დაეხმარება. ის სასჯელს იხდის. სამაგიეროდ, წამყვანი ნახევარმცველი **ჯიმი ბულარდი** გამოჯანმრთელდა. სტუმრებს მწყობრში ჰყავთ ტომაშ როსიცკი. კვლავ ვერ ითამაშებენ **რობინ ვან პერსი** და **იოჰან ჯურუ. კოლო ტურე, ემანუელ ებუე** და **ალექსი სონგი** კი აფრიკის თასზე იმყოფებიან.

გასულ უქმეებზე "ჩელსიმ" "ლივერპული" რვა ქულით ჩამოიტოვა. "არისტოკრატებს" ლიდერებისაგან ოთხი ქულა აშორებს. საინტერესოა, რომ ბირმინგემთან გამარჯვების შემთხვევაში, "ჩელსი" პრემიერლიგაში მე-300 თამაშს მოიგებს, ხოლო წაგების შემთხვევაში - მე-100-დ დამარცხდება. გუნდს ორივე შემთხვევაში საიუბილეო ნიშნულთან აქვს საქმე. "ჩელსისა" და "ბირმინგემს" სეზონის მსვლელობისას მწვრთნელები შეეცვალათ. ავრამ გრანტმა ლურჯების სათავეში 16 ჩაატარა და 11 მოიგო, ხოლო **ალექს მაკლიშმა** რვა თამაში ჩაატარა და ორი მოიგო. "ბირმინგემს" კაპიტანი **დემიენ ჯონსონი** ჰყავს დაშავებული. "ჩელსი" **ფრენკ ლემპარდის** დიაგნოზს ელოდება. ინგლისის ნაკრების ნახევამცველს ბარძაყის კუნთი აწუხებდა, მაგრამ ამ კვირაში ვარჯიში განაახლა. აფრიკის ერთა თასის გამო "არისტოკრატებსაც" დიდი ძალა გამოაკლდათ. ახალწვეულები - **ნიკოლა ანელკა** და **ბრანისლავ ივანოვიჩი,** შეიძლება, ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ.

"ლივერპული" "ასტონ ვილას" ორშაბათს შეხვდება. შუა კვირაში მერსისაიდელებმა ასოციაციის თასზე "ლუტონთან" გაივარჯიშეს (5:0). გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე პლაკატები გამოფინეს და **რაფა ბენიტესს** მხარდაჭერა გამოუცხადეს. ეს პასუხი იყო **ტომ ჰიკსის** განცხადებაზე - ნოემბერში **იურგენ კლინსმანს** მთავარი მწვრთნელობა შევთავაზეო. "ლივერპულს" "ასტონ ვილასთან" 13-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. მასპინძლებს **დანიელ აგერი** ვერ დაეხმარება. დანიელ მცველს ტერფის ტრავმა აქვს. სათასო მატჩის გამოტოვების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ **სტივ ფინენსა** და **ხავიერ მასკერანოს**. სადებიუტო მატჩის ჩასატარებლად ემზადება **მარტინ შკრტელი,** რომელიც "ზენიტიდან" ამ კვირაში გადაიყვანეს. "ვილას" მეკარის შეცვლა მოუწევს. ბირმინგემელთა კარს **სკოტ კარსონი** იცავს. კარსონი კი, მოგეხსენებათ, "ლივერპულის" საკუთრებაა და "ვილაში" ერთწლიანი იჯარით თამაშობს. გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს იმას, რომ კარსონმა მისი მფლობელი კლუბის წინააღმდეგ არ უნდა ითამაშოს. ამიტომ სტუმართა კარს **სტიუარტ ტეილორი** დაიცავს. მას ამ სეზონში ძირითად შემადგენლობაში მესამედ დააყენებენ.

ოთხეულში მოსახვედრად მებრძოლი "ევერტონი" "ვიგანს" ესტუმრება. მასპინძელთა შემადგენლობაში პირველად ითამაშებს ფრანგული "რენიდან" 500 ათასი გირვანქად გადაყვანილი შვედი მცველი **ერიკ ედმანი**. ვიგანელებს თითქმის სრული შემადგენლობა ჰყავთ. ვერ ითამაშებენ რაიან ტეილორი, რომელსაც მუხლი აწუხებს და **კარლო ნეში**. მას ფეხი აქვს მოტეხილი. "ევერტონს" **ენდრიუ ჯონსონი** ვერ დაეხმარება. ის ვარჯიშისას დაშავდა. მოედანს უბრუნდება ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **ლეონ ოსმანი,** რომელსაც თვეზე მეტია, არ უთამაშია.

"ტოტენჰემის" ნახევარმცველმა **ტომ ჰადლსტონმა,** როგორც იქცა, სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. ერთმატჩიანი დასვენების შემდეგ მინდორზე ვიხილავთ **ლედლი კინგს,** აგრეთვე **დიმიტარ ბერბატოვს,** რომელსაც სურდო შეეყარა და სათასო მატჩი გამოტოვა. განაცხადში იქნება მეკარე **პოლ რობინსონიც,** რომელსაც რამდენიმე დღის წინ ბავშვი შეეძინა. "სანდერლენდს" სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება გარემარბი **როს ულესი.** მას მუხლის მყესები აქვს განყვეტილი. ტურის კიდევ ერთ შეხვედრაში "ბლექბერნი" "მიდლსბროს" მასპინძელია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 22 | 16 | 3 | 3 | 44-11 | 51 |
| 2. არსენალი | 22 | 15 | 6 | 1 | 43-17 | 51 |
| 3. ჩელსი | 22 | 14 | 5 | 3 | 35-16 | 47 |
| 4. ლივერპული | 21 | 10 | 9 | 2 | 35-14 | 39 |
| 5. ევერტონი | 22 | 12 | 3 | 7 | 38-22 | 39 |
| 6. ასტონ ვილა | 22 | 11 | 6 | 5 | 40-28 | 39 |
| 7. მანჩესტერ სიტი | 22 | 11 | 6 | 5 | 29-23 | 39 |
| 8. ბლექბერნი | 22 | 10 | 6 | 6 | 30-29 | 36 |
| 9. პორტსმუთი | 22 | 9 | 7 | 6 | 31-22 | 34 |
| 10. ვესტ ჰემი | 21 | 9 | 5 | 7 | 27-20 | 32 |
| 11. ნიუკასლი | 22 | 7 | 5 | 10 | 27-39 | 26 |
| 12. ტოტენჰემი | 22 | 6 | 6 | 10 | 42-40 | 24 |
| 13. რედინგი | 22 | 6 | 4 | 12 | 30-47 | 22 |
| 14. მიდლსბრო | 22 | 5 | 6 | 11 | 19-36 | 21 |
| 15. ბოლტონი | 22 | 5 | 5 | 12 | 24-34 | 20 |
| 16. ბირმინგემი | 22 | 5 | 5 | 12 | 23-33 | 20 |
| 17. ვიგანი | 22 | 5 | 5 | 12 | 22-37 | 20 |
| 18. სანდერლენდი | 22 | 5 | 5 | 12 | 22-40 | 20 |
| 19. ფულჰემი | 22 | 2 | 9 | 11 | 23-39 | 15 |
| 20. დერბი | 22 | 1 | 4 | 17 | 10-47 | 7 |



კევინ კიგანი და ნიუკასლის აღმასრულებელი დირექტორი კრის მორტი


ჯერმეინ დეფო ლონდონიდან, შეიძლება, ჩრდილოეთში წავიდეს

ნიუკასლი

# კიგანი საქმეს შეუდგა

## დეფო, მისი პირველი შენაძენი? ახალი მწვრთნელი თასისა და ოთხეულისათვის ბრძოლას აპირებს...

**კრის კოულმენს** "ნიუკასლში" დანიშვნის შესახებ, დადასტურდა. უელსელი სპეციალისტი კიგანის თანაშემწე გახდა. ბრიტანელ ჟურნალისტებს კოულმენის კონტრაქტის დეტალები ჯერ არ დაუზუსტებიათ. არ წყდება სპეკულაციები **ალან შირერის** დაბრუნების თაობაზე. კიგანმა განაცხადა, რომ მას აუცილებლად დაუკავშირდება და რაიმე პოსტს შესთავაზებს. მისტერ კევინი ამბობს, რომ უნდა, "ნიუკასლში" საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს მოუყაროს თავი.

ზემოთ დეფოს ვახსენეთ. ჯორდების დამრიგებლის სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. მას მანჩესტერ იუნაიტედის მცველის, **ვესლი ბრაუნის** შეძენაც სურს. "დეილი მეილის" ცნობით, იანვრის ტრანსფერებისათვის მწვრთნელს 40 მილიონ ევროს გამოუყოფენ. ზაფხულში მას კიდევ 80 მილიონის დახარჯვა შეეძლება. კიგანს უსაზღვრო ნდობას უცხადებენ. მისტერ კევინი ამბობს, გაძლიერების გარეშე ამ გუნდითაც შეგვიძლია, ასოციაციის თასისთვის ვიბრძოლოთ და ჩემპიონატის საუკეთესო ოთხეულში მოვხვდეთო.

"ნიუკასლის" ახალი თავკაცი **კევინ კიგანი** საქმეს უნდა შეუდგა. კლუბს შეტევის გაძლიერება სჭირდება. ამ მიზნით "კაჭკაჭებს" ტოტენჰემელი **ჯერმეინ დეფოს** შეძენა სურთ. შეგახსენებთ, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, "მამლების" ესპანელმა დამრიგებელმა **ხუანდე რამოსმა** ფეხბურთელს ახალი კლუბის მოძიება ურჩია. მოსალოდნელია, რომ ჯორდები ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. აქვე გეტყვით, რომ ინფორმაცია, "ფულჰემისა" და "რეალ სოსიედადის" ყოფილი დამრიგებლის,

რეალი

# 50 მილიონი კრისტიანოს სანაცვლოდ

## სამეფო კლუბი ჟიუტოზს, გაგოს იჯარით გაშვებას უპირებენ, რამოსი კი სპეკულაციებს უარყოფს...

"რეალის" ხელმძღვანელობამ გააფრთხილა "მანჩესტერის" შეფები, რომ მათი ხისტი პოზიციის მიუხედავად, კრისტიანო რონალდოს ტრანსფერზე უარს არ იტყვიან. ამ ინფორმაციას პოპულარული ბრიტანული ტაბლოიდი "სანი" გვაუწყებს. სამეფო კლუბის ბოსებს განზრახული აქვთ, მანკუნიანელებს ლიდერის სანაცვლოდ 50 მილიონი გირვანქა შესთავაზონ და ტრანსფერი სეზონის დასრულებისთანავე სრულყონ. *"რონალდო ბრწყინვალე ფეხბურთელია. მშვენივრად ვიცით, რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ასეთი ფეხბურთელის შეძენა. მაგრამ განზრახვაზე უარის თქმას არ ვაპირებთ. თუ მისი ყიდვის შანსი ოდესმე გაჩნდება, მოლაპარაკებას დაუყოვნებლივ გავმართავთ. კრიატიანოზე მსოფლიოს ვერც ერთი კლუბი ვერ იტყვის უარს,"* - განაცხადა მადრიდელთა სპორტულმა დირექტორმა **პრედრაგ მიატოვიჩმა**.

კიდევ ორი ინფორმაცია მადრიდელთა ბანაკიდან. ბერნდ შუსტერი არგენტინელი ნახევარმცველის, ფერნანდო გაგოს თამაშით იმედგაცრუებულია. 21 წლის ფეხბურთელს დროებით სხვა კლუბში გაშვებას უპირებენ. "რეალმა" იუვენტუსის პორტუგალიელ საყრდენს, ტიაგო მენდეშს დაადგა თვალი. შესაძლოა, "ქალბატონს" ფეხბურთელების გაცვლა შესთავაზონ. თუ გარიგება არ შედგება, დედაქალაქელები ყველაფერს ილონებენ, რათა გაგო ახალ სამსახურში იჯარით მაინც მოაწყონ.

"რეალის" ცენტრალურმა მცველმა სერხიო რამოსმა კი განაცხადა, რომ დირექტორებისაგან ხელფასის გაზრდა, თანაც ულტიმატუმის ტონით, როგორც ამას ესპანური გაზეთები წერენ, არასოდეს მოუთხოვია. სპეკულაციების თანახმად, ფეხბურთელი დღევანდელი ანაზღაურებით უკმაყოფილოა და ახალ სამსახურს ეძებს. უფრო მეტიც, ცალკეულ გეზეთებში დაიწერა, რომ რამოსი იტალიაში წასვლას აპირებს და მომავალი კლუბიც შერჩეული ჰყავს. "ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ "რეალთან" ხანგრძლივი კონტრაქტი მაკავშირებს. მე მხოლოდ ამ კლუბში თამაში მინდა. "ბერნაბეუზე" კარიერას სიამოვნებით დავასრულებდი. რეალიდან წასვლაზე არასოდეს მიფიქრია. რაც შეეხება ხელფასის გაზრდას, ეს კლუბის პრეროგატივაა. ვფიქრობ, დირექტორები თვითონ გადაწყვეტენ ამ საკითხს, როცა ამის აუცილებლობა იქნება."



არ წყდება სპეკულაციები რონალდოს მადრიდში მოსალოდნელი ტრანსფერის თაობაზე

ვოლფსბურგი

# ნადი, სიმონ, საქმე ნახე!

## დესპოტმა ფელიქსმა იენტცში მოკვეთა და მგლებში ბენალიო მიჰყავს...

„გარემოებების გათვალისწინებით" - ამ გამოთქმას ყველაზე ხშირად ექიმები ხმარობენ. როცა მძიმე ავადმყოფთან აქვთ საქმე... „ვოლფსბურგის" მეკარე **სიმონ იენტცში** მძიმე ავადმყოფი არ არის, მაგრამ კარიერის თვალსაზრისით კი მართლაც ძალიან მძიმედ აქვს საქმე. „მგლების" მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** მას პირდაპირ განუცხადა, რომ აღარ სჭირდება - 31 წლის მეკარე იძულებულია, ახალი გუნდი ეძებოს. „დესპოტმა ფელიქსმა" იენტცშს თავისი გადაწყვეტილება შეკრების ბოლო დღეს „გაანდო". მაგათი ამბობს, გარემოებების გათვალისწინებით მასთან საკმაოდ კონსტრუქციული საუბარი მქონდაო.

*„სიმონს ვუთხარი, რომ ის ჩემს გეგმებში არ ჯდება და რომ ახალი გუნდის ძებნა მოუწევს. ჩვენ კი ახალ მეკარეს ვიყიდით,"* - აცხადებს მაგათი და დასძენს, - *„მე მას უბრალოდ ველარ ვენდობი. გადავწყვიტე, მეორე წრისთვის ახალი მეკარე შევიძინო."*



სიმონ იენტცში

ახალი მეკარის საკითხი კი უკვე თითქმის გადაწყვეტილია. ჩვენი გერმანელი კოლეგები „ვოლფსბურგთან" მიმართებაში ბოლოს **ჰაინც მიულერს** ახსენებდნენ, რომელიც ინგლისის პირველ ლიგაში მოასპარეზე „ბარნსლის" გოლკიპერია. მიულერი ტოპ-კანდიდატად მიიჩნეოდა, მაგრამ „კიკერის" ინფორმაციით, „ვოლფსბურგი" სულ სხვა მეკარეს, კერძოდ შვეიცარიელ **დიეგო ბენალიოს** ყიდულობს.

*„კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, მაგრამ „ვოლფსბურგში" მივდივარ. ეს უკვე გადაწყვეტილია,"* - უთქვამს ბენალიოს საუკეთესო მეგობრისთვის. ეს ინფორმაცია „ვოლფსბურგერ ალგემაინე ცაითუნგმა" მოიძია. 24 წლის შვეიცარიელ კიპერს რომის „ლაციო" და სხვადასხვა პორტუგალიური კლუბებიც იწვევენ. საინტერესოა ის, რომ ბენალიო მაგათის ძველი ნაცნობია. როცა ფელიქსი „შტუტგარტის" დამრიგებელი იყო, ბენალიო შვაბური კლუბის მესამე მეკარე გახლდათ **ტიმო ჰილდებრანდისა** და **თომას ერნსტის** შემდეგ. 2005 წელს კი მან მადეირას „ნასიონალს" მიაშურა, სადაც პირველი მეკარე გახდა, მოგვიანებით კი შვეიცარიის ნაკრების კარის დაცვასაც შეუდგა. შვეიცარიის პირველ გუნდში მას 7 მატჩი აქვს ჩატარებული.

*„დიეგო თანამედროვე მეკარეა, რომელიც დაცვასაც ძალიან კარგად ეხმარება. თანაც, ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა და შეუძლია, კიდევ განვითარდეს და უფრო მაღალი დონის მეკარედ ჩამოყალიბდეს,"* - აცხადებს მაგათი და იქვე ამატებს, - *„თუკი ის პორტუგალიასა და შვეიცარიაში თამაშობს, ბუნდესლიგაშიც ითამაშებს".*

რაც შეეხება „ვოლფსბურგის" მეორე მეკარე **ანდრე ლენცს**, რომელიც იენტცშს ცვლიდა. მაგათი ამბობს, მას უკვე ვუთხარი, რომ როცა ახალ მეკარეს ვიყიდით, ისევ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებსო. ჯერჯერობით უცნობია, რა ბედი ელის იენტცშს. ახალი კლუბი მას ჯერ არ უპოვია. როგორც ირკვევა, ინგლისიდან, ესპანეთიდან და თურქეთიდან აქვს წინადადებები. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ვოლფსბურგი" მზადაა, იენტცშს ყოველგვარი საზღაურის გარეშე შეელიოს - მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი „მგლებთან" 2011 წლამდე აქვს გაფორმებული.

## ნუთიერი დუმილი აღარ იქნება

BBC-ის ცნობით, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უახლოეს ამხანაგურ მატჩზე მიუნხენის ცნობილი ავიაკატასტროფისას დაღუპული **„ბასბის ბიჭების"** საპატივსაცემოდ წუთიერი დუმილი აღარ გამოაცხადოს, რაც ალბიონელთა და შვეიცარიელთა ამხანაგურ მატჩისას იყო დაგეგმილი. შეგახსენებთ, რომ სწორედ აღნიშნული თამაშის დღეს, 6 თებერვალს, ტრაგედიიდან 50 წელიწადი ხდება. კატასტროფას 23 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის „მანჩესტერის" 8 ფეხბურთელი იყო. *„საფეხბურთო ასოციაცია, „მანჩესტერის" ხელმძღვანელებთან ერთად, ყველაფერს აკეთებს ამ თარიღის აღსანიშნავი სხვა ღონისძიებების ღირსეულად ორგანიზებისთვის,* - განაცხადა ასოციაციის წარმომადგენელმა, - *თამაშის დაწყებამდე სტადიონის ეკრანებზე მოეწყობა დაღუპული ფეხბურთელების სურათების დემონსტრირება. ნაკრების ფეხბურთელები თამაშზე შავი, სამგლოვიარო სამკლაურით გამოვლენ".*

ასოციაციის წარმომადგენელმა კატეგორიულად უარყო მასმედიის საშუალებებით გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ წუთიერი დუმილით მატჩის დაწყება იმის გამო გადაიფიქრეს, რომ თითქოს მოსალოდნელი იყო ტრიბუნაზე მოსული მაყურებლის მხრიდან დაღუპულთა ხსოვნისადმი არასათანადო დამოკიდებულება და ამით ეტიკეტის დარღვევა.

## კლუბების ასტრონომიული დანახარჯები

მოგეხსენებათ, სატრანსფერო ფანჯარა ახალი წლის დადგომისთანავე იხსნება. მას მერე ჯერ სამი კვირაც კი არაა გასული და ინგლისური კლუბების სატრანსფერო დანახარჯებმა უკვე 88 მილიონ გირვანქას უწია. ამით ისინი „ახალ სიმაღლეზე გავიდნენ", ანუ ახალი რეკორდი დაამყარეს, გვამცნობს „დეილი ტელეგრაფი". წინა მიღწევა დაფიქსირებული იყო 2006 წლის იანვარში, როდესაც ახლანდელზე მთელი 7 მილიონი გირვანქით ნაკლები დაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანხის ერთ მეოთხედზე მეტი, დაახლოებით 24 მილიონი, ხუთშაბათ დღეზე მოდის. სულაც არ გაგაკვირვებთ, თუ გამოგიტყდებით, რომ ამხელა თანხა ერთ დღეში **რომან აბრამოვიჩის** „ჩელსიმ" გაიღო. შეიძინა რა **ნიკოლა ანელკა** და **ბრანისლავ ივანოვიჩი**.

## ტყუპები მანჩესტერში

იანვრის ბოლომდე „მანჩესტერ იუნაიტედი" ბრაზილიელ ტყუპებს, **ფაბიოსა** და **რაფაელ სილვებს** შეიძენს. 17 წლის ძმები „ფლუმინენსეში" ასპარეზობენ. „ეშმაკებს" მათი შეძენა 5.2 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. „მენიუ" „ფლუმინენსეს" 2006 წლის ზაფხულში გაურიგდა. წელიწადნახევრის წინ კლუბებმა წინასწარი კონტრაქტი გააფორმეს. ფაბიომ და რაფაელმა **სერ ალექს ფერგიუსონის** ყურადღება ჰონკონგის ახალგაზრდულ ტურნირზე მიიპყრეს. მომდევნო კვირაში ისინი ინგლისში ჩავლენ, სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და კლუბის სრულფასოვანი წევრები გახდებიან.

## ლე მონდი ბარსას 300 ათასს გადაუხდის...

პოპულარულ ფრანგულ გამოცემა „ლე მონდსა" და მის ჟურნალისტს **სტეფან მანდარს** „ბარსელონის" სასარგებლოდ 300 ათასი ევროს გადახდა დაეკისრათ. სასამართლომ დააკმაყოფილა კატალონიური გრანდის საჩივარი და 2006 წლის დეკემბერში, „ლე მონდში" გამოქვეყნებული სტატია „ბარსაში" აკრძალული პრეპარატების გამოყენების შესახებ, ცილისწამებად სცნო. სასამართლომ გაზეთს მისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებაც დააკისრა: საკუთარ საგაზეთო გვერდსა და ინტერნეტ-გვერდზე. „ლე მონდი" განაჩენის გასაჩივრებას აპირებს. მთავარი რედაქტორის, **ლორან გრეილსამერის** თქმით, გადაწყვეტილება მეტისმეტად მკაცრია. მისი გაზეთი საკუთარი უფლებების დასაცავად ყველაფერს ილონებს. მოსიე მარდარის სტატიაში საუბარი იყო ექიმ **ეუფემიანო ფუენტესის** შესახებ, რომელმაც ველოსპორტში დოპინგთან დაკავშირებული სკანდალისას გაითქვა სახელი. ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ სენიორ ფუენტესი ბარსელონის ერთ-ერთი კონსულტანტია.

## ფრედი ლიონში რჩება

ლიონელი თავდამსხმელი **ფრედი** „ტოტენჰემში" არ გადადის. ფრანგული საააგენტოების ცნობით, ფეხბურთელმა საფრანგეთის ჩემპიონებთან ყველა უთანხმოება მოაგვარა და დარჩენა გადაწყვიტა. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფრედს „მამლებთან" შეთანხმება მიღწეული ჰქონდა და დღე-დღეზე ლონდონში აპირებდა გამგზავრებას. ფეხბურთელი „ლიონში" 2005 წლის ზაფხულში ჩაირიცხა. მიმდინარე სეზონში ის ქარიმ ბენზემამ შეავიწროვა. საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა უკვე 13 გოლი შეაგდო და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.

მოსალოდნელი გარიგება

# იყიდება თუ არა ლივერპული?

## არაბები აქტიურობენ, ჰიკსი თავის წილს პირველი გაყიდისო...



ლივერპულის ბოსები, ჯორჯ ჯილეტი და ტომ ჰიკსი

„ლივერპული", შეიძლება, ერთი ამერიკელი ინვესტორის გარეშე დარჩეს. ბრიტანული სააგენტოების ცნობით, **ტომ ჰიკსი** საკუთარი 50-პროცენტიანი წილის გაყიდვას აპირებს. პოტენციური მყიდველი „დუბაი ინთერნეშენალ კაპიტალია", არაბთა გაერთიანებული საემიროების კომპანია, რომელიც „ლივერპულის" შეძენას რამდენიმე წელია, უშედეგოდ ცდილობს. დუბაელებმა კომენტარის გაკეთება არ ისურვეს. ტომ ჰიკსის წარმომადგენელმა კი ინფორმაცია კატეგორიულად უარყო.

„დუბაი ინთერნეშენალ კაპიტალი" „ლივერპულში" ფულის დაბანდებას ერთი წლის წინათაც ცდილობდა. გასული წლის იანვარში, იმჟამინდელ თავმჯდომარე **დევიდ მურსთან** შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეული იყო. გარიგებას ხელმოწერებილა აკლდა, მაგრამ ბოლო წამს მისტერ მურსმა გადაწყვეტილება შეცვალა და არაბების ნაცვლად, კლუბი ამერიკელებს დაუთმო. ტომ ჰიკსი დირექტორატში **ჯორჯ ჯილეტმა** მიიყვანა. პირადად ჯილეტს კლუბის შესაძენად საკმარისი ფული არ აღმოაჩნდა. ამიტომ ჰიკსი შეიამხანაგა. მათ კლუბი შუაზე გაიყვეს. თუ არაბები ჰიკსის წილს დაეუფლებიან, უცნობია, რას იზამს ჯილეტი. სავსებით შესაძლებელია, „დუბაი ინთერნეშენალ კაპიტალს" ისიც გაურიგდეს. ერთი წლის წინანდელი ამბების მიუხედავად, არაბებს „ლივერპულის" მიმართ ინტერესი არ განელებიათ. კომპანიის თავმჯდომარე **სამერ ალ ანსარი** მერსისაიდელების მხურვალე გულშემატკივარია. ის ინგლისში ყოფნისას საყვარელი გუნდის თამაშს არასოდეს აცდენს.

„დუბაი ინთერნეშენალ კაპიტალის" უკან შეიხ **მოჰამედ ალ მაქთუმის** ფული დგას. ის გაერთიანებული საემიროების ერთ-ერთი უმდიდრესი მოქალაქეა. „ლივერპულ ექო" იუწყება, რომ წინადადება, რომელსაც ჰიკსს შესთავაზებენ, უკვე მზად არის. უფრო მეტიც, მხარეებს შორის პრინციპული შეთანხმება შეიძლება უკვე მიღწეული იყოს და მას უბრალოდ არ ახმაურებენო. ჰიკსსა და ჰილეტს ლივერუპლის გულშემატკივრებთან ურთიერთობა არ აეწყოთ. ფანების მოთმინების ფიალა ჰიკსის ამასწინანდელმა განცხადებამ აავსო: **იურგენ კლინსმანს რაფა ბენიტესის** პოსტი შევთავაზეთო.

ვალენსია

# კუმანის ახალი შენაძენი

„ვალენსიამ" იანვრის სატრანსფერო ბარზის გახსნის შემდეგ მეორე ფეხბურთელი გადაიბირა. მისი სახელი და გვარი **ჰედვიგ მადუროა**. ევროპულ ფეხბურთში გაცნობიერებულ გულშემატკივრებს ეცოდინებათ, რომ ის „აიაქსის" ღირსებას იცავდა. ჰოლანდიელამდე ვალენსიელებმა არგენტინელი **ევერ ბანეგა** შეიძინეს. **რონალდ კუმანი** გარიგებით ძალიან კმაყოფილია. „ღამურების" მთავარი მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ 22 წლის მადურო ნახევარდაცვას სერიოზულად გააძლიერებს: *„ეს არ არის შემთხვევითი ან სპონტანური ტრანსფერი. მადუროს შესაძლებლობებს ძალიან კარგად ვიცნობ. მას დაცვასა და თავდასხმაში თანაბრად კარგად თამაში შეუძლია. გულშემატკივრები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ ჩემი თანამემამულე ღირსეულად იასპარეზებს და „ვალენსიას" მნიშვნელოვანი გამარჯვებების მოპოვებაში დაეხმარება."*

მადუროს ჰოლანდიის ნაკრების ღირსება 12 შეხვედრაში აქვს დაცული. მისი გადაბირების სურვილი „მილანსა" და „ფიორენტინასაც" ჰქონდა. მოლაპარაკებები ინტენსიურად მიმდინარეობდა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ „ვალენსიამ" ეს ბრძოლა კუმანის კავშირების წყალობით მოიგო. „ღამურების" დამრიგებელმა სრული სიმართლე თქვა. „აიაქსის" ყოფილ ფეხბურთელს დაცვითი და შემტევი ფუნქციების შესრულება თანაბრად კარგად ეხერხება. ამაზე მისი კარიერის სხვადასხვა მონაკვეთიც მეტყველებს. იყო დრო, როცა მადურო ცენტრალური მცველის პოზიციაზე ასპარეზობდა. შემდეგ ნახევარდაცვაში გამოდიოდა. საჭიროებისას კი მწვრთნელი უკანდახეულ ფორვარდადაც ათამაშებდა.

„ვალენსიის" პრესსამსახურის ცნობით სამედიცინო შემოწმების შემდეგ მადურო კლუბთან ოთხწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. სამწუხაროდ, ესპანელები და ჰოლანდიელები გარიგების სხვა დეტალებს არ ახმაურებენ. ჯერ-ჯერობით უცნობია, რამდენი გადაუხადეს „აიაქსს" და რამდენს მიიღებს ფეხბურთელი წლიური გასამრჯელოს სახით.

ეროვნული





ხავიერ აგირე და ბერნდ შუსტერი

პრიმერა დივიზიონი. XX ტურის წინ

# ატლეტიკო, თუ რეალი?

## ესპანეთის ყურადღება ვისენტე კალდერონისკენაა მიპყრობილი...

**დღეს**

ხეტაფე-სევილია
ვილიარეალი-ვალენსია

**ხვალ**

ოსასუნა-ბილბაო
სარაგოსა-მურსია
ლევანტე-მალიორკა
ალმერია-დეპორტივო
ვალიადოლიდი-ესპანიოლი
ბეტისი-რეკრეატივო
ატლეტიკო-რეალი
ბარსელონა-რასინგი

მე-20 ტურის ცენტრალური ტურის განსაზღვრას დიდი ფიქრი და წვალება არ სჭირდება. ის "ვისენტე კალდერონზე" გაიმართება. "ატლეტიკო" "რეალს" ელის. ეს ის შემთხხვევაა, როცა სპეციალისტები ფავორიტს ვერ ასახელებენ. მიმომხილველების თითქმის ასი პროცენტი შანსებს თანაბრად აფასებს. მათ შორის, მთავარი წმვრთნელებიც.

დედაქალაქური დერბის წინ **ბერნდ შუსტერს** სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა. ეს განსაკუთრებით დაცვის ხაზზე ითქმის. **მიჩელ სალგადომ** ტრავმა გაიმიზიზა. პარასკევის ვარჯიშზე კი **პეპეს** კუნთი დაეჭიმა. ტკივილი იმდენად აუტანელი იყო, რომ 30 მილიონად შეძენილი მცველი მინდორზე გაერთხა და პატარა ბავშვივით ღრიალი მორთო. ბუნებრივია, ექიმებმა მას დახმარება აღმოუჩინეს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მას კუნთი გაუწყდა, მაგრამ არაერთგზის ჩატარებულმა დიაგნოსტიკურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ საქმე მხოლოდ დაჭიმულობასთან აქვთ. სამეფო კლუბის ექიმების თქმით, ტრავმა იმდენად უმნიშვნელოა, რომ თავად ტკივილის ფაქტიც კი ძალიან აკვირვებთ. პეპეს მიერ ცრემლების ღვრის მიუხედავად, არ გამორიცხავენ, გამოცდილი მცველი კვირას საღამოს მოედანზე გავიდეს. თუმცა ამას კატეგორიულად ერთი ექიმიც ვერ ამტკიცებს. თუ პეპე გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს, ბერნდ შუსტერს მართლაც მწვავე პრობლემა შეექმნება. **კრისტოფ მეტცელდერი** თამაშს ვერანაირად ვერ შეძლებს. იგივეს თქმა შეიძლება **გაბრიელ ჰაინცეზეც**. მოარული ხმების თანახმად გერმანელი სპეციალისტი **მარსელოს** მზადყოფნით უკმაყოფილოა, ჰაინცეც ტრავმირებულია, ამიტომ არ გამორიცხავენ ჰერ შუსტერმა სენსაციური ცვლილება შემოგვთავაზოს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. "რეალის" ბოლო ღია ვარჯიშზე მისულმა ჟურნალისტებმა შენიშნეს, რომ დედაქალაქელი ფეხბურთელები ძალიან ცუდ განწყობაზე იყვნენ. განსაკუთრებით **რაული**. გონსალეს ბლანკომ თითქმის ორი საათი ისე ივარჯიშა, რომ ერთხელაც არ გაუღიმია. ცუდ განწყობას, რა თქმა უნდა, ესპანეთის სამეფო თასიდან გამოვარდნა განაპირობებდა.

სამეფო კლუბისგან განსხვავებით "ატლეტიკომ" "ვალიადოლიდი" თასიდან გამოაგდო და შესანიშნავი განწყობა შეიქმნა. გარდა ამისა, **ხავიერ აგირეს** ტრავმირებული ფეხბურთელებიც ნაკლებად ჰყავს. ეს პრობლემა მხოლოდ **ხურადოს** აწუხებს. **ხოსე ანტონიო რეიესმა** ტრავმა დროულად მოიშუშა. თუ აგირე საჭიროდ ჩათვლის, რეიესი ყოფილ კლუბს პირველივე წუთიდან შეუტევს.

მე-20 ტური ხვალ "ბარსელონისა" და "რასინგის" დაპირისპირებით დასრულდება. დედაქალაქური დერბისგან განსხვავებით ამ შეხვედრას მკაფიოდ გამოხატული ფავორიტი ჰყავს, რა თქმა უნდა, ის "ბარსელონაა." გუშინ ცნობილი გახდა, რომ **კარლეს პუიოლს** გრიპის ვირუსი შეეყარა. გუშინ კატალონიური გრანდის კაპიტანს მაღალი სიცხე ჰქონდა და ცხადია, ვერ ივარჯიშა. ექიმები მას სახალხო მედიცინის საშუალებებით მკურნალობენ, მედიკემანტების მიღება არ შეიძლება, რადგან მოგვიანებით შესაძლოა, დოპინგის სიყვარულში დასდონ ბრალი.

გულშემატკივრებს **ლეო მესის** დაბრუნების იმედი აქვთ. ახალგაზრდა არგენტინელმა პარასკევის ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 19 | 15 | 2 | 2 | 41-14 | 47 |
| 2. ბარსელონა | 19 | 12 | 4 | 3 | 38-13 | 40 |
| 3. ატლეტიკო | 19 | 11 | 4 | 4 | 35-19 | 37 |
| 4. ესპანიოლი | 19 | 10 | 6 | 3 | 29-20 | 36 |
| 5. ვილიარეალი | 19 | 11 | 2 | 6 | 34-30 | 35 |
| 6. რასინგი | 19 | 9 | 5 | 5 | 20-19 | 32 |
| 7. ვალენსია | 19 | 8 | 3 | 8 | 22-29 | 27 |
| 8. სევილია | 19 | 8 | 2 | 9 | 35-25 | 26 |
| 9. ვალიადოლიდი | 19 | 6 | 6 | 7 | 27-28 | 24 |
| 10. ალმერია | 19 | 6 | 5 | 8 | 16-21 | 23 |
| 11. ბილბაო | 19 | 5 | 7 | 7 | 18-19 | 22 |
| 12. სარაგოსა | 19 | 5 | 7 | 7 | 29-32 | 22 |
| 13. მალიორკა | 19 | 5 | 7 | 7 | 28-31 | 22 |
| 14. მურსია | 19 | 5 | 7 | 7 | 16-24 | 22 |
| 15. ხეტაფე | 19 | 6 | 3 | 10 | 21-27 | 21 |
| 16. ბეტისი | 19 | 5 | 6 | 8 | 20-28 | 21 |
| 17. რეკრეატივო | 19 | 5 | 6 | 8 | 15-24 | 21 |
| 18. ოსასუნა | 19 | 5 | 5 | 9 | 20-25 | 20 |
| 19. დეპორტივო | 19 | 4 | 5 | 10 | 19-31 | 17 |
| 20. ლევანტე | 19 | 2 | 2 | 15 | 11-35 | 8 |

ინტერვიუ დიეგო ფორლანთან

# მადრიდულ დერბიში ყველაფერი შეიძლება მოხდეს

## ატლეტიკოსა და რეალის ჭიდილში ფავორიტი არ არსებობს



დიეგო ფორლანი მადრიდული დერბისათვის მზადაა

**კვირას "ვისენტე კალდერონზე" მადრიდული დერბი გაიმართება. "ატლეტიკოსა" და "რეალის" დაპირისპირებას როგორც ყოველთვის უდიდესი ინტერესით ელიან. სპეციალისტები ფავორიტზე საუბარს გაურბიან. მათი აზრით, შანსები აბსოლუტურად თანაბარია. აბსოლუტურად იგივეს ამბობს დიეგო ფორლანიც. ურუგვაელი ფორვარდი დარწმუნებულია, რომ ორივე გუნდი თავგანწირვით იბრძოლებს და სამი ქულის მოსაპოვებლად ყველაფერს გააკეთებს. "როხიბლანკოს" ვარსკვლავის თქმით წინასწარ გამარჯვებულის დასახელება მხოლოდ ღმერთს შეუძლია. ის კი საფეხბურთო საქმეებში არ ერევაო...**

**- ცოტაც და "ვისენტე კალდერონზე" დიდი სანახაობა გაიმართება. დღეს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყველა ბილეთი გაყიდულია. როგორი განწყობით ხვდებით დედაქალაქურ დერბის?**

- ფანტასტიკურ განწყობაზე ვარ. პროფესიონალი ფეხბურთელებისთვის ასეთი დონის თამაშები არსებობისთვის აუცილებელი საკვებივითაა. რა თქმა უნდა, ეს მატჩიც სამი ქულის მომტანია, მაგრამ მას მაინც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. "ატლეტიკოსა" და "რეალის" გულშემატკივრებს ერთმანეთის მიმართ არცთუ თბილი დამოკიდებულება აქვთ. ცხადია, ამას უდიდესი კონკურენცია განაპირობებს. მათი დაპირისპირება ჩვენზეც აისახება. ფეხბურთელები ინჩასების ბედნიერებისთვის ვიღვწით. მოკლედ, მადრიდული დერბი მართლაც განსაკუთრებული მატჩია და ვალდებულები ვართ, გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ.

**- გავიგეთ, რომ პირადად თქვენ ფანტასტიკურ განწყობაზე ხართ. საინტერესოა, "ატლეტიკოს" სხვა ფეხბურთელები როგორ გრძნობენ თავს?**

- ისინიც ოპტიმისტურად ხვდებიან საკვირაო დაპირისპირებას. როგორც ყოველთვის მაქსიმალური სერიოზულობით ვემზადებოდით. ხავიერ აგირემ ბოლო ვარჯიშები პრესისთვის დახურულად გამოაცხადა. თქვენი კოლეგები განაწყენებულები დარჩნენ, მაგრამ უნდა გაგვიგოთ, რომ ამ შეხვედრაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონობის რეალური შანსი გაგვიჩნდება. ამიტომ, გუნდის მთავარ მწვრთნელს არ სურს, რომ ტაქტიკის საიდუმლო დეტალები ჟურნალისტებმა იხილონ. ისინი ხომ მთელ ქვეყანას მოდებდნენ, აგირე "რეალს" ამა და ამ ტაქტიკას უპირისპირებსო (იცინის). ჩვეულებისამებრ კალენდარული მატჩების წინ მწვრთნელები ერთ ვარჯიშს ხურავენ, მაგრამ უკვე ვისაუბრეთ, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი თამაში. ბევრი რომ არ გავაგრძელო, გუნდი დერბის მოუთმენლად ელის. ბიჭები მზად არიან და სჯერათ, რომ გამარჯვების უნარი შესწევთ.

**- თქვენც ასევე ფიქრობთ?**

- რა თქმა უნდა. ყველა ხედავს, რომ წელს "ატლეტიკო" სულ სხვა გუნდია. გუნდი, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხების უნარი შესწევს. მათ შორის, "რეალისაც".

**- "ატლეტიკოს" ფავორიტად მიიჩნევთ?**

- არავითარ შემთხვევაში. ჩემი აზრით, შანსები 50-50-ზეა. "რეალი" პრიმერა დივიზიონის ლიდერია. ის მთელ მსოფლიოში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. შეუძლებელია, მისი მოწინააღმდეგე გუნდი ფავორიტი იყოს. მეორე მხრივ, "ატლეტიკო" სახლში თამაშობს. ჩვენი გულშემატკივრების იმედი გვაქვს. ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი მე-12 მოთამაშის ფუნქციას შეასრულებენ. დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ სტუმრებს არაფერს დავუთმობთ. ბოლომდე ვიბრძოლებთ და შევეცდებით ქომაგებს ბედნიერი საღამო ვაჩუქოთ.

**- როგორ ფიქრობთ, აგუერო "ატლეტიკოსთვის" ახალი ტორესია?**

- ძალიან არ მიყვარს სხვადასხვა ფეხბურთელის ერთმანეთზე შედარება. ტორესი ტორესია, აგუერო კი აგუერო. მათ აბსოლუტურად განსხვავებული სტილი და გზა აქვთ. რა თქმა უნდა, ორივე უძლიერესი ფორვარდია. ფერნანდო ახლა "ლივერპულში" თამაშობს, ამიტომ ჩვენ ვერანაირ სარგებელს ველარ მოგვიტანს. სერხიოს კი დერბიში და ზოგადად "როხიბლანკოს" ცხოვრებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია. ახალგაზრდა არგენტინელი პლანეტის ერთ-ერთი უნიჭიერესი თავდამსხმელია, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ერთი კაცი სხვების დაუხმარებლად შორს ვერ წავა. აგუეროს მხარში უნდა ამოვუდგეთ, სერხიო კი სხვა თანაგუნდელებს უნდა დაეხმაროს.

**- "რეალი" ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებას გამოეთიშა. როგორ ფიქრობთ, ეს ფაქტი თქვენს სასარგებლოდ იმოქმედებს?**

- რატომ?

**- ხომ შეიძლება, სამეფო კლუბის მოთამაშეები ფსიქოლოგიურ წნეხში იყვნენ...**

- კარგით რა! ისინი პროფესიონალები არიან და არა სკოლამდელი ასაკის ბავშვები. წაგება ძალიან ცუდია. მით უმეტეს, თუ ამ წაგებით რომელიმე ტურნირს გამოეთიშები, მაგრამ "რეალი" მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ფლაგმანია. გამორიცხულია, "ვისენტე კალდერონზე" ისინი დასტრესილები გამოვიდნენ და თავიანთი განწყობის გამო შეხვედრის შედეგი საფრთხეში ჩააგდონ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, გამარჯვებას სამეფო კლუბის შეცდომების ფასად ვერ მოვიპოვებთ. სამი ქულა ჩვენი შეუპოვრობითა და სიძლიერირით უნდა ავილოთ. დამეთანხმებით, ხშირია შემთხვევები, როცა ერთ-ერთი გუნდი იმდენ მიუტევებელ შეცდომას უშვებს, რომ თამაშს აგებს. მადრიდულ დერბიში მსგავსი რამ გამორიცხული იქნება. ეჭვი არ მეპარება, ორივე გუნდი მაქსიმალური ყურადღებითა და კონცენტრაციით იასპარეზებს.

**- "რეალისგან" როგორ ფეხბურთს ელით?**

- ძნელია მათი ტაქტიკის გამოცნობა. მადრიდულ დერბიში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თუ ნახევარდაცვაში თავგანწირვით არ ვითამაშებთ, სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით. ჩემი აზრით, შუსტერის შეგირდებისთვის ყველაზე მომგებიანი ალბათ, მაინც კონტრიერიშებზე თამაში იქნება. თუ თავიდანვე დიდი ძალებით შემოგვიტევენ, ძალაუნებურად საშუალება მოგვეცემა, კონტრშეტევები მოვაწყოთ და კასილიასს თავსატეხი გავუჩინოთ. მეტი რა გითხრათ? წინასწარ ძალიან რთულია საუბარი. ყველაფერს უშუალოდ თამაში დაგვანახებს. მთავარი ის არის, რომ ორივე გუნდი მზადაა. ინჩასები ნებისმიერ შემთხვევაში კარგ ფეხბურთს იხილავენ.

**- დერბიზე ფიქრი როდიდან დაიწყეთ?**

- ხუთშაბათიდან. მანამდე "ვალიადოლიდთან" სათასო შეხვედრისთვის ვემზადებოდით. რა თქმა უნდა, ვერ დავუშვებდით, რომ ტურნირს გამოვთხოვებოდით. მას შემდეგ, რაც ვალიადოლიდური ბარიერი გადავლახეთ, უმალ "რეალთან" შეხვედრისთვის მზადებას შევუდექით. გამოგიტყდებით, ძალიან ბევრი სამუშაო გვქონდა. ჯერ თასის განმეორებითი მერვედფინალისთვის ვვარჯიშობდით. შემდეგ დერბის მომზადება დავიწყეთ. ამოსუნთქვის საშუალელებაც კი არ გვქონდა. პრინციპში, "რეალიც" ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფებოდა. მათაც დაძაბულ რიტმში უხდებოდათ მუშაობა.

**- ყველაზე მეტად რომელ ფეხბურთელს უფრთხით? რაულს, თუ ვან ნისტელროის?**

- არ დავმალავ, რაული და ვან ნისტელროი უკიდურესად სახიფათო ფეხბურთელები არიან, თუმცა მთავარი საფრთხე არა ცალკეული მოთამაშეებისგან, არამედ მთელი გუნდისგან მოდის. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სტუმრებს თავიანთი გეგმების განხორციელების საშუალება არ მივცეთ.

**- საზოგადოება რობინიოსა და აგუეროს დუელს ელის...**

- მართლაც საინტერესო დაპირისპირება უნდა გამოვიდეს. ორივე ძალიან ნიჭიერია. ვნახოთ, მწვრთნელები როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ. შესაძლოა, რომელიმე მათგანი ძირითად შემადგენლობაში არ დააყენონ. "ატლეტიკოში" ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი არავის აქვს. ვგონებ, "რეალშიც" ზუსტად ასეა.

**- პირველ წრეში "სანტიაგო ბერნაბეუზე" 1:2 წააგეთ. რევანშის წყურვილი, ალბათ ძალიან მძაფრია...**

- პირველ ტურში რომც მოგვეგო, ამით მაინც არაფერი შეიცვლებოდა. ახლა ზუსტად ასეთივე მოტივირებულები ვიქნებოდით. რა თქმა უნდა, წაგება ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ წინა შეხვედრებისგან დამოუკიდებლად ნებისმიერ ახალ მატჩზე მოსაგებად გავდივათ.

**- გჯერათ, რომ "ატლეტიკოს" ესპანეთის ჩემპიონატში გამარჯვება შეუძლია?**

- უპასუხისმგებლო და ტრაბახა განცხადება რომ არ გამომივიდეს, ვიტყვი, რომ ეს ძალიან რთული ამოცანა იქნება, თუმცა არა შეუძლებელი. მით უმეტეს, ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს. თუ ჩემპიონები ვერ გავხდებით, გულშემატკივრები ჯვარს არ გაგვაკრავენ. აი, "რეალისა" და "ბარსელონის" ინჩადა კი ნამდვილ ობსტრუქციებს მოაწყობს. მე იმის თქმა მსურს, რომ ჩვენი კონკურენტებისგან განსხვავებით თავისუფლად თამაში შეგვეძლება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. საკვირაო დერბიში გამარჯვება, ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ბაიერნი

# არდილესი კლინსის ასისტენტად?

## ჰიტცფელდი პოდოლსკის და შლაუდრაფს სკამზე ტოვებს...

"ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **ოტმარ ჰიტცფელდმა** თავისი გუნდის ფორვარდ **ლუკას პოდოლსკის** ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის ყოველგვარი იმედი გადაუწურა. გუშინ რეკორდმაისტერის თავკაცმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ ბუნდესლიგის მეორე წრეში "ბაიერნის" თავდასხმაში ისევ **ლუკა ტონი** და **მიროსლავ კლოზე** ითამაშებენ, რაც პრინციპში მოსალოდნელიც იყო. ჰიტცფელდმა პირდაპირ თქვა, რომ ამ დუეტს სასტარტო შემადგენლობაში თამაში გარანტირებული აქვს. ოტმარის თქმით, პოდოლსკის თავის გამოჩენის შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა, თუკი ძირითადი ფორვარდებიდან რომელიმე ტრავმას მიიღებს ან დისკვალიფიცირებული იქნება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოდოლსკი მთელ მეორე წრეს სკამზე გაატარებს - "გენერალი" მას დაპირდა, რომ შეცვლებზე შეძლებისდაგვარად ხშირად შეიყვანს ხოლმე. იგივე ეხება რეკორდმაისტერის კიდევ ერთ თავდამსხმელ **იან შლაუდრაფსაც**.

ჰიტცფელდი მოსამზადებელი შეკრებით კმაყოფილია და აცხადებს, ძირითადი ბირთვი ფაქტობრივად გამოიკვეთაო. ოტმარი ღიად ტოვებს მარჯვენა ნახევარმცველის საკითხს, სადაც ერთი ადგილისთვის **ბასტიან შვაინშტაიგერი, ხოსე ერნესტო სოსა** და **ჰამით ალთინთოფი** იბრძვიან. დიდი შანსია, რომ მარჯვენა მცველის პოზიციაზე პირველ წრეში სტაბილურად მოასპარეზე **კრისტიან ლელი** გამოჯანმრთელებულმა **ვილი სანიოლმა** ამოაგდოს, დაცვის ცენტრში კი, ბავარიული გიგანტის ბრაზილიელ ახალწვეულ **ბრენოს** ჯერჯერობით მოთმენა მოუწევს - დაცვის შუა ხაზს ძველებურად **ლუსიო** და **მარტინ დემიკელისი** გაამაგრებენ. ბრენოზე უკეთესი შანსი დღეისათვის **დანიელ ვან ბუიტენს** აქვს, რომელიც ჰიტცფელდის თქმით ძალიან მონდომებულია.

პრესკონფერენციაზე ჰიტცფელდი თავის მომავალსაც შეეხო. *"პირველ რიგში უნდა გადავწყვიტო, მინდა თუ არა ამ საქმიანობის გაგრძელება. ერთი რამ ამთავითვე ცხადია: კლუბში ალარასოდეს ვიმუშავებ. თუ სადმე მწვრთნელად დავინიშნები, მხოლოდ ნაკრებში, სადაც გაცილებით ცოტა მატჩები მექნება,"* - განუცხადა ოტმარმა მარბელიაში ჩასულ ჟურნალისტებს. "გენერალი" მარტის ბოლომდე გადაწყვეტს, სურს თუ არა სამწვრთნელო საქმიანობის გაგრძელება. *"მარტამდე შვეიცარიის საფეხბურთო კავშირთან მოლაპარაკებებს არც დავიწყებ,"* - ამბობს ჰიტცფელდი, რომელიც ლიორახშია დაბადებული (ბაზელთან ახლოს) და ამრიგად, შვეიცარია მისი მეორე სამშობლო გახლავთ. 59 წლის სპეციალისტის თქმით, შვეიცარიის სადეხბურთო კავშირთან მოლაპარაკებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებს, თუ გადაწყვეტს, რომ მწვრთნელობა ჯერ არ მობეზრებია. ამასთან, ჰიტცფელდი ტელევიზიაში დაბრუნებაზეც ფიქრობს.

*"სანამ რამეს გადავწყვეტ, მხოლოდ "ბაიერნზე" ვარ კონცენტრირებული. მინდა, რომ იურგენ კლინსმანს წარმატებული და გამარჯვებული გუნდი ჩავაბარო,"* - ამბობს "გენერალი", რომელსაც მიმდინარე სეზონში ყველა ტიტულის მოგება სურს (ბუნდესლიგა, გერმანიის თასი, უეფას თასი). თუმცა ოტმარი იმასაც ამბობს, რომ ამ ტურნირებიდან პრიორიტეტი გერმანიის ჩემპიონატს ენიჭება.

■ ■ ■

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ "ბაიერნს" ზაფხულიდან **იურგენ კლინსმანი** უთავკაცებს, ძალიან მნიშვნელოვანი გახდა მისი ასისტენტის საკითხი. კლინსის თანაშემწის პოსტთან მიმართებაში უკვე ახსენეს **ბერტი ფოგტსი, იურგენ კლოპი** და **გვიდო ბუხვალდი**. უახლესი ინფორმაცია კი "კიკერმა" გაავრცელა და რაკი ეს გამოცემა ინფორმაციას გადამოწმების გარეშე არასდროს აქვეყნებს, შეგვიძლია გამცნოთ, რომ კლინსმანის მარჯვენა ხელი შესაძლოა **ოსვალდო არდილესი** გახდეს, რომელიც მას "ტოტენჰემში" (1994-95) თამაშის დროს წვრთნიდა. ეს ინფორმაცია პირველად არგენტინულმა "ოლემ" გაავრცელა. მართალია, კლინსმანის მისვლის შემდეგ არდილესი "ტოტენჰემიდან" მალევე წავიდა, მაგრამ ცნობილია, რომ მას მერე კლინსი და არდილესი მუდმივად უკავშირდებიან ერთმანეთს და კარგი მეგობრები არიან. ჯერ კიდევ 2006 წლის მუნდიალზე კლინსმანმა განაცხადა, თავის დროზე ოსვალდოსგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და მის სამწვრთნელო ხრიკებს ვიყენებო.

გერმანულ გაზეთ "მიუნხენერ თაგესცაითუნგს" არდილესმა განუცხადა, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელებთან არ უსაუბრია, მაგრამ იქვე დასძინა, გამორიცხული არ არის, რომ კლინსმანის ასისტენტი გავხდეო. *"თუკი იურგენი დამირეკავს, წინადადებაზე აუცილებლად დავფიქრდები,"* - ამბობს ის.

1978 წლის მუნდიალზე, რომელიც არგენტინელებმა მოიგეს, არდილესი "ალბისელესტეს" წევრი გახლდათ. საერთოდ მან ორ მუნდიალზე ითამაშა (1978 და 1982) და არგენტინის ნაკრებში 42 მატჩი ჩაატარა. აქტიური სპორტული კარიერის საუკეთესო წლები მან "ტოტენჰემში" (1978-1988) გაატარა, სადაც 221 მატჩი გამართა და გუნდის ქომაგების უსაყვარლესი ფეხბურთელის სტატუსი ჰქონდა. როგორც მწვრთნელი, ოსვალდო არდილესი მოხეტიალე სპეციალისტია. ჯერ ბრიტანეთში იმუშავა (ვესტ ბრომვიჩი, ნიუკასლი, ტოტენჰემი), მერე კი მექსიკაში, იაპონიაში, ხორვატიაში, საუდის არაბეთსა და ისრაელში. 2007 წელს კი არგენტინაში დაბრუნდა. წლის ბოლოს მან ბოლო კლუბი, "ატლეტიკო ურაკანი" დატოვა და დღეს უმუშევარია.



1994 წელი, ტოტენჰემი: ოსვალდო არდილესი და იურგენ კლინსმანი

**გოტფრიდ ლენცი**

ვერდერი

# მუსიკოსების კონტრიერიში: შვაინი!

## შააფი და ალოფსი ბაიერნზე საპასუხო დარტყმას ამზადებენ...



ბასტიან შვაინშტაიგერი

როდესაც გაცხადდა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ **ტიმ ბოროვსკი** "ვერდერს" დატოვებს და "ბაიერნში" გადავა, ბრემენული კლუბის ქომაგებმა თავში ხელები წაიშინეს და ამოიოხრეს: "ნუთუ ისევ დაიწყო?" რა დაიწყო? ბრემენელ ფანებს ეშინიათ, რომ "ვერდერიდან" ფეხბურთელების გადინება იწყება. და თანაც, მოსისხლე მტერ "ბაიერნში"! ეს იმიტომ, რომ ბოროვსკიმდე მიუნხენში არაერთი ბრემენელი წავიდა.

"ვერდერის" ფანებს სანერვიულოდ ისიც ეყოფათ, რომ ამ სეზონში "მუსიკოსებს" ტრავმიანობა დასჩემდათ. სეზონის დაწყებიდან დღემდე, საშუალო თუ მძიმე ტრავმის მიღება შემდეგმა ფეხბურთელებმა მოასწრეს: ბოროვსკი, **ტორსტენ ფრინგსი, პატრიკ ოვომოიელა, აარონ ჰანტი, ფრანკ ბაუმანი, ივან კლასნიჩი** და **კლემენს ფრიტცი**. ამას ისიც დაემატა, რომ ზაფხულში ნაყიდმა **კარლოს ალბერტომ**, რომელიც ბრემენული კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა, იმედები ვერ გაამართლა და რამდენიმე დღის წინათ ბრაზილიაში გაფრინდა - გაანათხოვრეს. გავიხსენოთ ისიც, რომ ზაფხულში გუნდიდან აბარგებას **დანიელ იენსენი** და **პეტრი პასანენიც** აპირებენ.

ალსანიშნავია, რომ პირველ წრეში "ვერდერმა" ამდენ დანაკლისს და სერიოზულ პრობლემებს გაუძლო, მათი კომპენსირება ფაქტობრივად უმტკივნეულოდ მოახდინა და საბოლოოდ, სეზონის პირველი ნახევარი მეორე ადგილზე დაასრულა, თანაც, ლიდერ "ბაიერნს" მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდების გამო ჩამორჩა. შესაბამისად, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბრემენელებმა ჩემპიონთა ლიგაში ფიასკო განიცადეს და ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდნენ, **თომას შააფის** გუნდი ყველაფრის მიუხედავად მაინც კარგად გამოიყურება.

მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, ბრემენელთა მენეჯერი **კლაუს ალოფსი** კონტრშეტევას ამზადებს. "ბილდი" იტყობინება, რომ ზაფხულში ბრემენელები "ბაიერნის" ორ ფეხბურთელს, **ბასტიან შვაინშტაიგერსა** და **იან შლაუდრაფს** დაუმიზნებენ. შვაინის რეკორდმაისტერში სათამაშო პრაქტიკა აკლია და სიმართლე ითქვას, როცა თამაშობს, მაშინაც ვერ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორსაც უნდა ტოვებდეს და ვერ თამაშობს ისე, როგორც მისგან ელიან. ერთი სიტყვით, ეს ის შვაინი ალარაა და ალოფსიც მზადაა, დრო იხელთოს. "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში "მუსიკოსთა" შეფმა განაცხადა, გამორიცხული არაა, რომ ზაფხულში შვაინშტაიგერისა და შლაუდრაფის გადაბირებას ვეცადოთო.

"ვერდერის" ფანებმა გუშინ კარგი ინფორმაციაც შეიტყვეს - ათკვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ლაზარეთიდან **ტორსტენ ფრინგსი** ბრუნდება. დღეს გერმანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი დიუსელდორფის "ვინტერტურნირზე" ითამაშებს. ფრინგსმა ტრავმა 27 ოქტომბერს, "შალკესთან" შეხვედრაში მიღო. ტორსტენი, როგორც ყოველთვის, ძალიან მოტივირებულია. ის "ბაიერნის" ბოსებს, ფეხბურთელებსა და ფანებს ბოდიშს უხდის, მაპატიეთ, მაგრამ წელს ჩემპიონი "ვერდერი" უნდა გახდესო.

*"უეფას თასის მოგებას, რა თქმა უნდა, გერმანიის ჩემპიონობა მირჩევნია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უეფას თასისთვის არ ვიბრძოლებთ,"* - აცხადებს ფრინგსი. ტორსტენი შვაინშტაიგერისა და შლაუდრაფის ტრანსფერებს მიესალმება: *"შვაინშტაიგერი რომ ვიყიდოთ, ეს შესანიშნავი ტრანსფერი იქნება. ბასტიანი ძალიან ნაგვადგება, თანაც, ის აქ არ იქნება ისეთი მძიმე ზეწოლის ქვეშ, როგორც მიუნხენშია. "ვერდერში" შვაინშტაიგერი მარწუხებისგან გათავისუფლდება და ცხადია, რომ ისევ ძველი შვაინი იქნება, რომელმაც გერმანელ ფანებს თავი ძალიან შეაყვარა. მე ვიცი, რასაც ვამბობ, რადგან თვითონ ვთამაშობდი "ბაიერნში" და იქაური წნეხი საკუთარ თავზე გამოვცადე,"* - აცხადებს ტორსტენი და იქვე ამატებს, - *"თუკი "ბაიერნს" შვაინი ალარ სჭირდება, ჩვენთან წამოვიდეს, დიდი სიამოვნებით მივიღებთ."*

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე

# ურუგვაელი პლეიბოი გელზენკირხენში

## კობიაშვილს ახალი თანაგუნდელი ჰყავს: გოლეადორი ვისენტე სანჩესი! მესუთ იოზილს კი კონტრაქტს არ გაუგრძელებენ...

**ალბერტ შტრაიტის**, ჩვენებური **ლევან ყენიასა** და **ზე რობერტო II**-ს შემდეგ, "შალკემ" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მეოთხე ტრანსფერი გაჩარხა. გელზენკირხენელებმა ურუგვაელი თავდამსხმელი **ვისენტე სანჩესი** გადაიბირეს, რომელმაც **ლევან კობიაშვილის** გუნდთან კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა. სანჩესი 28 წლისაა. ურუგვაელს თავის ექს-კლუბ "დეპორტივო ტოლუკასთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებდა. შესაბამისად, როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, ფეხბურთელში, რომელსაც ურუგვაის ნაკრებში 26 თამაშში 5 გოლი აქვს გატანილი, "შალკემ" ერთი მილიონი ევრო გადაიხადა.

*"შალკელი ურუგვაელებისგან ამ გუნდის შესახებ მხოლოდ დადებითი ამბები მსმენია. გელზენკირხენული კლუბი ევროპაში ერთ-ერთი სახელოვანი გუნდია. იმედი მაქვს, რომ "შალკეს" წარმატებების ერთ-ერთი შემომქმედი გავხდები,"* - განაცხადა სანჩესმა წარგენისას.

მიმდინარე სეზონში სანჩესმა "ტოლუკას"რიგებში 15 მატჩი ჩაატარა და 9 გოლის გატანა შეძლო. შარშანდელ სეზონში კი 33 თამაშში 11 გოლი გაიტანა, იმის წინა სეზონში კი 40 თამაშში 10 გოლი ჰქონდა შეგდებული. ურუგვაის ჩემპიონატში მას დებიუტი 1998 წელს ჰქონდა (მეორე ლიგის წარმომადგენელ "ინსტიტუსიონ ატლეტიკაში"). 2000 წელს სანჩესმა უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ "ტოკუარემბოს" მიაშურა, საიდანაც 2001 წელს მონტევიდეოს "ნასიონალმა" წაიყვანა. 2001 წლის ზაფხულში 1.70 მეტრი სიმაღლის ფორვარდი მექსიკურ "დეპორტივო ტოლუკაში" გადაბარგდა, სადაც 2002 და 2005 წლებში მექსიკის ჩემპიონობა იზეიმა.

*"ვისენტე სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც ძალიან გვჭირდებოდა. სწრაფია, ტექნიკური და ძლიერი დარტყმა აქვს,"* - ამბობს "შალკეს" მენეჯერი **ანდრეას მიულერი** სანჩესზე, რომელიც 2007 წელს მექსიკის საუკეთესო შემტევი ფეხბურთელი და უძვირფასესი მოთამაშე გახდა. მიულერის თქმით, სანჩესი საფეხბურთო შესაძლებლობების გარდა, ადამიანური თვისებებითაც გამოირჩევა - ვისენტე ყველა კლუბში პუბლიკის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი და ძალიან პოპულარული პიროვნება იყო.

კონტრაქტის გაფორმების შემდეგ სანჩესი ისევ მექსიკაში გაფრინდა, რათა ფორმალობები მოაგვაროს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ის გელზენკირხენულ კლუბში 27-ე ნომერს მიიღებს. ვისენტე გელზენკირხენში ორშაბათს დაბრუნება და მერე "ბაზელთან" ტესტ-მატჩში მისი დებიუტიც შედგება.

აქვე გეტყვით, რომ "შალკე" ახალგაზრდა **მესუთ იოზილს** კონტრაქტს ალარ გაუგრძელებს. მას მერე, რაც ამ უკანასკნელმა პირველ შეთავაზებაზე უარი თქვა, "შალკეს" ბოსებმა გადაწყვიტეს, რომ მესუთისთვის უფრო მაღალი ხელფასის შეთავაზება უაზრობაა (ისედაც ბევრი შესთავაზეს: 1.5 მილიონი), რაც იმას ნიშნავს, რომ იოზილი 2009 წლის 30 ივლისს, როცა მის ხელშეკრულებას ვადა გაუვა, "შალკეს" ყოველგვარი საზღაურის გარეშე დატოვებს (თუ მანამდე არ გაიყიდება).

*"ჩვენ მას ალარ ვენდობით, მისი ალარ გვჯერა. მესუთმა საკმაოდ კარგ წინადადებაზე თქვა უარი,"* - აცხადებს მიულერი. იოზილის სახით "შალკე" გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე იმედიცმომცემ ფეხბურთელს კარგავს. მესუთი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერია და ალემანური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა. "კიკერის" ცნობით, იოზილით ლონდონის "არსენალია" დაინტერესებული. წარმოშობით თურქ ფლეიმეიქერს, რომელმაც გერმანიის სახელით ასპარეზობა გადაწყვიტა, ბუნდესლიგაში 11, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში კი 4 მატჩი აქვს ჩატარებული.



შალკეს ახალწვეული: ვისენტე სანჩესი

**გოტფრიდ ლენცი**



ინგა ხურცილავა



სოფიკო ტერელაძე



სოფიკო ნიკოლაძე

საქართველოს ჩემპიონატი. ქალები, პირველი ლიგა

# შესანიშნავი შვიდეული ცნობილია

დასრულდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშება და შეირჩა ის შვიდი მონაწილე, რომლებმაც უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. როგორც გუშინ ვივარაუდეთ, ბოლო ტურის სცენარი ჩვენი გათვლების შესაბამისად წარიმართა, თუმცა იყო ერთი მნიშვნელოვანი გადახვევა, რომელმაც, ცხადია, საერთო სურათზე გავლენა იქონია.

საქმე ის არის, რომ მესამე დაფაზე მოთამაშე **ბელა ხოტენაშვილმა** და **თამარ ნერეთელმა** ყოველგვარი შეთანხმების გარეშე გააჩაღეს ბრძოლა გამარჯვებისთვის. არადა, ჩვენი ვერსიით ყაიმზე იოლად უნდა დაყაბულებულიყვნენ ორივენი, რადგანაც ხოტენაშვილს საგზური მოპოვებული ჰქონდა და ყაიმით მეორე ადგილზე გადიოდა; ნერეთელს კი თავი რომ ქუდში დაეგულა, მოგება სჭირდებოდა, თუმცა ყაიმის შემთხვევაშიც შეეძლო შვიდეულში გასვლა. ამაზე გუშინ ვრცლად ვისაუბრეთ და დღეს აღარ გავიმეორებთ, ერთს ვიტყვით მხოლოდ: ნერეთელს სამი კონკურენტი ჰყავდა, რომელიც ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა და თუკი იქიდან ორი მაინც გაიმარჯვებდა, შვიდეულში ვერ ხვდებოდა - კოეფიციენტი ჰქონდა უარესი.

კონკურენტების პარტიები ისე წარიმართა, თამარს ყაიმი აღარ ყოფნიდა და ამიტომ აქტიურად ათამაშდა. ამან შედეგი ვერ გამოიღო - ხოტენაშვილმა ყველა საშიშროება აიცილა თავიდან და იქით დაამამათა მეტოქის მეფე. ნერეთელი გამოაკლდა საგზურის მაძიებლებს, მაგრამ დაძაბულობა არ მოხსნილა. პირიქით, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე დაფებზე ნერვიულობამ პიკს მიაღწია. ეს სამი წყვილი ორი საგზურისთვის იბრძოდა.

იქამდე, მეხუთე საგზური, როგორც ვივარაუდეთ, **სოფიკო ნიკოლაძემ** გაინაღდა - მან **სოფიკო გურამიშვილთან** ყაიმი მალე გააფორმა და 6.5 ქულა დააგროვა. დარჩენილი ორი საგზურისთვის **სოფიკო ტერელაძე, ინგა ხურცილავა** და **სალომე ხაჟომია** იბრძოდნენ. მათ მეტოქეებს - **მარიამ დანელიას, ნინო ანაკიძეს** და **ნინო ბაციაშვილს** უარესი კოეფიციენტის გამო ბევრად ნაკლები შანსები ჰქონდათ.

ინგა ხურცილავამ უფრო ადრე დაასრულა პარტია, ანაკიძის დამარცხება არ გასჭირვებია და მეტოქეებს დაელოდა. ლოდინი კარგახნით მოუწია: ტერელაძე უპირატესობას ფლობდა დანელიასთან, მაგრამ მოსაგებად გვარიანი ჯაფა დაადგა. ტერელაძე ხურცილავას კოეფიციენტით სჯობდა და მისი მოგება ინგასთვის სასურველი არ იყო,, თუმც, შანსი მაინც რჩებოდა - სალომე ხაჟომიას ნინო ბაციაშვილთან ვერ უნდა მოეგო.

სალომე კი შავებით თამაშობდა და იძულებული იყო აქტიურად ებრძოლა. ჭადრაკში შავი ფერით მოგება რომ რთულია, ცნობილია, თუმცა - არა შეუძლებელი, მაგრამ ამჯერად ნიჭიერმა 16 წლის ხაჟომიამ ეს ვერ მოახერხა. თითქოს შუა თამაშში შანსებიც გაიჩინა - ხარისხით დაწინაურდა, მაგრამ ბაციაშვილს პოზიციური კომპენსაცია ჰქონდა და ორი პაიკიც ჰყავდა ხარისხში. რამდენიმე სვლის შემდეგ ბაციაშვილმა ხარისხი დააბრუნა, მაგრამ პაიკთა უპირატესობა შეინარჩუნა და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც.

მართალია ბაციაშვილმა 6 ქულა დააგროვა, მაგრამ შვიდეულში ვერ მოხვდა, თუმცა არ არის გამორიცხული ნინომ უმაღლესში მაინც ითამაშოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი რომელიმე მონაწილე უარს იტყვის თამაშზე. ამის ალბათობა საკმაოდ დიდია: კულუარული ინფორმაციებით საქართველოს ჩემპიონატში თამაშისგან შესაძლოა უარი თქვას **ლელა ჯავახიშვილმა**. მოგეხსენებათ, ლელა შარშანდელი ჩემპიონატის გამარჯვებულია, რეიტინგითაც მეორეა **მაია ჩიბურდანიძის** შემდეგ და საქართველოს ნაკრებშიც დაბევებული აქვს ადგილი. ჩემპიონატი ფინანსურად საკმაოდ წამახალისებელი იქნება, - როგორც წესი, ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე სრულად აფინანსებს პირველ სამეულს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია. ამიტომ რთული სათქმელია, იტყვის ამაზე უარს ჯავახიშვილი თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ბაციაშვილი პირველი „რეზერვისტია" და საკმაო შანსია ახლანდელი შვიდეული ოქტეტში გადაიზარდოს...

ახლა კიდევ ერთხელ ვთქვათ, ვინ მოიპოვა საგზური და პირველ ლიგაში წარმატებული თამაშისთვის შესაბამისი პრიზები - მედლები, დიპლომები და ჩვენი კოლეგის, **ვაჟა დანელიას** წიგნი.

7 ქულით პირველ ადგილზე **ბელა ხოტენაშვილი** გავიდა; მეორე 6.5 ქულით **სოფიკო გურამიშვილია**; ამდენივეთი მესამეზე გავიდა **ქეთი ნაწალაშვილი, სოფიკო ნიკოლაძე** კი მეოთხე იყო - მასაც 6.5 ქულა აქვს. მეხუთეზე 6 ქულით **სოფიკო ტერელაძეა**, ამდენივეთი მეშვიდე იყო **ინგა ხურცილავა**.

მთელი ტურნირის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მოხდა საგულისხმო. უპირველესი ტენდენცია ის გახლავთ, რომ ახალგაზრდები თამამად ეპაექრებიან აღიარებულ ფავორიტებს და ხშირად ამარცხებენ კიდეც. კიდევ უფრო პატარები კი ნიჭს ავლენენ და საერთო სურათში მშვენივრად ჯდებიან.

ცხადია, მთავარი მოვლენა **სოფიკო გურამიშვილის** და **ქეთი ნაწალაშვილის** წარმატებაა. ესენი პირველად მოხვდნენ უმაღლეს ლიგაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ ბარიერის გადალახვა გურამიშვილისთვის, რადგანაც იგი ზედიზედ რამდენიმე წელია, ბოლო ტურში კარგავდა საგზურს. ამ გოგონებმა ნამდვილად დაიმსახურეს უძლიერეს ქართულ ქალებთან თამაში და გვჯერა, რომ არც მთავარ ტურნირში შეირცხვენენ თავს.

ასევე ძალიან სასიამოვნო და ერთგვარად მოულოდნელიც იყო **სოფიკო ნიკოლაძის** წარმატება. სოფომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ბოლოს 2001 წელს იასპარეზა და მაშინ მესამე ადგილზე გავიდა. 2001 წლის შემდეგ 2004-ში მიეცა ასეთივე შანსი, მაგრამ სწორედ ტურნირის დროს ფეხმძიმობის ბოლო ვადაში იყო და ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა, **ნინო გურიელმა** ასპარეზობისგან თავის შეკავებაში დაარწმუნა - დიდი შანსი იყო, შუა ტურნირიდან გამხდარიყო სამშობიაროში წასაყვანი. სხვათა შორის, ასეც მოხდა: სოფო ჩემპიონატის შუა წელში გახდა მეხუთე შვილის დედა!

ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო **ინგა ხურცილავას** დაბრუნება ქართულ საჭადრაკო სცენაზე. ინგა დაოჯახების შემდეგ გახდა შედარებით პასიური და რამდენიმე წელი საბერძნეთში იცხოვრა. მართალია ზოგჯერ იქაც ასპარეზობდა ტურნირებში, მაგრამ ძალიან იშვიათად, რაც, ცხადია, მის სპორტულ ფორმაზე სათანადოდ აისახებოდა. ამიტომაც გაუჭირდა პირველ ლიგაში და როგორც იტყვიან, უმაღლესში მიმავალი მატარებლის ბოლო ვაგონს შეახტა. თავადაც აღნიშნა, - რამდენიმე წელია, ჭადრაკი წესიერად არ მითამაშია, რა გასაკვირია, რომ გამჭირვებოდაო.

**ბელა ხოტენაშვილის** თამაშიც გამოსარჩევია - მას ერთხელ აქვს უმაღლესში ძალები მოსინჯული, მაგრამ არცთუ წარმატებულად. მას შემდეგ ოსტატობა აშკარად გაეზარდა და ალბათ წელს ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი მონაწილე იქნება. **ინგა ჭარხალაშვილი** გამოცდილი მებრძოლია და ნიჭიც საკმაოდ მოსდევს, რაც ქვეყნის პრიზიორებში მოსახვედრადაც უნდა იყოს საკმარისი. აქამდე ინგამ ეს ვერ მოახერხა, მაგრამ წლებთან და ოსტატობასთან ერთად ამბიციებიც ემატება და ისიც ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ წლევანდელ ჩემპიონატში.

უმცროსებიდან თავი დაგვამახსოვრეს **ეკა გოგლიძემ**, რომელმაც 5.5 ქულით მეათე ადგილი დაიკავა, **ფატი რიჟამაძემ** - იგი მეცამეტე იყო 5 ქულით, **ნინო ანაკიძემ** - 5 ქულით მეთექვსმეტე, **დეა გოგიშვილმა**, რომელმაც 4.5 ქულით 22-ე ადგილი დაიკავა და **ანა კუჭავამ** - 4 ქულით 28-ე ადგილზე დაასრულა შეჯიბრი.

ყველაზე დიდი იმედგაცრუება **მაკა ფურცელაძისა** და **ნინო მელაშვილის** შემთხვევაში ვნახეთ: მაკა, რომელიც კაცთა საერთაშორისო ოსტატის ტიტულს ფლობს, 5.5 დააგროვა და მეთერთმეტე ადგილზე გავიდა, ნინო მელაშვილმა კი 2.5 ქულით 36-ე ადგილი დაიკავა.

წარმატება-წარუმატებლობა შესაბამისად აისახება მონაწილეთა რეიტინგებში. ყველაზე დიდი მონაგარი ამ მხრივ **ეკა გოგლიძეს** აქვს - 7-8 პუნქტი მოიმატა. თუმცა ეს იმის ხარჯზე, რომ საკმაოდ დაბალი რეიტინგი აქვს დღეისთვის - 1851. მეორე მაჩვენებელი აქვს ანა კუჭავას - მან 38 პუნქტი შეიმატა. 30-ით გაეზრდება რეიტინგი ფატი რიჟამაძეს; დეა გოგიშვილს კი -24-ით. შთამბეჭდავია ბელა ხოტენაშვილის მატება: 27 პუნქტი , რაც საკმაოდ მაღალრეიტინგიანი მოჭადრაკისთვის რთული მოსახერხებელია. ამ მხრივ ძალიან კმაყოფილები უნდა იყვნენ ქეთი ნაწალაშვილი, რომელმაც 22 პუნქტი მოიმატა და სოფიკო გურამიშვილი - მისი აქტივი 17 პუნქტია.

ყველაზე დიდი სარეიტინგო დანაკლისი ანა გავაშელს აქვს - 43 პუნქტი დაკარგა. 34-ით შეუმცირდა მარაგი ნინო მელაშვილს; 28 დაიკლეს მეგი ესებუამ და თამარ ჭანტურიამ; ალექსანდრა ვახანიამ კი 29 ქულიანი ზარალი ნახა.

მნიშვნელოვანი დანაკლისი აქვთ ფავორიტებად მიჩნეულებსაც: თამარ ნერეთელმა და ნინო ბაციაშვილმა 16 პუნქტი დაიკლეს; 13 დაკარგა მაკა ფურცელაძემ. ბევრით არა, მაგრამ მაინც მინუსებში წავიდნენ ინგა ჭარხალაშვილი (-2) და ინგა ხურცილავა (-3).

**დაბოლოს, უმაღლესი ლიგის თამაშები თებერვლის ბოლოს გაიმართება აქვე, თბილისის ჭადრაკის სასახლეში. სისტემა წრიულია და ერთმანეთს ჩემპიონობისთვის 14 ქალბატონი გაეჯიბრება.**

საბოლოო ცხრილი. ათეული: 1. **ბელა ხოტენაშვილი-7; 2. სოფიკო გურამიშვილი-6.5; ქეთი ნაწალაშვილი-6.5; 4. სოფიკო ნიკოლაძე-6.5; 5. ინგა ჭარხალაშვილი-6; 6. სოფიკო ტერალაძე-6; 7. ინგა ხურცილავა-6; 8. ნინო ბაციაშვილი-6; 9. თამარ ნერეთელი-5.5; 10. ეკა გოგლიძე-5.5.**

ზვიად შათირიშვილი

ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი

## ანტიკოსებმა გადმოიტანეს

ცოტა არ იყოს და გვაკვირვებენ ჩვენი მოჭიდავეები - „თავისუფლების" საქართველოს ჩემპიონატის გადადებას ვითხოვდით და „ანტიკოსებმა" გადადეს. მოგეხსენებათ, „თავისუფალთა" ქვეყნის პირველობა 26-27 იანვარს ტარდება ანუ ძიუდოში თბილისის მსოფლიო თასს ემთხვევა. გვეგონა, ეს სამწუხარო გაუგებრობა უმტკივნეულოდ მოგვარდებოდა, მაგრამ მოულოდნელად, გადაუჭრელ პრობლემად იქცა. აქ ლაპარაკი „თავისუფალთა" ტურნირის გადადებაზე იყო, რადგან ძიუდოს შეჯიბრება საერთაშორისო ტურნირია, საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში შეტანილი, თანაც - სალიცენზიო და მისი გადადება არანაირად არ მოხერხდებოდა - მსგავსი ტურნირების კალენდარი რამდენიმე წლით ადრე იწერება, აი, საქართველოს პირველობის გადატანა კი საშინაო საქმე გახლდათ.

ამის მიუხედავად, მწვრთნელებმა, ეს მომავალი შეჯიბრერების კალენდარს აგვირევსო, და გადადება სასტიკად იუარეს. არადა, ორივე სტილის ჭიდაობაში ქვეყნის პირველობები ოლიმპიადისთვის შიდაშესარჩევი შეჯიბრებებია და კანდიდატთა საქმეში ხილვა ჟურნალისტებისთვისაც მისწრება იქნებოდა. მით უფრო, ქვეყნის სიდუხჭირისა თუ რიგ მიზეზთა გამო ჩვენი ფალავნების უცხოურ ტურნირებზე ხილვა შეუძლებელია და საქმეში მათ ხილვას მხოლოდ რესპუბლიკურ ტურნირებზე თუ მოვახერხებთ.

სამაგიეროდ, საქართველოს ჩემპიონატი უმტკივნეულოდ გადადეს „ანტიკოსებმა" - 2-3 თებერვალს გასამართი პირველობა 29-30 იანვარს გადმოიტანეს! აღნიშნული რამდენადაა სატირალი, ვერ გეტყვით, მაგრამ სასაცილო ნამდვილადაა.

ორივე ტურნირი წლეულსაც ბათუმში ჩატარდება. იმედია, ისეთივე ანშლაგით, როგორც - შარშან, თუმცა, სავარაუდოდ, მასპინძლები ხალიჩაზე თავიანთ კუმირს, მსოფლიო ჩემპიონ **დავით ბედინაძეს** (60) ვერ იხილავენ. წინასწარი მონაცემებით, მწვრთნელები მას და მეორე მსოფლიო ჩემპიონს **რამაზ ნოზაძეს** (96) დასვენებას უპირებენ. „თავისუფალთაგან" შელავათის გაკეთებას ლიცენზიამოპოვებულებს - **ოთარ თუშიშვილსა** (66) და **გელა სალირაშვილს** (74) უპირებდნენ, თუმცა ეს საბოლოოდ მაინც არ იყო გადაწყვეტილი. ასევე წინასწარი მონაცემებით, ჩემპიონატში სხვა ყველა უძლიერესმა ფალავანმა უნდა იჭიდაოს.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

## შტუტგარტს დაეთხოვა

შტუტგარტის საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობა დაასრულა 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ**, რომელმაც წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში დათმო. ოქსანა შვეიცარიელ **ნიკოლ რინერთან** წყვილში პირველ ნომრად განთესილ ბოსნიურ-ხორვატულ დუეტთან (**მარტინოვიჩი, იურაკი**) დამარცხდა - 1:6, 7:5, 1:10. შეგახსენებთ, რომ ოქსანამ ერთეულთა თანრიგში ვერ შეძლო ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევა. ასე რომ, ქართველი ჩოგბურთელისთვის სეზონის პირველ ტურნირს წარმატებად ვერ ჩავუთვლით. ოქსანა კალაშნიკოვა კაარსტში (გერმანია) 10-ათასიან ტურნირში იასპარეზებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ხვალ, 18:00.
საქართველო-ლუქსემბურგი.
ჩელენჯ ტროფის ფინალი

# საქართველო პირველი ტიტულისთვის იბრძოლებს





**იმედო ფხაკაძე**
მთავარი მწვრთნელი:
(20.11.1942)



**გარი თურქია**
მწვრთნელი
(17.05.1972)



**1. კორნელი ანდრიაძე**
18.03.1984
„თბილისი"
მეკარე



**22. შოთა თევზაძე**
21.02.1981
სტუ-"თელავი"
მეკარე



იმედო ფხაკაძე, დავით ნამგალაური და თამაზ თევზაძე

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები დღეს ნორვეგიის ქალაქ დრამენში გაემგზავრება, სადაც 20 იანვარს „ჩელენჯ ტროფის" ფინალში ითამაშეს ლუქსემბურგის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებს აქამდე არასოდეს არ მოუგია არც ერთი ტურნირი. ასე რომ, ჩვენს ხელბურთელებს კვირას შანსი აქვთ, პირველი სანაკრებო ტიტულის მფლობელები გახდნენ.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იმედო ფხაკაძემ** გუშინ 14-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც დრამენში იახლებს. როგორც მოსალოდნელი იყო, განაცხადში ვერ მოხვდა ნაკრების ყველაზე გამოცდილი წევრი **ტიტე კალანდაძე**, რომელიც ტრავმირებულია. საბუთების პრობლემის გამო, ასევე თბილისში დარჩა **შოთა გრიშიკაშვილი**. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, სანორვეგიო გუნდში ვერ მოხვდა მეკარე **არჩილ გარიშვილიც**. გუნდში რამდენიმე დებიუტანტია: **გიორგი ჩიქოვანი, უჩა მაისურაძე** და **ილია გოგალაძე**.

როგორც გუშინ შევიტყვეთ, ბოლო ვარჯიში მაღალი სიცხის გამო გააცდინა ნაკრების ერთ-ერთმა საკვანძო ხელბურთელმა **რატი მსხვილიძემ**. თუმცა, მწვრთნელებს იმედი აქვთ, რომ რატი კვირამდე გამოჯანმრთელდება.

**გუშინ, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გამართა.**

### თამაზ თევზაძე,
ფედერაციის პრეზიდენტი:

- როგორც იცით, „ჩელენჯ ტროფი" ევროპის ხელბურთის ფედერაციის ოფიციალური ტურნირია, რომელიც განკუთვნილია მეორე ეშელონის ქვეყნებისთვის. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ წინა წლებში არსებულმა გაჭირვებულმა ყოფამ, ჩვენი ნაკრები მართლაც მეორე ეშელონის გუნდებში გადაისროლა. თუმცა, ეს ფაქტი მხოლოდ დროებითია. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ შემოდგომიდან ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში წარმატებით ჩავერთოთ.

წლევანდელი „ჩელენჯ ტროფი" ახალი სისტემით ჩატარდა, რომელმაც საშუალება მოგვცა, რომ ჩვენი ჯგუფის მატჩებისთვის გვემასპინძლა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მთავრობას იმისთვის, რომ ხელბურთის წინსვლით დაინტერესებულია და დიდ ყურადღებას გვაქცევს.

### იმედო ფხაკაძე,
მთავარი მწვრთნელი:

- „ჩელენჯ ტროფის" ჯგუფური ეტაპის შემდეგ, ნაკრების შემადგენლობა ოდნავ გადავახალისეთ. მოსამზადებელი ეტაპი გეგმის მიხედვით გავიარეთ. ერთადერთი პრობლემა უამინდობა იყო. მადლობა ხელბურთის ფედერაციას, სპორტის დეპარტამენტს, ჩემს თანაშემწე გარი თურქიასა და ყველა იმ ადამიანს, ვინც ნაკრებს გვერდში ამოუდგა.

### გარი თურქია,
მწვრთნელი:

- ლუქსემბურგი კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ უფრო უკეთესი შემადგენლობა გვყავს. ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად დასრულდება და „ჩელენჯ ტროფს" მოვიგებთ.

### დავით ნამგალაური,
სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე:

- „ჩელენჯ ტროფის" მოგება და სეზონის წარმატებით გახსნა საკმაოდ მნიშვნელოვანია. ჯგუფურ ეტაპზე უკვე მივაღწიეთ წარმატებას თბილისშიდა ვიმედოვნებ, ჩვენი გუნდი ლუქსემბურგსაც დაამარცხებს.

აღსანიშნავია, რომ ხელბურთში ადრე მუდამ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ნაკრები გუნდების ამა თუ იმ შეჯიბრებაზე წასვლის საკითხი. ახლა ჩვენ ეს პრობლემა მოვაგვარეთ. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ ამიერიდან, ყველა ასაკის ნაკრებ გუნდს დაეხმაროს ოფიციალურ შეჯიბრებებზე წასვლაში.

ეროვნული ნაკრები შემოდგომით ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში ჩაერთვება. იქამდე გუნდს სახელმწიფო დაეხმარება 3 შეკრების ორგანიზებაში. და თუ სად გაიმართება ეს სამი შეკრება, ეს გუნდის მწვრთნელების გასადაწყვეტია. სასიამოვნოა, რომ ხელბურთის ფედერაციის სათავეში ისეთი ხალხი მივიდა, რომლებიც სერიოზულად ფიქრობენ ხელბურთის წინსვლაზე. მათ ყველანაირად დავუდგებით გვერდში.

სპორტის დეპარტამენტი სხვადასხვა სახელბურთო ლონისძიებებთან ერთად, დააფინანსებს 1992-93 წლებში დაბადებულთა საქართველოს ჩემპიონატს.

დასასრულ, ერთ ახალ ამბავსაც გაგაცნობთ. საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია სახელმწიფოსთან ერთად, აპირებს სტუდენტური ლიგების ჩამოყალიბებას სხვადასხვა სპორტის სახეობაში. მათ შორის იქნება ხელბურთიც. სტუდენტური ლიგები მთელი წლის განმავლობაში გასტანს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჩვენ სხვადასხვა რეგიონებში გავხსენით ახალი დარბაზები, რომლებიც ასეთი ლიგების მასპინძლობისთვის მზად არიან.

მაშ, ასე! ქართული ხელბურთის გულშემატკივრებს კვირას, 18 საათიდან, საზოგადოებრივი მაუწყებლის ყურებას ვურჩევთ. საზოგადოებრივი მაუწყებელი საქართველო-ლუქსემბურგის პირდაპირ რეპორტაჟის გადმოცემას აპირებს.

**კობა ხატისაშვილი**



**5. აკაკი ტალახაძე**
22.05.1984
სტუ-"თელავი"
მარჯვენა შუამარბი



**7. ომარ ყიფიანი**
14.06.1975
სტუ-"თელავი"
ხაზის მოთამაშე



**23. ილია გოგალაძე**
31.07.1986
სტუ-"თელავი"
მარჯვენა გარემარბი



**21. რევაზ ძანტურია**
31.05.1982
„მეტალურგი", მაკედონია
მარჯვენა გარემარბი



**8. გიორგი ჩიქოვანი**
15.12.1988
სტუ-"თელავი"
ხაზის მოთამაშე



**24. რატი მსხვილიძე**
19.06.1988
„სტიარნანი", ისლანდია
მარჯვენა შუამარბი



**2. ლევან ბერძენიშვილი**
06.07.1986
სტუ-"თელავი"
მარჯვენა შუამარბი



**10. ვლადიმერ რუსია**
30.05.1984
„დინამო", რუმინეთი
მარცხენა შუამარბი



**27. უჩა მაისურაძე**
23.04.1986
„თბილისი"
ხაზის მოთამაშე



**3. გიორგი ქობელაშვილი (კაპიტანი)**
16.11.1976
სტუ-"თელავი"
მარცხენა გარემარბი



**11. გიორგი ნიენივაძე**
30.12.1981
„თბილისი"
ხაზის მოთამაშე



**28. სერგო დათუკაშვილი**
28.04.1978
„ტუს-ენლიუბეკე", გერმანია
გამთამაშებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 იანვარი, რუსთავი

**ენერჯი-ავიამშენი 78:80**

24:23, 9:23, 19:8, 26:26

| ენერჯი | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცეკვავა | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 5 | 1 |
| ლეჟავა | 9 | 6 | 4 | 0 | 0 | 3 | 4 |
| გოისა | 3 | 5 | 4 | 2 | 0 | 5 | 3 |
| ბაბიაშვილი | 13 | 4 | 1 | 1 | 2 | 4 | 4 |
| სტეფანოვი | 31 | 10 | 1 | 0 | 0 | 3 | 3 |
| დიდია | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ლიპარტელიანი | 6 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| გოგოზერიშვილი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ტუჯანი | 4 | 8 | 0 | 4 | 0 | 4 | 3 |
| ჭოჭუა | 0 | 2 | 2 | 3 | 0 | 3 | 2 |
| | 78 | 41 | 13 | 12 | 2 | 29 | 12 |

| ავიამშენი | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუში | 24 | 9 | 3 | 2 | 0 | 2 | 7 |
| ნიკოლაძე | 13 | 2 | 6 | 1 | 0 | 2 | 3 |
| ხოშტარია | 13 | 4 | 2 | 2 | 1 | 5 | 5 |
| მინაშვილი | 16 | 7 | 1 | 3 | 0 | 3 | 2 |
| მათიაშვილი | 5 | 5 | 1 | 1 | 2 | 5 | 2 |
| ბერაია | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| იმნაძე | 0 | 5 | 1 | 0 | 0 | 2 | 2 |
| როდუმტა | 7 | 7 | 0 | 0 | 4 | 3 | 4 |
| სუხიშვილი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | 80 | 42 | 14 | 9 | 7 | 22 | 25 |

მსაჯები: ზ.მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი. ფინალი

# ავიადარტყმა რუსთავს

გუშინ რუსთავმა სერიოზული გარტყმა მიიღო - სავსე დარბაზი მშობლიურ გუნდს ენერგიულად ქომაგობდა და გამარჯვებაშიც დარწმუნებული იყო, მაგრამ „ავიამშენმა" „ენერჯის" ქორქია-საკანდელიძის თასი ცხვირწინ ააწაპნა. გულშემატკივრებს რუსთაველთა გამარჯვებისა ჯერ ერთი იმიტომ სჯეროდათ, რომ ამ სეზონში „ენერჯიმ" „ავია" რამდენჯერმე დაამარცხა. მეორეც, შარშან და შარშანწინ რუსთაველებმა ქორქია-საკანდელიძის მემორიალი დამაჯერებლად მოიგეს და ტრადიციის დარღვევას ნაკლებად ელოდნენ.

საინტერესო სანახავი იყო ტრიბუნები გამარჯვებულის დაჯილდოვებისას - მაშინ როცა, „ავიამშენის" კაპიტანს **ირაკლი ხოშტარიას**, საპატიო თასს აძლევდნენ, სავსე დარბაზიდან თითო-ოროლა ქომაგი იყო დარჩენილი, ისინიც გასასვლელისკენ მიიჩქაროდნენ. აქვე გეტყვით, რომ ზურაბ საკანდელიძის სახელობის თასი, რომელიც ტურნირის საუკეთესო უკანახაზელისთვის იყო განკუთვნილი, „ავიატორთა" გამთამაშებელს **კოტე ტულუშს** ერგო. მან ფინალში 24 ქულა 9 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა გაიფორმა. შეხვედრის სნაიპერი „ენერჯის" სერბი ფორვარდი იოვან სტეფანოვი გახდა, მის ანგარიშზე - 31 ქულა და 10 მოხსნაა. იოვანი შეჯიბრების საუკეთესო ფორვარდი იყო და მიხეილ ქორქიას სახელობის თასი დამსახურებულად გადაეცა. შეგახსენებთ, რომ შარშან ეს ჯილდოები „ენერჯის" წევრებს ლაშა გამყრელიძესა და დავით უგრეხელიძეს ერგოთ.

- ეს სტეფანია მაგარია, მაგრამ მას უკნიდან გამყრელიძე რომ დახმარებოდა, ნამდვილად მოვიგებდით, - წარმოთქვა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა მატჩის დამთავრებისთანავე. იგი მხოლოდ სანახევროდ იყო მართალი: **ლაშა გამყრელიძემ** „ავიასთან" საქართველოს ჩემპიონატის მატჩში 36 ქულა ჩააგდო და ფაქტობრივად მარტომ მოუგო „მფრინავებს". ხოლო მართალი არ იყო, როცა სტეფანოვი სტეფანიად მონათლა. ნამდვილი სტეფანია ახლა სიეტლშია...

ლაშა გამყრელიძის არყოფნა „ენერჯის" ნაგების ერთ-ერთი მიზეზი იყო. მის გარეშე მოთამაშე რუსთაველებს აშკარად ეტყობოდათ ლიდერის არყოფნა. გადამწყვეტ მომენტში თამაში საკუთარ თავზე **ბესიკ ლეჟავამ** და იოვან სტეფანოვმა აიღეს, სერბს ეს გამოუვიდა, ხოლო ბესოს - ვერა. ალბათ იმიტომ რომ ლეჟავა მიჩვეული არ არის თამაშის მოგების პასუხისმგებლობას.

„ენერჯის" მარცხის მეორე მიზეზი შემადგენლობა იყო. მატჩისშემდგომ კომენტარისას მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** თქვა: *„ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომელსაც გამოცდილება აკლია. ასე რომ არ იყოს, ბოლო წუთებზე დაწინაურების შემდეგ მეტოქეს გამარჯვებას არ დავანებებდით".*

კი მაგრამ, აქამდე როგორ ახერხებდა „ენერჯი" ერთი-ორად გამოცდილი „ავიას" დამარცხებას? - იკითხავთ. ეს მხოლოდ დავით უსტიაშვილის სწორი ტაქტიკისა და გუნდის მომზადების ხარჯზე ხდებოდა. ლოგიკის ჯაჭვს რომ გავყოლოდით, ადრე თუ გვიან, „ენერჯის" „ავიასთან" უნდა წაეგო, რადგან **ლევან მოსეშვილს** შედარებით ძლიერი შემადგენლობა ჰყავს.

...ბატონი ლევანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი გუნდი რუსთაველებთან ყველაზე (ჯერჯერობით) მნიშვნელოვან მატჩს კარგად მომზადებული შეხვდა, გუნდური კალათბურთიც უჩვენა და ფსიქოლოგიური მდგრადობაც.

ზემოთ „ავიატორების" კაპიტანი ირაკლი ხოშტარია ვახსენეთ, ისიც ვთქვით, ტულუში საუკეთესო უკანახაზელი იყოო, აქ დავამატებთ - **გიორგი ნიკოლაძემ** თავისი სამქულიანებით თანაგუნდელები ჯერ ფინალში გაიყვანა, ხოლო გუშინ ჩემპიონობა მოაპოვებინა. ერთ კლუბში სამი უკანახაზელი ერთბაშად ვერ გამოირჩეოდა გუნდური თამაში რომ არა. ლევან მოსეშვილმა მათ ფარქვეშიდან ქულების მოგროვების დარგში **ვახტანგ მინაშვილი** მიაბარა (16 ქულა), ხოლო, ფარის დაცვა **მათიაშვილს, იმნაძესა** (7 წუთი, 5 მოხსნა) და **როდუმტას** (4 დაფარება) დაავალა. „ავიაციის" წინაშე თავისი ვალი ყველამ პირნათლად მოიხადა და ამიტომაც მოიგო „ავიამ".

მიზეზებზე ბევრი ვისაუბრეთ, მაგრამ არ დაგვვიწყნია, რომ რუსთავიდან ტელერეპორტაჟებს საზოგადოებრივი მაუწყებელი არ ახორციელებს. ამიტომ, ორიოდე სიტყვა შეხვედრის მსვლელობაზეც უნდა ვთქვათ. პირველ პერიოდში მეტოქენი ერთმანეთს ზვერავდნენ და გადამწყვეტი მოქმედებისთვის ემზადებოდნენ. მეორე მეოთხედის დასაწყისში „ავიატორებმა" მეტოქეს სწრაფი ტემპი შესთავაზეს, პერიმეტრიდან ტყორცნებს ფარქვეშ შეჭრები ამჯობინეს, დაცვაშიც მწყობრად დადგნენ და 10-წუთიანი მონაკვეთი 23:9 მოიგეს.

დიდ შესვენებაზე დავით უსტიაშვილმა შეგირდები დაამშვიდა. ეს პირველ რიგში „ენერჯის" დაცვას დაეტყო. ვერც ტულუში, ვერც ნიკოლაძე და ვერც ხოშტარია მასპინძელთა მწყობრ დაცვას ველარ უმკლავდებოდნენ. სამაგიეროდ იოვან სტეფანოვს წაუვიდა სროლა და 29-ე წუთისთვის „ენერჯი" 52:50 დააწინაურა. მესამე პერიოდის ბოლო წუთიდან გიორგი ნიკოლაძის სამქულიანმა „ავიატორებს" შადა გაუხსნა და თუ მანამდე მათ ერთი სამიანი ჰქონდათ ჩაგდებული, 29-ე წუთის შემდეგ 5 ზუსტი სროლა შეასრულეს...

...გადამწყვეტი სტუმრების ორი შორეული გასროლა აღმოჩნდა: სირენამდე 1:15 წუთით ადრე ტულუშმა ჩააგდო სამიანი (74:73), ხოლო 36 წამით ადრე ნიკოლაძემ - 77:73.

დარჩენილ დროში რუსთაველებმა განზრახ ჯარიმებს მიმართეს, მატჩის დამთავრებამდე 2 წამით ადრე სხვაობა 2 ქულამდეც შეამცირეს, ბესიკ ლეჟავას მიერ აცილებული საჯარიმოს შემდეგ გეგი ლიპარტელიანს შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანის შანსი მიეცა, მაგრამ უხერხული მდგომარეობიდან ბურთი მიზანს აცილა და თვალის დახამხამებაში როგორ დაიცალა იმედგაცრუებული დარბაზი უკვე გითხარით.

„ენერჯის" მწვრთნელის დავით უსტიაშვილის ზემოთმოცემულ კომენტარს ახლა შევავსებთ: *„საწყისი 20 წუთის განმავლობაში ჩვენი თამაშის პოვნა გაგვიჭირდა, მაგრამ ბოლოს სიტუაცია გამოვასწორეთ და ბოლო წამებზე გამარჯვებაც შეგვეძლო... ძალიან გვაკლდა ლაშა გამყრელიძე"*

„ავიამშენის" მწვრთნელი **ლევან მოსეშვილი** გახარებული იყო: *„გუნდის ხელმძღვანელობასა და კალათბურთელებს სეზონის პირველი ტიტულის მოგებას ვულოცავ. დღეს ხარვეზები იყო, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ დიდი რეზერვი გაგვაჩნია. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს თასი

## თასს თასი მოყვება

21-24 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება საქართველოს თასის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობას სუპერლიგის ექვსივე გუნდი მიიღებს. თასის მფლობელი „თბილავიამშენია", რომელმაც შარშანდელი გათამაშების ფინალში „ენერჯი ინვესტი" დაამარცხა.

წილისყრის შედეგად, გუნდები ასე გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: **თბილავიამშენი, დინამო, მაკაბი.**

B ჯგუფი: **ენერჯი ინვესტი, თსუ, ვითა.**

| განრიგი |
|---|
| **21 იანვარი** |
| თბილავიამშენი-დინამო (13:15) |
| ენერჯი ინვესტი-ვითა (15:15) |
| **22 იანვარი** |
| მაკაბი-დინამო (13:15) |
| თსუ-ვითა (15:15) |
| **23 იანვარი** |
| თსუ-ენერჯი ინვესტი (13:15) |
| მაკაბი-თბილავიამშენი (15:15) |
| **24 იანვარი** |
| ფინალი |

სუმო

იანვრია ბაშო

# კოკაიმ წააგო, ტოჩინოშინმა მოიგო




20 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** აღარ ხუმრობს, მეორე ელიტური დივიზიონის, ძურიოს დებიუტანტმა მეექვსე საბრძოლო დღეს მეხუთე გამარჯვება იზეიმა, თან კვლავ იორიკირის ილეთით. ტოჩნოშინმა ძურიოში პირველად მოუგო მეტოქეს, ვისაც მაკუუჩის დივიზიონში ასპარეზობის გამოცდილება აქვს, მან დოჰიოდან 36 წლის **კიტაძაკურა** გააძევა.

ლევანს 5-1 ბალანსი აქვს, ისევე როგორც, **ჰოშიჰიკარის და ტამავაშის**. წინ მხოლოდ ერთი სუმოისტია, ძურიოს მე-11 ნომერი **კიტატაიკი** (6-0), სწორედ ამ ფალავანთან წააგო ქართველმა ერთადერთხელ იანვრის ბაშოზე.დღეს ტოჩინოშინი 26 წლის **შირონონამის** შეხვდება.

უმაღლეს დივიზიონ მაკუუჩიში მეორე მარცხი იგემა 26 წლის **კოკაიმ (ლევან ცაგურია)**, მეცხრე მაეგაშირას ვეტერანმა **ჰოკუტორიკიმ** აჯობა ოშიდაშით. კოკაის 4-2 ბალანსი აქვს. ლევანის შემდეგი მეტოქე 23 წლის მძიმეწონოსანი (175 კილო) **ტოიოჰიბიკია**. ბაშოს დაუმარცხებლად კვლავ დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** ლიდერობს (6-0). მას შვიდი რიკიში უდგას კვალში, მათ შორის, თანამემამულე **ასაშორიუ**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)

13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

**მაკუუჩი**

VI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ჰოკუტორიკი 0:1 (ოშიდაში), ასაშორიუ-მიაბიამა 1:0, ჰაკუჰო-კისენოსატო 1:0, ტოიონოშიმა-კოტომიცუკი 1:0, ამა-კაიო 1:0, კოტოოშუ-გოეიდო 1:0, ამინიშიკი-ჩიოტაიკაი 1:0, კოტოშოგიკუ-დეჯიმა 1:0, ასასეკირიუ-ტოკიტენკუ 1:0, ტამაკასუგა-ტოჩინონადა 1:0, ტაკეკაძე-ვაკანოსატო 1:0, ჰომაშო-როჰო 1:0, ბარუტო-ტოიოჰიბიკი 1:0, კაკურიუ-ვაკაკირინი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 6-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა); 5-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), კოტოშოგიკუ (კომუსუბი), ტაკეკაძე (მაეგაშირა 7), კაკურიუ (მ 8), კიოკუტენჰო (მ 10), ფუტენო (მ 12), ივაკიამა (მ 13).; 4-2: კოტოოშუ (ოძეკი), ამინიშიკი (სეკივაკე), კისენოსატო (მ 1), ასასეკირიუ (მ 4), კოკაი (მ 9), ვაკანოჰო (მ 10), იჩიჰარა (მ 16).

VII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ტოიოჰიბიკი, ჰაკუჰო-მიაბიამა, ასაშორიუ-დეჯიმა, კაიო-ტოჩინონადა, კოტოოშუ-ამინიშიკი, ჩიოტაიკაი-ტოკიტენკუ, კოტომიცუკიამა, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, კისენოსატო-გოეიდო, ტამაკასუგა-ვაკანოსატო, როჰო-ასასეკირიუ, ჰომაშო-ბარუტო, ტაკეკაძე-ჰოკუტორიკი, კაკურიუ-კასუგაო, ფუტენო-ვაკაკირინი.

**ძურიო**

VI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი-კიტაძაკურა 1:0 (იორიკირი), კასუგანიშიკი-რიუო 1:0, საკაიძავა-ჩიოჰაკუჰო 1:0, ჰოჩიამა-ჰაკუროძანი 1:0, კიტატაიკი-ვაკაკოიუ 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: **6-0: კიტატაიკი (ძურიო 11); 5-1: ჰოშიჰიკარი (ძ 5), ტოჩინოშინი (ძ 12), ტამავაში (მ 13).**

VII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **ტოჩინოშინი-შირონონამი, კორიუ-კოტოკასუგა, ჩიოჰაკუჰო-ჰოჩიამა, ჰოშიჰიკარი-მოკონამი, კიტატაიკი-კიტაძაკურა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

## ვეიკ ან ზეეს ტურნირი

V ტური: თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)-პაველ ელიანოვი (უკრაინა) 1:0; **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი)-**ლუკ ვან ველი** (ჰოლანდია) 1:0; **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი)-**ბორის გელფანდი** (ისრაელი) 1:0; **ლევონ არონიანი** (სომხეთი)-**ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) 0.5:0:5; **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა)-**მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია) 0.5:0:5; **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი)-**მაიკლ ადამსი** (ბრიტანეთი) 0.5:0:5; **იუდით პოლგარი** (უნგრეთი)-**პეტერ ლეკო** (უნგრეთი) 0.5:0:5.

**სატურნირო მდგომარეობა: 1-3. მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია), **ლევონ არონიანი** (სომხეთი), **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) - 3.5 ქულა; **4-5. იუდით პოლგარი** (უნგრეთი), **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი) - 3; **6-10. ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა), **ლუკ ვან ველი** (ჰოლანდია), **მაიკლ ადამსი** (ბრიტანეთი), **პეტერ ლეკო** (უნგრეთი), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი) - 2.5; **11-12. ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი), **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) - 2; **13-14. პაველ ელიანოვი** (უკრაინა), **ბორის გელფანდი** (ისრაელი) - 1.

ჰოკეი

## კაპიტნები ცნობილია

27 იანვარს, ატლანტაში ჰოკეის ეროვნული ლიგის "ყველა ვარსკვლავის მატჩი" უნდა გაიმართოს. გუნდების შემადგენლობები უკვე დიდი ხანია ცნობილია, გუშინ კი, NHL-მ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაკრებების კაპიტნები გამოაცხადა.

აღმოსავლელი ვარსკვლავების კაპიტანი იქნება "ტამპა ბეი ლაითნინგის" ფორვარდი, რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირი **ვენსან ლეკავალიე**. დასავლეთი კონფერენციის გუნდს კი, "კალგარი ფლეიმზის" თავდამსხმელი **ჯერომ იგინლა** უკაპიტნებს.

ლაურეატები

## საუკეთესო ამერიკელები: გაი და ჰოფი

გრძელდება სხვადასხვა ვერსიებით 2007 წლის საუკეთესო სპორტსმენთა გამოვლენა.

ამერიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა ქვეყნის მასშტაბით დაასახელა წლის ათლეტები. ამჯერად, მამაკაცებს შორის ყველას აჯობა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, მძლეოსანმა **ტაისონ გაიმ**, ხოლო ქალებში საუკეთესოდ მოცურავე **კეტი ჰოფი** მიიჩნიეს.

გაიმ ოსაკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში 100 და 200 მეტრ დისტანციებზე და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში მოიპოვა ოქროს მედლები. რაც შეეხება ჰოფს, მან გასულ წელს, მელბურნში გამართულ პლანეტის ჩემპიონატზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, აგრეთვე პირველი ადგილი დაიკავა ამავე დისციპლინაში 200 მეტრ დისტანციაზე და ამერიკის ნაკრებს 2x200 მეტრზე ესტაფეტის მოგებაში დაეხმარა. სხვათა შორის, ჰოფი 2005 წელსაც გახდა ანალოგიური პრიზის მფლობელი.

## აქაც ფედერერი და ანენი

წლის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინა სპორტული პრესის ევროპულმა საბჭომ (UEPS). მამაკაცებსა და ქალებს შორის ლაურეატები ჩოგბურთელები არიან. კაცებში ყველას აჯობა შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, ხოლო ქალებს შორის საუკეთესო იყო ბელგიელი **ჟუსტინ ანენი**.

პრიზი, რომელიც UEPS-ის ყოფილი პრეზიდენტის **ფრანკ ტეილორის** სახელს ატარებს, ფედერერმა ზედიზედ მეოთხედ მოიგო. ასევე ოთხჯერ აქვს მოპოვებული ეს ჯილდო ანენსაც, მაგრამ ამისთვის მას შვიდი სეზონი დასჭირდა.

გამოკითხვის სრული შედეგები ასეთია:

**მამაკაცები. 1. როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, ჩოგბურთი) - 92 ქულა; **2. კიმი რაიკონენი** (ფინეთი, ფორმულა 1) - 28; **3. კრისტიანო რონალდო** (პორტუგალია, ფეხბურთი) - 14; **4. ოლე ეინარ ბიორნდალენი** (ნორვეგია, ბიატლონი) - 12; **5. სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, რალი) - 10; **6. პაოლო ბეტინი** (იტალია, ველოსპორტი) - 7.

**ქალები. 1. ჟუსტინ ანენი** (ბელგია, ჩოგბურთი) - 68; **2. ელენა ისინბაევა** (რუსეთი, მძლეოსნობა) - 34; **3. კაროლინა კლუფტი** (შვედეთი, მძლეოსნობა) - 32; **4. ბლანკა ვლასიჩი** (ხორვატია, მძლეოსნობა) - 24; **5. ლორ მანდოუ** (საფრანგეთი, ცურვა) - 13; **6. ანია პერსონი** (შვედეთი, მთის თხილამურები) - 12.

კალათბურთი

## რონდოს ტრავმა სერიოზულია

"ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდის, **რაჟონ რონდოს** ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ეს თავდაპირველად ჩანდა. კალათბურთელმა "ვაშინგტონთან" შეხვედრაში გაიმიზეზა ზურგის ძველი ტრავმა.

გუშინ, რონდომ სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა, რის შემდეგაც "ბოსტონის" ხელმძღვანელობამ გამოცხადა, რომ მცველი მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება მოედანს, როცა ის სრულად გამოჯანმრთელდება.

თითქმის დანამდვილებით არის ცნობილი, რომ რონდო დღეს "ფილადელფიასთან" მატჩს გამოტოვებს.

ფორმულა 1

## კლინი ჯარში მიდის

ფორმულა 1-ის პილოტ **კრისტიან კლინს** ავსტრიულ არმიაში სამხედრო სამსახური მოუწევს. კლინმა უწყება ამ კვირას მიიღო და ახლა ავსტრიის დასავლეთში, პროვინცია ფორარლბერგში ექვსთვიანი სამხედრო სამსახური უნდა გაიაროს.

24 წლის კლინი, რომელიც შვეიცარიაში ცხოვრობს, აცხადებდა, რომ ის თავისუფალი იყო სამხედრო სამსახურისგან, მაგრამ ავსტრიელი ფუნქციონერები მას არ ეთანხმებიან და ახლა, ავტომრბოლი თავის საყვარელ საქმეს უნდა მოცდეს. ოთხშაბათს, კლინი გერმანულ გუნდ Mercedes DTM-ში გადიოდა ტესტებს, მაგრამ ექვსი თვით უნდა დაივიწყოს რბოლები.

## ძრავის შეცვლა ერთხელ შეიძლება

წინა სეზონებში ფორმულა 1-ში მოქმედი წესების თანახმად, ბოლიდის ძრავას ორი გრან-პრისთვის უნდა გაეძლო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მისი გამოცვლა. ის პილოტი, რომელიც ერთი ეტაპის შემდეგ შეცვლიდა ძრავას, ავტომატურად მორიგ რბოლაში ათი ადგილით უკან იხევდა სასტარტო ბილიკზე.

მაგრამ ახლა, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ამ წესის შერბილებას აპირებს. კერძოდ გადაწყდა, რომ სეზონის მსვლელობისას ძრავის პირველი დაუგეგმავი შეცვლა არ დაისჯება. ამის შესახებ, ფედერაციის პრეზიდენტმა, **მაქს მოსლიმ** გუნდებისადმი გაგზავნილ ოფიციალურ წერილში დაადასტურა.

*"ჩვენ მოვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ ყოველ გუნდს აქვს უფლება სეზონის განმავლობაში ერთხელ სანქციების გარეშე შეცვალოს ძრავა. ამ შემთხვევაში იგულისხმება კონკრეტულ მანქანაზე ძრავის მწყობრიდან გამოსვლის პირველი შემთხვევა"*, - ამბობს მოსლი.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სუპერქემბი



მარკუს კემბი (მარცხნივ) კარლოს ბუზერს უფარებს

შარშანდელ რეგულარულამდე ლიგის საუკეთესო დამცველების დასახელებისას, თითქმის ყოველთვის **ბენ უოლასის, ბრიუს ბოუენის, კევინ გარნეტის, ტიმ დანკანისა** და **ანდრეი კირილენკოს** კანდიდატურებს განიხილავდნენ, ხოლო სხარტი, უნივერსალი და დაუზარელი **მარკუს კემბი** კი სხვების ჩრდილში იყო მოქცეული. არადა, ეს კაცი ზელიგაში თავის მეთორმეტე სეზონს ატარებს და მხოლოდ სამჯერ ვერ დაუსრულებია რეგულარული საშუალოდ 2 და მეტი დაფარების გარეშე. მარკუსის იგნორირების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი მისი ხშირი ტრავმიანობა გახლდათ, რამაც კემბის ხანგრძლივ კარიერაში უამრავი შეხვედრა გამოატოვებინა. შარშანდლამდე მარკუსს 70-მატჩიანი ბარიერი ერთადერთხელ ჰქონდა გადალახული.

კემბის გარეშე დღევანდელი "ნაგეტსი" ერთი ჩვეულებრივი გუნდი იქნებოდა, რომელსაც იქნებ საფლეიოფო საგზურიც კი ვერ მოეპოვებინა. კარგია, როდესაც სასტარტოს ორი წევრი (ანუ **ალენ აივერსონი** და **კარმელო ენტონი**) საშუალოდ ჯამში 50 ქულაზე მეტს იხვეჭს, მაგრამ ძლიერი დაცვის გარეშე ზემძლავრ დასავლეთში ბობოლებთან ჭიდილი წარმოუდგენლად რთული, იქნებ შეუძლებელიც კი ყოფილიყო. მარკუსი კი კოლორადოელთა დაცვას ადუღებს, დაზღვევაზე იდეალურად თამაშობს და "იუტა ჯაზთან" პრინციპულ დაპირისპირებაში ნამდვილი ბენეფისიც მოიწყო.

მარკუსმა და ლიტველმა **ლინას კლეიზამ** ერთი მატჩით ჩრდილში მოაქციეს აივერსონი და ენტონი. კლეიზა სასტარტოში ბრაზილიელი **ნენეს** ტრავმის გამო მოხვდა, ეს უკანასკნელი კი სავარაუდოდ, მარტის შუა რიცხვებამდე ვერ დაეხმარება გუნდს. ტრავმებს შეჩვეულ ნენეს მორიგი ქირურგიული ჩარევა დასჭირდება.

ლინასის წინა რეკორდი 29 ქულა გახლდათ, რაც ბალტიისპირელმა 15 მარტს "ლეიკერსის" წინააღმდეგ მოიმკო. კლეიზამ 8 სამქულიანი სტყორცნა და ზუსტად ნახევარი გამოიყენა, ხოლო პირველი ნახევარი კი მთლიანად მისი ბენეფისი იყო. ენტონისა და აივერსონზე გადართულმა "ჯაზმა", ლინასს სათარეშო სივცრე დაუთმეს და კლეიზამაც ყარა და ყარა, საბოლოოდ კი დიდ შესვენებამდე მისი მონაგარი 21 ქულა და 5 მოხსნა იყო, მეორე მეოთხედში კი კლეიზამ 20 ქულა შესძინა გუნდს. კოლორადოელებს ასევე მეორე ფორვარდი, **კენიონ მარტინიც** არ ჰყოლიათ, რომელმაც ზედიზედ მეორე შეხვედრა მაღალი ტემპერატურეს გამო გამოტოვა, თუმცა ნენესგან განსხვავებით, მას ალბათ, მომდევნო შეხვედრაშივე ვიხილავთ მოედანზე.

*"ვიცოდი, რომ პირველ ნახევარში 21 ქულის დაგროვების მერე, კარიერაში ყველაზე მეტ ქულას მოვიხვეჭდი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კარმელოსა და ალენს, რომლებმაც ნახეს, რომ სროლა წამივიდა და პასებით მომამარაგეს"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე კლეიზა.

დავუბრუნდეთ კემბის, რომლისთვისაც 24 მოხსნა და 11 დაფარება კარიერის რეკორდების გამეორება იყო. მარკუსი უფარებდა ყველას, **დერონ უილიამსით** დაწყებული, მისსავით კარგი დამფარებლით, კირილენკოთი დამთავრებული.

*"კემბი დაფრინავდა. კირილენკოსაც ბევრი დაფარების გაკეთება შეუძლია, მაგრამ დღეს ისიც და საერთოდ, მთლიანად "ჯაზი" მარკუსისა და ლინას კლეიზას ფანტასტიკურმა გამოსვლამ გადაწონა"*, - აღნიშნა ნამატჩევს მასმედიასთან საუბარში "ჯაზის" გამოცდილმა თავკაცმა **ჯერი სლოუნმა**.

ზურაბ თალაკვაძე

**სან ანტონიო-ფინიქსი 88:90**

26:19, 17:31, 22:23, 23:17

**სან ანტონიო:** ჯინობილი (31 ქ. 4 მ. 4 პ), ტ. პარკერი (23 ქ. 6 პ. 2 ჩ), დანკანი (20 ქ. 11 მ. 4 დ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (27 ქ. 9 მ. 7 პ. 2 დ), ილგაუსკასი (17 ქ. 6 მ. 2 დ), ვარეჯაო (12 ქ. 14 მ), გიბსონი (11 ქ).

**ლეიკერსი-ფინიქსი 98:106**

24:27, 19:29, 18:23, 37:27

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (30 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ), ოდომი (19 ქ. 19 მ. 5 პ), ფარმარი (16 ქ. 4 პ. 4 ჩ), ვუიაჩიჩი (10 ქ).

**ფინიქსი:** ბარბოსა (22 ქ. 5 პ. 2 ჩ), მერიონი (20 ქ. 16 მ. 4 პ. 3 ჩ), დიაო (19 ქ. 6 მ. 5 პ. 2 დ), ა. სტაუდმაირი (16 ქ. 7 მ. 3 ჩ. 3 დ), რ. ბელი (16 ქ. 5 მ. 3 პ), ნეში (13 ქ. 20 პ. 2 ჩ).

**დენვერი-იუტა 120:109**

31:28, 30:31, 37:29, 22:21

**დენვერი:** კლეიზა (41 ქ. 9 მ. 2 პ), აივერსონი (28 ქ. 9 პ. 4 მ. 3 ჩ), ენტონი (23 ქ. 2 პ), ჯეი. Aარ. სმიტი (13 ქ), კემბი (8 ქ. 24 მ. 11 დ).

**იუტა:** დ. უილიამსი (23 ქ. 12 პ. 5 მ), ბუზერი (18 ქ. 11 მ. 2 ჩ), ოქური (16 ქ. 6 მ. 2 პ), კორვერი (16 ქ. 3 მ. 3 პ).

## ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. XI ტური

### A ჯგუფი

**ჟალგირისი-ცსკა 60:88**

16:26, 14:20, 16:20, 14:22

**ჟალგირისი:** კოლინზი (16 ქ), კალნიეტისი (11 ქ), იურაკი (10 ქ), მ. პოპოვიჩი (10 ქ).

**ცსკა:** შიშკაუსკასი (20 ქ), ლენგდონი (19 ქ), დ. ანდერსენი (18 ქ. 9 მ).

**პროკომი-ოლიმპიაკოსი 63:59**

14:14, 15:15, 11:15, 23:15

**პროკომი:** გუროვიჩი (25 ქ. 5 მ), ვან დენ შპიგელი (15 ქ. 12 მ).

**ოლიმპიაკოსი:** ჯექსონი (18 ქ. 11 მ), ბურუსისი (11 ქ. 6 მ).

**ვირტუსი-მონტეპასკი 64:77**

12:30, 22:13, 19:14, 11:20

**ვირტუსი:** ჯოვანი (19 ქ. 5 მ), კიაჩიგი (12 ქ. 6 მ), დი ბელა (10 ქ).

**მონტეპასკი:** სატო (18 ქ. 6 მ), მაკინტაირი (13 ქ), ილიევსკი (11 ქ), ეზე (10 ქ. 10 მ).

**ტაუგრესი-ოლიმპია 89:74**

25:21, 27:12, 21:26, 16:15

**ტაუგრესი:** ტელეტოვიჩი (18 ქ), სპლიტერი (15 ქ), რაკოჩევიჩი (11 ქ. 5 მ), პლანინიჩი (10 ქ).

**ოლიმპია:** მილიჩი (23 ქ. 10 მ), გორენცი (13 ქ), პუკიჩი (12 ქ. 6 მ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა* | 10-2 | +149 |
| 2. ტაუგრესი* | 8-4 | +109 |
| 3. მონტეპასკი* | 8-4 | +94 |
| 4. ოლიმპიაკოსი* | 7-5 | +106 |
| 5. ჟალგირისი* | 7-5 | -11 |
| 6. ოლიმპია | 3-9 | -121 |
| 7. პროკომი | 3-9 | -158 |
| 8. ვირტუსი | 2-10 | -168 |

### B ჯგუფი

**ეფესი-ლ. რიტასი 90:84**

20:24, 26:22, 16:21, 28:17

**ეფესი:** პენი (21 ქ), , პატსონი (20 ქ. 8 მ), ნიკოლასი (16 ქ), ვუდსი (11 ქ. 10 მ).

**ლ. რიტასი:** პეტრავიჩუსი (22 ქ. 6 მ. 3 დ), პრაისი (19 ქ. 4 პ), ეიდსონი (7 ქ. 7მ).

**მილანი-არისი 77:69**

20:16, 14:17, 20:22, 23:14

**მილანი:** გალინარი (20 ქ. 5 მ), უოტსონი (17 ქ. 13 მ), ბუკერი (11 ქ. 6 მ).

**არისი:** რაიტი (16 ქ), ცალდარისი (14 ქ), კასლი (13 ქ).

**უნიკახა-ლე მანი 87:68**

23:14, 23:22, 20:10, 21:22

**უნიკახა:** კაბესასი (14 ქ), უელში (12 ქ), როდრიგესი (10 ბ), გაბრიელი (10 ქ).

**ლე მანი:** კლანსი (16 ქ. 10 მ), ბოგდანოვიჩი (14 ქ).

**ციბონა-მაკაბი 76:81**

20:17, 4:27, 29:18, 23:19

**ციბონა:** ჰოსკინი (27 ქ. 8 მ), კელი (18 ქ), ურენი (12 ქ. 5 მ), ანდრიჩი (10 ქ. 13 მ).

**მაკაბი:** ბინუმი (21 ქ), ჰალპერინი (13 ქ), ბატისტა (12 ქ. 10 მ), ფიზერი (12 ქ), მორისი (11 ქ. 15 მ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. უნიკახა* | 9-3 | +115 |
| 2. ლ. რიტასი* | 9-3 | +113 |
| 3. მაკაბი* | 9-3 | +32 |
| 4. ეფესი | 8-4 | +46 |
| 5. არისი | 6-6 | -21 |
| 6. ციბონა | 4-8 | -88 |
| 7. მილანი | 3-9 | -57 |
| 8. ლე მანი | 0-12 | -140 |

### C ჯგუფი

**რომა-პარტიზანი 88:87 (ო)**

22:25, 18:11, 25:22, 15:22, 8:7

**რომა:** უკიჩი (23 ქ), ლორბეკი (22 ქ. 5 მ), რეი (21 ქ), ჰოუკინსი (10 ქ. 6 მ).

**პარტიზანი:** ველიკოვიჩი (22 ქ. 9 მ), პეკოვიჩი (17 ქ. 8 მ), კეჩმანი (15 ქ. 6 მ), პალასიო (13 ქ), ტეპიჩი (10 მ. 5 მ).

**პანათინაიკოსი-რუანი 102:78**

29:15, 23:22, 23:14, 27:27

**პანათინაიკოსი:** ცარცარისი (19 ქ), ხაციერეტასი (16 ქ), დიამანტიდისი (12 ქ. 7 მ. 2 პ), დიკუდისი (11 ქ), იასიკიავიჩუსი (10 ქ. 5 მ).

**რუანი:** სეილერსი (27 ქ), რაში (15 ქ), პეილი (11 ქ).

**რეალი-ბარსელონა 82:79**

26:11, 14:24, 16:20, 26:24

**რეალი:** რეიესი (14 ქ. 12 მ), ბალოკი (14 ბ), ჰერველი (13 ქ. 9 მ), სმიტი (12 ქ), თუნჩერი (11 ქ).

**ბარსელონა:** გრიმაუ (14 ქ), კასუნი (12 ქ), ილიასოვა (12 ქ), აკერი (11 ქ), ვასკესი (10 ქ), ბაზილე (10 ქ).

**ბამბერგი-ფენერბაჰჩე 81:73**

23:12, 15:17, 14:16, 29:28

**ბამბერგი:** ფენი (21 ქ. 6 მ), გრინი (12 ქ), ოკულაჯა (12 ქ. 8 მ), გარეტი (10 ქ. 5 პ).

**ფენერბაჰჩე:** სოლომონი (28 ქ), ბაშაქი (11 ქ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი* | 11-1 | +107 |
| 2. რეალი* | 9-3 | +100 |
| 3. ბარსელონა* | 8-4 | +89 |
| 4. ფენერბაჰჩე | 6-6 | -1 |
| 5. რომა | 5-7 | -17 |
| 6. პარტიზანი | 4-8 | -56 |
| 7. რუანი | 3-9 | -113 |
| 8. ბამბერგი | 2-10 | -109 |



ცუდი ამბავი

# ფიშერის ბოლო სვლა

## მსოფლიოს მე-11 ჩემპიონი, სკანდალური გენიოსი ბობი ფიშერი ისლანდიაში გარდაიცვალა. ის 64 წლის იყო...

*"ერთადერთი, რაც მსურს, ჭადრაკის თამაშია"*, - **რობერტ ჯეიმს ფიშერი** ამ ფრაზას ხშირად იმეორებდა. მაგრამ ამ განცხადების მიუხედავად, ბევრს ფიშერი ისეთ მოჭადრაკედ დაამახსოვრდება, რომელიც უამრავ მიზეზს პოულობდა, რათა ჭადრაკი არ ეთამაშა. ის უარს ამბობდა ტიტულის დაცვაზე, როცა ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ მის გამარჯვებაში. ის აწყობდა სკანდალებს, აყენებდა ისეთ პირობებს, რომელიც წინასწარ იყო ცნობილი, რომ არ შესრულდებოდა. ეჭვგარეშეა, ფიშერი ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე უცნაური ჩემპიონი იყო.

ის 1943 წლის 9 მარტს ჩიკაგოში, გერმანელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. მომავალი მოჭადრაკის დედა **რეგინა** ებრაელი იყო. მამა - ბიოიზიკოსი **გერჰარდ ფიშერი** ბობის არასოდეს უნახავს.

მომავალ გენიოსს დედა და უფროსი და **ჯოანი** ზრდიდნენ. სწორედ ამ უკანასკნელმა ასწავლა მას ჭადრაკის თამაში. საჭადრაკო დაფაზე თავისი პირველი სვლები ბობიმ ექვსი წლის ასაკში გააკეთა.

13 წლის ასაკში ის უკვე ამერიკის ჩემპიონი გახდა იუნიორთა შორის, 15 წლისა, ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი იყო. სწორედ იმ პერიოდში დაანება სკოლაში სიარულს თავი - იქ მაინც არაფერს გვასწავლიანო.

ფიშერის სწრაფმა პროგრესმა ამერიკაში ჭადრაკისადმი ინტერესის ამაღლება გამოიწვია. ამას არა მხოლოდ ბობის თამაში, არამედ მისი დაპირება უწყობდა ხელს. ბობიმ დაიქადნა, რომ საბჭოთა დიდოსტატებს უკან ჩამოიტოვებდა. გაქანებული "ცივი ომის" პერიოდში ასეთი დანაპირების ასრულება, სპორტის თუნდაც არაპოპულარული სახეობის წარმომადგენელს ეროვნულ გმირად აქცევდა.

ფიშერი ამერიკის გმირი 1972 წელს გახდა, როცა 29 წლის ასაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩში საბჭოთა მოჭადრაკე **ბორის სპასკი** დაამარცხა. ის ლეგენდარული მატჩი რეიკიავიკში გაიმართა. მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა, სპასკიმ პირველი პარტია მოიგო, რის შემდეგაც ფიშერმა ულტიმატუმი წამოაყენა. მან მოითხოვა, რომ დარბაზიდან დაეთხოვათ მაყურებლები და გაეტანათ ტელეკამერები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შემდეგ პარტიაზე არ გამოცხადდებოდა. კამერები არ აილეს, ფიშერი არ გამოცხადდა და ნაგება ჩაეთვალა.

0:2-ზე ამერიკელი დიდოსტატი მზად იყო ისლანდიის დასატოვებლად, მაგრამ ის აშშ-ის გენერალური მდივნის, **ჰენრი კისინჯერის** სატელეფონო ზარმა შეაჩერა, რომელმაც დაბეჯითებით მიუთითა რობერტს მატჩის გაგრძელება. მოულოდნელად ბობისკენ შემხვედრი ნაბიჯი გადადგა სპასკიმაც, რომელიც მაყურებლების გარეშე თამაშს და დარბაზში ერთი დისტანციური კამერის დატოვებას დათანხმდა.

ამის შემდეგ, მატჩის სცენარი მკვეთრად შეიცვალა. მომდევნო 8 პარტიიდან ფიშერმა 5 მოიგო და საბოლოოდ დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია - 12.5:8.5.

ბობი სამშობლოში გმირის რანგში დაბრუნდა. მას მეგობრობას სთავაზობდნენ ამერიკის ცნობილი ადამიანები, მაგრამ ძალიან მალე, დიდოსტატმა პრაქტიკულად განყვიტა პუბლიკასთან კონტაქტი. ჯერ კიდევ სპასკისთან მატჩამდე გახდა ცნობილი, რომ ის რომელილაც სექტის გავლენის ქვეშ მოექცა. დროთა განმავლობაში, ლეგენდარული მოჭადრაკე საერთოდ გაქრა...

1975 წლამდე, როცა მას ტიტულის დაცვა უწევდა, ბობის არცერთი ოფიციალური პარტია არ უთამაშია. ახალ პრეტენდენტთან, **ანატოლი კარპოვთან** მატჩის წინ, მსოფლიოს მე-11 ჩემპიონმა FIDE-ს სრულიად უაზრო პირობები წამოუყენა, რომლებიც ამჯერად აღარ დააკმაყოფილეს. ბობი ფიშერმა საჭადრაკო გვირგვინი უბრძოლველად დათმო.

მან განდეგილად 20 წელი იცხოვრა და ამ პერიოდში მისი ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. და მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში, ფიშერმა მოულოდნელად შეახსენა თავი საჭადრაკო სამყაროს, როცა რეიკიავიკის ცნობილი მატჩის გადათამაშება შესთავაზა სპასკის.

გადათამაშებაც სკანდალური გამოვიდა. ის 1992 წელს იუგოსლავიაში გაიმართა, არადა ამ ქვეყანაზე მაშინ მკაცრი საერთაშორისო სანქციები იყო დაწესებული.

ფიშერმა ისევ გაიმარჯვა - 10:5, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ მისი თამაშის დონე აშკარად დაქვეითებული იყო. ბობი იუგოსლავიაში თამაშის გამოც დაზარალდა. 2004 წელს, ის იაპონიაში აშშ-ის მთავრობის მოთხოვნით დააპატიმრეს. ამერიკამ მოჭადრაკეს დამნაშავედ გამოცხადებული იუგოსლავიის მთავრობის მხარდაჭერა არ აპატია. თუმცა იაპონელებმა ბობი ამერიკას არ გადასცეს. ისლანდიამ, სადაც ფიშერი ჩემპიონი გახდა, დიდოსტატს მოქალაქეობა და თავშესაფარი მისცა.

2005 წლის გაზაფხულზე ბობი კუნძულზე გაფრინდა. სწორედ ისლანდია გახდა მისი ბოლო ნავსაყუდელი. ისევე როგორც ყველგან, იქაც მარტოხელა ცხოვრებას ეწეოდა.

2008 წლის 18 იანვარს სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში სიკვდილის მიზეზი არ სახელდება. ბევრის აზრით ყველაზე გენიალური მოჭადრაკის სიკვდილი ისევე იდუმალი იყო, როგორც მისი ცხოვრება.

# TV სპორტი

### 19 იანვარი. შაბათი

#### I არხი

23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
13:50 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რასინგი-სარაგოსა.
15:40 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 შოტლანდიის ჩემპიონატი. პარტისი-ჰიბერნიანი (LIVE).
18:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ბოლტონი (LIVE).
23:10 ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ჩელსი.
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:32 სპორტდოსიე.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. დორტმუნდი-ბაიერნი.
12:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნეშვილი-ანაჰაიმი.
13:50 სპორტის სამყარო.
14:20 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:50 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. V ეტაპი. კვალიფიკაცია. ახალი ზელანდია.
16:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-ლოს ანჯელესი.
18:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-არსენალი (LIVE).
21:15 ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ჩელსი (LIVE).
23:02 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სერია A-ს ჟურნალი.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ტორინო (LIVE).
01:30 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. იტუანო-პორტუგეზა (LIVE).
03:32 სპორტკლუბი.
04:00 სპორტდოსიე.
04:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. დორტმუნდი-ბაიერნი.
06:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-ლოს ანჯელესი.

#### EUROSPORT

08:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე. მელბურნი (LIVE).
15:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ანტჰოლცი. იტალია (LIVE).
16:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სწრაფდაშვება. კორტინა დ'ამპეცო. იტალია.
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. H205. პარაჩოვი. ჩეხეთი (LIVE).
18:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ანტჰოლცი. იტალია (LIVE).
19:15 სნუკერი. მასტერსი. 1/2 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ქალები. 1/2 ფინალი. გერმანია (LIVE).
22:30 სნუკერი. მასტერსი. 1/2 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 რალი-რეიდი. დაკარი 2006.
02:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ქალები. 1/2 ფინალი. გერმანია.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
12:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
13:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სწრაფდაშვება. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. რბოლა ტრამპლინი. გერმანია.
15:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. რბოლა 15 კმ. გერმანია (LIVE).
17:30 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
18:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია.
19:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 1994-2000.
20:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 2002-2006.
21:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. ეგვიპტე-2006.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ქალები. 1/2 ფინალი. გერმანია (LIVE).
01:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. ტუნისი-2004.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. კამერუნი.
03:15 ახალი ამბები.
03:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 1994-2000.
04:30 ახალი ამბები.
04:45 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 2002-2006.
05:45 ახალი ამბები.
06:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. ეგვიპტე-2006.

### 20 იანვარი. კვირა

#### I არხი

18:20 ხელბურთი. ჩელენჯ ტროფი. ფინალი. საქართველო-ლუქსემბურგი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

11:15 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-არსენალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია.
15:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლორიანი-პსჟ.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-ევერტონი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი (LIVE).
21:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-ნანსი.
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რასინგი (LIVE).
01:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეალი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. V ეტაპი. კვალიფიკაცია. ახალი ზელანდია.
09:50 სპორტდოსიე.
10:17 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია.
12:02 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. V ეტაპი. ახალი ზელანდია.
14:33 ცურვის სამყარო. ტელეჟურნალი.
15:02 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
15:31 ფეხბურთი. Barca TV.
15:39 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-რეინჯერსი.
17:29 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სერია A-ს ჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-სამპდორია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეალი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რასინგი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პარმა.
03:47 სპორტდოსიე.
04:16 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. V ეტაპი. კვალიფიკაცია. ახალი ზელანდია.
06:04 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია.
07:48 ფეხბურთი. Barca TV.

#### EUROSPORT

08:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).
16:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. ანტჰოლცი. იტალია (LIVE).
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. H205. პარაჩოვი. ჩეხეთი (LIVE).
18:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ქალები. ფინალი. გერმანია (LIVE).
20:30 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
20:45 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა-გვინეა. განა (LIVE).
23:00 რალი-რეიდი. დაკარი 2006.
23:30 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
00:30 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე. მელბურნი (LIVE).

#### EUROSPORT-2

07:00 ახალი ამბები.
07:15 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. ტუნისი-2004.
08:15 ახალი ამბები.
08:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 1994-2000.
09:20 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 2002-2006.
10:30 ახალი ამბები.
12:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. რბოლა ტრამპლინი. გერმანია (LIVE).
13:30 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
14:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერგიგანტი. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
15:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. სპრინტი. გერმანია.
15:45 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ქალები. 1/2 ფინალი. გერმანია.
17:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. კამერუნი.
18:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. ეგვიპტე-2006.
19:00 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა.
23:30 ახალი ამბები.
00:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა-გვინეა. განა.
01:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ქალები. ფინალი. გერმანია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. ტუნისი-2004.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ბორუსია (მ)-იანგ ბოიზი | 3:3 |
| სტიაუა-ვისლა | 0:0 |
| კოტბუსი-ზარია | 8:0 |
| ალემანია-ჰამბურგი | 1:2 |

#### ინგლისი — I ლიგა

| | |
|---|---|
| პარტლპული-ჩელტენემი | 0:2 |

#### საფრანგეთი — II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ამიენი-დიჟონი | 2:2 |
| ბასტია-ბრესტი | 4:0 |
| შატორუ-გენიონი | 1:1 |
| გინგამი-აიაჩო | 1:1 |
| ჰავრი-ლიბურნი | 1:1 |
| მონპელიე-ბულონი | 3:0 |
| რეიმსი-გრენობლი | 3:4 |
| სედანი-ნიორი | 1:0 |
| ანჟერსი-ტრუა | 0:1 |

#### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ექსელსიორი-ფეიენოორდი | 2:1 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აპელდოორნი-ფორტუნა | 2:3 |
| დენ ჰააგი-დორდრეხტი | 2:1 |
| ეინდჰოვენი II-ჰაარლემი | 2:2 |
| ომნიუორლდი-ემენი | 4:1 |
| იგლზი-ვოლენდამი | 1:2 |
| მაასტრიხტი-ვაალვიკი | 1:1 |
| როსენდალი-კამბური | 1:0 |
| ტელსტარი-ტოპ ოსი | 1:1 |
| ვეენდამი-ცვოლე | 2:2 |

#### ბელგია

| | |
|---|---|
| მონსი-ბრიუგე | 0:1 |

### კალათბურთი

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ვილერბანი-პსჟ | 86:76 |
| ვიში-ნანსი | 62:76 |

### ხელბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი — კაცები

| | |
|---|---|
| ნორვეგია-რუსეთი | 32:21 |
| ხორვატია-ჩეხეთი | 30:26 |
| დანია-ჩერნოგორია | 32:24 |
| პოლონეთი-სლოვენია | 33:27 |

### ჰოკეი

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ტრაქტორი | 4:1 |
| ს. იულაევი-ტორპედო | 1:1 |
| აკ ბარსი-ვედ | 5:2 |
| ვიტიაზი-მეტალურგი (ნ) | 2:2 |
| დინამო-სევერსტალი | 1:1 |
| ლოკომოტივი-ლადა | 2:2 |
| სკა-სიბირი | 3:0 |
| ხიმიკი-ავანგარდი | 3:4 |
| ცსკა-ნეფტეხიმიკი | 10:1 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| აისბარენი-აუგსბურგი | 7:3 |
| ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2:5 |
| დუისბურგი-მანჰაიმი | 3:5 |
| იზერლონი-კიოლნი | 3:3 |
| კრეფელდი-დიუსელდორფი | 5:4 |
| ფრანკფურტი-შტრაუბინგი | 3:1 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ზვოლენი-სლოვანი | 0:4 |
| მარტინი-კეჟმაროკი | 6:2 |
| მიკულაში-ნიტრა | 3:1 |
| პოპრადი-სკალიცა | 4:1 |
| ტრენჩინი-კოშიცე | 2:2 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ლიტვინოვი | 2:2 |
| ზნოიმო-ქლინი | 3:0 |
| კლადნო-პლზენი | 4:1 |
| სლოვანი-ვიტკოვიცე | 2:4 |
| პარდუბიცე-ბუდეიოვიცე | 5:2 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბაზელი-ლუგანო | 3:4 |
| ბერნი-ფრიბურგი | 3:4 |
| ლანგნაუ-კლოტენი | 2:4 |

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ტორონტო 2:3 (ბ)**

2:1, 0:1, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 ა. სტინი-8 (სუნდინი-31, ტ. კაბერლე-23), 1:1 ხარა-7 (ვიდემანი-12, სავარი-37), 2:1 შტურმი-14 (სავარი-38, ვიდემანი-13), 2:2 სტაიანი-11 (კუბინა-18, ტ. კაბერლე-24).

ბულიტები გაიტანეს: ა. სტინი (ტორონტო), სუნდინი (ტორონტო).

**ვაშინგტონი-ედმონტონი 5:4 (ბ)**

0:2, 4:1, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 პორკოფი-20 (სურეი-7, პემსკი-26), 0:2 რ. ნილსონი-5, 1:2 ბექსტრომი-9 (შულცი-5), 2:2 ოვეჩკინი-35 (გორდონი-7, შულცი-6), 2:3 პენერი-14 (პორკოფი-26, პემსკი-27), 3:3 მ. გრინი-14 (ოვეჩკინი-22), 4:3 სიომინი-10 (ფლიშმანი-11, გორდონი-8), 4:4 პორკოფი-21 (პემსკი-28, შმიდი-3).

ბულიტები გაიტანეს: ბრედლი (ვაშინგტონი).

**ატლანტა-მონრეალი 2:3 (ბ)**

1:0, 0:1, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 მარიან პოსა-20 (რეკი-18, პერენი-19), 1:1 ა. კოსტიცინი-12 (პლეკანეცი-25, მარკოვი-21), 1,2 რაიდერი-7 (ლატენდრესი-5, სმოლინსკი-11), 2:2 დუპუი-9 (პერენი-20).

ბულიტები გაიტანეს: ა. კოსტიცინი (მონრეალი), ს. კოივუ (მონრეალი).

**ნეშვილი-ანაჰაიმი 1:2**

0:1, 0:0, 1:1

გოლები: 0:1 ბოჩენსკი-2 (მნაიდერი-15, გეტცლაფი-34), 0:2 პერი-25 (გეტცლაფი-35, ბერტუცი-15), 1:2 არნოტი-16 (დუმონი-21, ჟიდლიცკი-24).

**ოტავა-კაროლინა 5:1**

1:0, 3:0, 1:1

გოლები: 1:0 ვერმეტი-9 (კორვო-18, მეზაროში-14), 2:0 ფიშერი-17 (ნილი-10), 3:0 ვერმეტი-10 (ივსი-6), 4:0 რ. რობიტაილი-7 (სპეცა-39). 4:1 რეი უიტნი-21 (ე. სტაალი-20, ბრინდამორი-24), 5:1 სპეცა-16.

**დეტროიტი-ვანკუვერი 3:2 (ბ)**

1:0, 1:2, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 კლირი-17 (ლილია-8, სამუელსონი-18), 2:0 კლირი-18 (ფილპულა-11, ჩელიოსი-6), 2:1 პ. სედინი-9 (სალო-5, ვ. მიტჩელი-6), 2:2 ნესლუნდი-16 (პ. სედინი-39).

ბულიტები გაიტანეს: ზეტერბერგი (დეტროიტი).

**ფინიქსი-კოლამბუსი 3:4**

1:0, 0:2, 2:2

გოლები: 1:0 დოუნი-15 (ვინიკი-8), 1:1 ნეში-24 (ფიოდოროვი-18, ვიბორნი-13), 1:2 კლესლა-6 (ნეში-16, პეკა-14), 2:2 პ. მიულერი-11 (ტოვანოვსკი-27, ჰანჟალი-19), 2:3 ჟურდიოვი-19 (ფიოდოროვი-19, ფუტი-11), 3:3 ჰანჟალი-5 (ნ. კაპანენი-14, პ. მიულერი-16), 3:4 ნეში-25 (პეკა-15).

**სან ხოსე-დალასი 2:4**

1:1, 0:1, 1:2

გოლები: 1:0 მიხალეკი-16 (კ. ბრაუნი-3, სემიონოვი-3), 1:1 ჰაგმანი-16 (ლ. ერიქსონი-8, ლუნდკვისტი-6), 1:2 მოდანო-13 (ლ. ერიქსონი-9, ჰაგმანი-9), 2:2 ჯ. ტორნტონი-15 (მიხალეკი-12), 2:3 მოდანო-14 (ჰაგმანი-10, რობიდასი-8), 2:4 ჰალპერნი-10 (რიბეირო-28, მოროუ-27).

ავსტრალიის ღია პირველობა

# ფავორიტებს ორი გამოაკლდათ



კეისი დელაკვა

გუშინ ავსტრალიის ღია პირველობაზე მესამე წრე დაიწყო და ტურნირს ორი ძლიერი ჩოგბურთელი გამოაკლდა. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნებისთვის, ამერიკელი **ენდი როდიკისა** და ფრანგი **ამელი მორესმოსთვის** სეზონის პირველი სასლემო ტურნირი სწორედ მესამე წრეში დასრულდა, რაშიც მათ ხელი შესაბამისად, გერმანელმა **ფილიპ კოლშრაიბერმა** და ავსტრალიელმა **კეისი დელაკვამ** "შეუწყვეს".

გუშინდელი შეხვედრებიდან ბოლო სწორედ როდიკისა და კოლშრაიბერის მატჩი დასრულდა. ავსტრალიის ღიაზე დებიუტიდან (2002 წელი) მოყოლებული, როდიკი ამ ტურნირის ასე ადრე არასოდეს გამოთიშვია.

მეტოქეებმა პირველი ორი სეტიდან თითო მოიგეს, შემდეგ კი, მესამეში ორივემ თითო ბრეიკის მოპოვება შეძლო, რის გამოც სეტი ტაიბრეიკზე გადავიდა, იქ კი უფრო სტაბილური გერმანელი მეჩოგნე გამოდგა. მეოთხე სეტში როდიკი მსაჯს შეედავა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. და მაინც, მან სეტი ტაიბრეიკზე მოიგო.

გადამწყვეტ სეტში ამერიკელს დაღლა დაეტყო. კოლშრაიბერი თავის სერვისზე ქულებს იოლად აგროვებდა, მეტოქისაზე კი რამდენჯერმე გაიბრძოლა და ბრეიკთანაც ახლოს იყო. მაგრამ ძირითად სეტში საქმეს მაინც ვერ მორჩა, რადგან როდიკმა მეათე გეიმში, თავის სერვისზე ოთხი მატჩ პოინტი მოიგერია. მაგრამ მე-14 გეიმში მაინც მოუწია დათმობა.

მორესმოს ავსტრალიის ღია ორი წლის წინ აქვს მოგებული და მსოფლიოს პირველი ჩოგანიც სწორედ მაშინ გახდა. მაგრამ ახლა ძველებურად ველარ ბრწყინავს და ამიტომ, მელბურნში ფავორიტთა შორის ბევრი არავინ მოიხსენიებდა.

სამაგიეროდ, დელაკვას აქამდე დიდი სლემის ტურნირებზე ერთადერთი შეხვედრა ჰქონდა მოგებული და ამიტომ, მისგან სენსაციასაც არავინ ელოდა.

მაგრამ მან ეს შეძლო და ავსტრალიელთაგან პირველი გავიდა მეოთხე წრეში, სადაც მოხვედრის შანსი მის თანამემამულეთაგან მხოლოდ **ლეიტონ ჰიუიტს** აქვს. მეოთხე წრეში დელაკვას მეტოქე სერბი **ელენა იანკოვიჩი** იქნება, რომელმაც, როგორც ჩანს, მოასწრო ფორმაში შესვლა და მესამე წრეში საკმაოდ იოლად დაამარცხა ფრანგი **ვირჟინი რასანო**, თუმცაღა ამისათვის სამი სეტი დასჭირდა.

*"არც კი ვიცი, რა დამემართა. თამაში ორ სეტში უნდა მომეგო, მაგრამ მეორე სეტის მიწურულს ყურადღება მოვადუნე და ამის გამო დავისაჯე. მერე კი, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან დავიღალე და არ ვიცი, შემდეგ წრეში როგორ ვითამაშებ"*, - განაცხადა იანკოვიჩმა, ვინც მსაჯისგან გაფრთხილება მიიღო, რადგან მან ჩათვალა, რომ თამაშის დროს, დედამისისგან რჩევებს ღებულობდა. იანკოვიჩმა კი თავი იმართლა, არანაირი რჩევა არ მიმიღია, მხოლოდ მამხნევებდაო.

მეოთხე წრეში გავიდნენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** და ტურნირის მოქმედი ჩემპიონი, ამერიკელი **სერენა უილიამსი**. ორივემ გამარჯვებას ორ სეტში მიაღწია. პირველმა იტალიელ **ფრანჩესკა სკიავონეს** აჯობა, მეორემ კი ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** დაამარცხა.

მას შემდეგ, რაც შარშანდელი უიმბლდონის ნახევარფინალში ფრანგ **მარიონ ბარტოლისთან** დამარცხდა, ჟუსტინს ზედიზედ 31 თამაში აქვს მოგებული. მისი მომდევნო მეტოქეა ტურნირის ტაივანელი სენსაცია **ჰსიჰ სუ-ვეი**, რომელმაც ასპარეზობას ფრანგი **არავან რეზაი** გამოთიშა.

სუ-ვეი პირველი ტაივანელი მეჩოგნეა, ვინც დიდი სლემის ტურნირის მეოთხე წრეს მიაღწია. ტურნირის წინ მას რეიტინგში 158-ე საფეხური ეკავა და ამიტომ, საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოსვლამ მოუწია. სამი თამაში იქ მოიგო, სამიც ძირითად ბადეში და ახლა საუკეთესოთა შორის საუკეთესოსთან ექნება საქმე.

მეოთხე წრეში გავიდა ესპანელი **რაფაელ ნადალიც**, რომელმაც სამ სეტში დაამარცხა ფრანგი **ჟილ სიმონი**. თამაშის წინ, ნადალს თანამემამულე **დავიდ ფერერისგან** რჩევები მიუღია, მაგრამ ამან ლამის ცუდი სამსახური გაუწია – პირველ სეტში სიმონი 5:2 დაწინაურდა.

*"არ მეგონა, თუ ჟილი თავიდანვე ასეთი აგრესიული იქნებოდა. ბურთი კორტიდან არც ისე მაღლა ხტება, რასაც მისთვის ხელი უნდა შეეშალა, მაგრამ ასე არ მოხდა, რაც ჩემთვის მოულოდნელობა იყო. ნალმა დარტყმებით მან ბევრი ქულა ამართვა. "მადლობა" ფერერს, რომელმაც მირჩია, დასაწყისში აგრესიული ნუ იქნებიო"*, - თამაშის შემდეგ ყვებოდა ნადალი, ვისაც მეოთხე წრეშიც მეტოქეობას ფრანგი - **პოლ-ანრი მატიე** გაუწევს.

**კაცები. მესამე წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ჟილ სიმონი (საფრ, 28) 7:5, 6:2, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-მარკ გიშელი (საფრ) 6:3, 6:2, 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 29)**-ენდი როდიკი (აშშ, 6) 6:4, 3:6, 7:6(9), 6:7(3), 8:6; **რიშარ გასკე (საფრ, 8)**-იგორ ანდრეევი (რუს, 31) 6:3, 6:2, 4:6, 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს, 14)**-ივო კარლოვიჩი (ხორვ, 20) 6:2, 6:4, 6:2; **პოლ-ანრი მატიე (საფრ, 23)**-შტეფან კუბეკი (ავსტ) 4:6, 7:6(4), 2:6, 7:5, 8:6; **იარკო ნიემინენი (ფინ, 24)**-მარდი ფიში (აშშ) 3:6, 7:6(4), 6:3, 6:1; **ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრ)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 6:3, 6:4, 6:2

**ქალები. მესამე წრე**

**ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 25) 7:5, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3)**-ვირჟინი რასანო (საფრ, 30) 6:2, 4:6, 6:1; **მარია შარაპოვა (რუს, 5)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:3, 6:0; **სერენა უილიამსი (აშშ, 7)**-ვიქტორია აზარენკა (ბელა, 26) 6:3, 6:4; **ელენა დემენტიევა (რუს, 11)**-შაჰარ პეერი (ისრ, 17) 6:2, 6:0; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 12)**-აი სუგიამა (იაპ) 6:3, 6:4; **კეისი დელაკვა (ავსტრალ)**-მორესმო (საფრ, 18) 3:6, 6:4, 6:4; **ჰსიეჰ სუ-ვეი (ტაივ)**-არავან რეზაი (საფრ) 6:2, 6:7(3), 6:4

რეკორდი

# სანტორომ აგასის გადაასწრო

ფრანგმა ჩოგბურთელმა **ფაბრის სანტორომ** ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში ითამაშა და ეს იმას ნიშნავს, რომ ვეტერანი ჩოგბურთელი "დიდი სლემის" ტურნირებში მონაწილეობის რაოდენობით აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა.

35 წლის სანტორომ 62-ედ აილო სტარტი "დიდი სლემის" ტურნირზე. წინა რეკორდი ლეგენდარულ ამერიკელს, **ანდრე აგასის** ეკუთვნოდა და ის 61 ტურნირს უდრიდა.

*"თუ ჩოგბურთის ისტორიაში ჩავიხედავთ, იქ აუცილებლად აღმოაჩენთ დიად სახელებს - პიტ სამპრასს, ანდრე აგასის, ჯიმი კონორსს და სხვებს. გარკვეულ წილად, ჩემთვის სასიამოვნოა მათ გვერდით დგომა. რა თქმა უნდა, შედეგებით ამ ვარსკვლავებს ვერ შევედრები, მაგრამ სხვა მხრივ მაინც შევედი ისტორიაში. ეს რეკორდი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს"*, - განაცხადა ფრანგმა ჩოგბურთელმა, რომელიც დღეს, მეორე წრეში შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** ხვდება.

**ATP-ის ტურის ათი სუპერვეტერანის სია ასე გამოიყურება**

| | | |
|---|---|---|
| 62 | ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | (1989-2008) |
| 61 | ანდრე აგასი (აშშ) | (1986-2006) |
| 58 | ჯიმი კონორსი (აშშ) | (1970-92) |
| 57 | ივან ლენდლი (აშშ) | (1978-94) |
| 57 | მიკლ ჩანგი (აშშ) | (1987-2003) |
| 57 | უეინ ფერეირა (ს. აფრიკა) | (1990-2004) |
| 56 | იონას ბიორკმანი (შვედეთი) | (1993-2007) |
| 55 | მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) | (1985-2000) |
| 54 | სტეფან ედბერგი (შვედეთი) | (1983-1996) |
| 53 | ჯონ ალექსანდერი (აშშ) | (1968-1985) |



ქართული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმჯარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა